ვინ და რისთვის ისროდა კოდორის ხეობაში A2

რეფორმა თუ ძალაუფლება? A8

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B5-B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 9 თებერვალი, 2004 წელი. №32 (581)

ფასი 50 თეთრი

# სამნი ერთ ნავში

## ანუ როცა მესამე ზედმეტია



სამნი.

დავით ზურაბიშვილი

საკონსტიტუციო ცვლილებები, რის შესახებაც ამდენს ლაპარაკობდნენ ვარდების რევოლუციის ლიდერები, განხორციელდა. დეპუტატთა ძველმა გვარდიამ ახალი შესწორებები, როგორც მოსალოდნელი იყო, სულ გრიალ-გრიალით მიიღო. ერთადერთი, იმუნიტეტს ვერ შეელიენ, რაც ასევე არ გახლდათ დიდი მოულოდნელობა. თუმცა, ცვლილებების მიღებას უხმაუროდ მაინც არ ჩაუვლია. წარმოდგენილ შესწორებებს კატეგორიულად უარყოფდნენ სამოქალაქო სექტორის ის წარმომადგენლები, რომლებიც არა მარტო ნოემბრის მოვლენების აქტიური მონაწილეები იყვნენ, არამედ მანამდეც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ შევარდნაძის მმართველობის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში და ლამის ახალი ხელისუფლების ნაწილად მოიაზრებოდნენ. იმავდროულად, პრეზიდენტი სააკაშვილი არანაკლები კატეგორიულობით მოითხოვდა ცვლილებების დაუყოვნებლივ გატარებას და საკითხს, არც მეტი, არც ნაკლები, ამდაგვარად სვამდა: ვინც ჩემთან არ არის, ჩემი მოწინააღმდეგეა.

გაგრძელება A8 გვერდზე

# პოლიტიკის ამორალური მხარე ოპერაში

"მაზეპას" სტურუასეული ვერსია რუსი მაყურებლისთვის რევოლუციური აღმოჩნდა

ნანა კობაიძე

რეჟისორი რობერტ სტურუა გუშინ თურქეთში გაემგზავრა. ორი თვის განმავლობაში ანკარის თეატრში "ჰამლეტს" დადგამს. მანამდე კი საკუთარ თავს ხანმოკლე არდადეგები მოუწყო. როგორც თავად ამბობს, მოსკოვის დიდ თეატრში ჩაიკოვსკის "მაზეპაზე" მუშაობისას იმ მოწაფესავით ითვლიდა დღეებს, არდადეგებს რომ ელოდება. ორთვიანი სამუშაო რეჟიმის შემდეგ (რომელშიც ყველაზე დაძაბული ბოლო 20 დღე იყო) მან "ყველა კონსპექტი გადაყარა" და ბედნიერი ჩამოვიდა თბილისში.

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ სტურუას ნებისმიერი ახალი დადგმა საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცევა (არა აქვს მნიშვნელობა, რომელ ქვეყანაში ახორციელებს იგი ჩანაფიქრს), ამიტომ არც ის დაინტერესება იყო გასაკვირი, რაც მოსკოვის დიდ თეატრში მის მიერ განხორციელებულ "მაზეპას" ახლდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ოპერა ბოლოს 20 წლის წინათ დაიდგა, მოსკოვის დიდ თეატრში კი ორი სეზონია რუსული კლასიკა არ აჟღერებულა, ამ დადგმის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება.

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად სტურუა შემოთავაზებას მაშინვე არ დათანხმდა - იმ მიზეზით, რომ ნაწარმოებს კარგად არ იცნობდა. ბავშვობაში კიევში ნახა და მოსაწყენი ეჩვენა – დრამატურგია არ ვარგოდაო, ამბობს. თუმცა, შემდეგ მუსიკა მოისმინა და მოეწონა.

გაგრძელება B2 გვერდზე




რობერტ სტურუა ანკარაში "ჰამლეტს" დადგამს.

## პოლიტიკა

### ბაზებმა ვერ გაამართლეს

"რა საჭიროა სამხედრო ბაზა, თუკი იგი გავლენას ვეღარ ახდენს საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებზე?" - სკეპტიკურად კითხულობს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის ინსტიტუტის განყოფილების გემგე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვი.

A3

## ეკონომიკა

### ხელისუფლება სახელმწიფო საწარმოების საფუძვლიან რევიზიას იწყებს

სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნას სამ სახელმწიფო საწარმოში აუდიტის ჩატარების თაობაზე "აფართოებს" და საკუთარი ინიციატივით ათ ყველაზე მსხვილ სახელმწიფო საწარმოში ოთხი საერთაშორისო აუდიტი შეჰყავს.

A4

## უცხოეთი

### რუსეთში საპრეზიდენტო კანდიდატი გაუჩინარდა

რიბკინის საარჩევნო შტაბის უფროსი ამბობს, რომ იგი გასული ხუთშაბათის შემდეგ არავის უნახავს. რიბკინის ადგილსამყოფელი არც მისმა მეუღლემ იცის. მან ქმრის გაუჩინარება მილიციას გუშინ ოფიციალურად აცნობა.

A5

## საზოგადოება

### ავტოსადგომებიდან ბიუჯეტში, 2 მილიონის ნაცვლად, 600 ათასი შედის

გარე ვაჭრობის პრობლემის, ასე თუ ისე, მოგვარების შემდეგ, საკრებულო ავტოსადგომების და პარკირების მოწესრიგებაზე გადავიდა. ოღონდ, "ნაციონალები" და "ლეიბორისტები", ჯერჯერობით, პარკირების განვითარების ფორმაზე ვერ შეთანხმდნენ.

A6

## სამართალი

### გუშინ ღირსების შელახვა, დღეს - ბრალდება

სასამართლო დავა, რომელიც გადაცემა "60 წუთს" და "საქართველოს რკინიგზის" ყოფილ ხელმძღვანელს, კორუფციული ბრალდებით ამჟამად ორთაჭალის ციხეში დაპატიმრებულ აკაკი ჩხაიძეს შორის თვეების წინ დაიწყო, დღეს უნდა დასრულდეს.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 15 |
| ქუთაისი | 14 |
| ბათუმი | 15 |
| სოხუმი | 11 |
| ფოთი | 13 |
| თელავი | 14 |
| ზუგდიდი | 13 |
| გორი | 10 |
| ახმეტა | 13 |
| ჭიათურა | 11 |
| გაგრა | 9 |
| სამტრედია | 14 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0775 |
| ევრო | 2.6071 |
| გირვანქა სტერლ. | 3.8153 |
| რუბლი | 0.0727 |

# რუსეთის სამხედრო ბაზები - თავსატეხი საქართველოსთვის და ევროპისათვის

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

*პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, საქართველოს ახალი ხელისუფლება სერიოზულად ემზადება იმისთვის, რათა რუსეთის სამხედრო ბაზებმა ერთხელ და სამუდამოდ დატოვონ ქვეყნის ტერიტორია. თუმცა, ოფიციალური რუსეთისთვის ამ მოთხოვნის შესრულება არ იქნება იოლი, რადგან მოსკოვში სამხედრო ფაქტორს უამრავი დრომოჭმული მითი თუ სტერეოტიპი უკავშირდება. მაგრამ, რუსეთის სამხედრო ბაზების შემდგომი ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე აღარ არის მხოლოდ საკუთრივ საქართველოსა და რუსეთის პრობლემა. დიდი ხანია, რუსეთის ბაზები დაბრკოლებად იქცნენ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების რატიფიკაციის გზაზე.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# ლევან თედიაშვილს სისხლის სამართლის პასუხისგება ელის?

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*კახეთში ძალოვანებმა იმ ჩინოვნიკების დაპატიმრება დაიწყეს, რომლებმაც სახელმწიფოსა და ხალხის ქონება მიითვისეს. სამართალდამცველების პირველი სამიზნე გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში განთავსებული სააქციო საზოგადოება "კახეთის პურის" გენერალური დირექტორი ლადო მარხვაშვილი ხდება. მას ბრალად ედება 1 მილიონ 900 ათასი ლარის გაფლანგვა. არ გამორიცხავენ, რომ ამ საქმის კვალი პარლამენტარ ლევან თედიაშვილამდეც მივიდეს.*

სტრესის მიღება და გულის შეტევები კახელ ჩინოვნიკებს უკვე დაეწყოთ. ახალმა ხელისუფლებამ ხმაურიანი დაპატიმრებები ამ რეგიონშიც დაიწყო. ორიოდე დღის წინ, კახეთის სამხარეო პოლიციის საგამოძიებო სამსახურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა განყოფილებამ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი კრედიტის გაფლანგვაში სააქციო საზოგადოება "კახეთის პურის" გენერალური დირექტორი ლადო მარხვაშვილი ამხილა და დააკავა.

გაგრძელება A7 გვერდზე

# მკვლელად გამოსაცხადებლად ბრალდებულთა ძმობაც საკმარისია

თამარ კაციტაძე

*არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობაში არ მოიძებნება მუხლი, რომელიც დამნაშავის ოჯახის წევრებზე ტერორს ან, მით უმეტეს, მათ დამნაშავედ გამოცხადებას გულისხმობდეს. თუმცა, როგორც ჩანს, საქართველოში ოფიციალურ კანონებზე დიდი ძალა დაუწერელ კანონებს აქვს, რომელსაც პოლიცია სიტუაციის შესაბამისად იგონებს.*

ამის თქმის უფლებას დეპუტატ იური ჩიხრაძის შვილის – ვახტანგ ჩიხრაძის მკვლელობის საქმეში არსებული გაუგებრობა გვაძლევს, რის გამოც ორი უდანაშაულო ადამიანი შვიდი თვის განმავლობაში შინა პატიმრობაში აღმოჩნდა.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 - B7 "საოჯახო ტოტო" | B8 სხვადასხვა

## საქაერონავიგაციის თანამშრომლებს პროკურატურაში დაკითხავენ



*ზურაბ ჭანკოტაძეს მალე მოუწევს პროკურატურაში "სტუმრობა"*

გენერალურ პროკურატურაში უახლოეს დღეებში ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ყოფილი მინისტრის მერაბ ადეიშვილის გარდა, სისხლის სამართლის საქმე, შესაძლოა, სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარე ზურაბ ჭანკოტაძის, შპს „საქაერონავიგაციის" ხელმძღვანელ ალექსანდრე ჭილაგაძისა და სხვა თანამშრომლების მიმართაც აღიძრას. ამის შესახებ განაცხადა ჟურნალისტთა ანტიკორუფციული საგამოძიებო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა უჩა მუმლაძემ.

ჟურნალისტთა ანტიკორუფციულმა საგამოძიებო ორგანიზაციამ გენერალურ პროკურატურას რამდენიმე დღის წინათ გადასცა დოკუმენტური მასალა, რომელშიც, უჩა მუმლაძის თქმით, მოყვანილია კონკრეტული ფაქტები აღნიშნული პირების კორუფციული საქმიანობის შესახებ. უჩა მუმლაძის თქმით, მათ მიერ დოკუმენტების გაყალბებით, ხარჯების გაზრდით, თვითმფრინავების გაყიდვითა და ჯართად ჩაბარების შედეგად, ცენტრალურმა ბიუჯეტმა მილიონობით ლარი იზარალა.

უჩა მუმლაძემ აღნიშნა, რომ ამ საქმეში მერაბ ადეიშვილიც ფიგურირებს და გენერალურმა პროკურატურამ ჟურნალისტთა ანტიკორუფციული საგამოძიებო ორგანიზაციის მიერ გადაცემულ მასალებზე დაყრდნობით მოკვლევა უკვე დაიწყო. **მედია-ნიუსი**

## მინისტრთა კაბინეტი ორ კვირაში გვეყოლება

პარლამენტის ვიცე-სპიკერის გიგი წერეთლის განმარტებით, მთავრობის წევრთა კანდიდატურების წარსადგენად ხელისუფლებას ორი კვირის ვადა აქვს. მისი თქმით, პრეზიდენტი პარლამენტს დასამტკიცებლად ჯერ პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას წარუდგენს, მისი დამტკიცების შემდეგ კი პრემიერ-მინისტრი საკანონმდებლო ორგანოს მთავრობის მომავალი წევრების კანდიდატურებს შესთავაზებს. **მედია-ნიუსი**

## პარლამენტის ახალი რეგლამენტი

საქართველოს პარლამენტს უახლოეს დღეებში ახალი რეგლამენტი ექნება. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველი პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ინიციატივა გახდა და პარლამენტში რეგლამენტის ახალი პროექტი შეიქმნა, რომელსაც კანონის ძალა მიენიჭება. როგორც ბურჯანაძემ აღნიშნა, პარლამენტის რეგლამენტში სიახლეების შეტანის აუცილებლობა მას საპარლამენტო მუშაობის გამოცდილებამ უჩვენა. "ვფიქრობ, ახალი რეგლამენტი ბევრ იმ საკითხს გადაწყვეტს, რომელთა გამოც, 1999 წლის მოწვევის პარლამენტის მუშაობაში კრიზისული სიტუაციები იქმნებოდა," - აღნიშნა ბურჯანაძემ. მისი აზრით, ამჟამინდელი პარლამენტის ქმედუნარიანობის შესუსტება, გარკვეულწილად, რეგლამენტის ზოგიერთმა მოთხოვნამაც განაპირობა. როგორც კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა განაცხადა, პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის უფლება მხოლოდ დეპუტატებს ექნებათ და იგი კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი იქნება. "თუ დღემდე პარლამენტის საქმიანობის შესახებ სამართლებრივი დებულებები გაწერილი იყო სხვადასხვა კანონებში, ყველაფერი ერთიანი, კოდიფიცირებული და სისტემატიზირებული იქნება," - აღნიშნა ავტორმა.

*ინტერ-პრესი*

## ნარკომოვაჭრეები, ძმები - იფრამ და ილგარ ისაევები დააკავეს

გუშინ, მარნეულში, ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ნარკომოვაჭრეები, ძმები – იფრამ და ილგარ ისაევები დააკავეს. სამართალდამცველები ჩხრეკის ორდერის საფუძველზე მათ სახლებში შევიდნენ.

ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის გოდერძი ჩარქსელიანის ინფორმაციით, ნარკოტიკების მოხმარებისა და რეალიზაციისთვის მრავალჯერ ნასამართლევ იფრამ მუსაევს ჯიბეში უპოვეს 6 ე.წ. "ბაში" ჰეროინი, ხოლო კინოლოგებმა, ძაღლების დახმარებით, მის საწოლში კიდევ 4 "ბაში" აღმოაჩინეს. გარდა ამისა, იფრამ მუსაევის ბინიდან ამოღებულ იქნა საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი გლუვლულიანი თოფი.

რაც შეეხება ილგარ მუსაევს, მას სპეცოპერაციის დროს 7 "ბაში" ჰეროინი აღმოაჩნდა. "თითოეულ მათგანს 1 გრამზე მეტი ნარკოტიკი ჰქონდა, რაც განსაკუთრებით დიდ რაოდენობად ითვლება. ჩვენ ერთი თვის წინ დავაკავეთ ნარკომოვაჭრე თამილა ბაირამოვა, რომელმაც აღიარა, რომ სარეალიზაციოდ ნარკოტიკებს მუსაევებისგან ყიდულობდა," - აცხადებს ჩარქსელიანი.

"სამი დღის წინ სამინისტროსთან ერთად ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად მარნეულში მცხოვრები ნარკორეალიზატორი ჭუმბურიძე დავაკავეთ. სამუშაოები კვლავ გრძელდება. გვაქვს ოპერატიული მონაცემები და უახლოეს ხანებში კიდევ რამდენიმე ნარკომოვაჭრის დაკავებას ვგეგმავთ," - ამბობს ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი.

*ინტერ-პრესი*

## ვინ და რისთვის ისროდა კოდორის ხეობაში, გაურკვეველია



*ემზარ კვიციანმა ვერ გაარკვია ვინ ისროდა კოდორში.*

გუშინ დილიდან კოდორის ქვემო ხეობაში სროლის ხმა ისმოდა. ისროდნენ ყველა სახის იარაღიდან – ჯავშანტექნიკიდან, ტყვიამფრქვევებიდან, საზენიტო დანადგარებიდან. სროლა, დაახლოებით, ორი საათის განმავლობაში გაგრძელდა და კარგა ხანს გაურკვეველი იყო, ვინ ვის ესროდა.

მოულოდნელად ატეხილ სროლასთან დაკავშირებით, კოდორის ხეობაში სასწრაფოდ განგაში და საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული რაზმის "მონადირის" წევრები და ადგილობრივი მოსახლეობა იარაღით ხელში ხეობის მისადგომებთან დაირაზმა. ადგილობრივ მოსახლეობასა და ჯგუფ "მონადირის" წევრებისგან შექმნილ ბატალიონებს, რომლებიც წინა ხაზზე, სოფელ ლათასთან განლაგდნენ, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი ხელმძღვანელობდა. სროლას ადგილობრივ მოსახლეობაში მსხვერპლი არ მოჰყოლია, არც არავინ დაშავებულა.

ვინ ისროდა კოდორის ხეობაში, ამის შესახებ გუშინ მთელი დღის განმავლობაში უშიშროების სამინისტრო კონკრეტულ პასუხს არ იძლეოდა. "საგანგაშო არაფერია. ყველაფერი მოგვიანებით გაირკვევა, შესაძლოა, რუსები წვრთნებს გადიოდნენ," - ასეთი განცხადებები კეთდებოდა ქვეყნის უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან. სროლების დასრულებისთანავე, სიტუაციის ადგილზე შესასწავლად, პრეზიდენტმა, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის ვალერი ჩხეიძის ხეობაში გამგზავრების ბრძანება გასცა. ძალოვანთა საგანგებო თათბირის დასრულებისთანავე ვალერი ჩხეიძე ვერტმფრენით ხეობაში გაფრინდა, თუმცა, ნისლის გამო, ვერტმფრენმა კოდორის ხეობაში ვერ შეაღწია. ხეობაში გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვიღაცას სიტუაციის დაძაბვა სურს და კოდორის ხეობის მიმართულებით სროლა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. კოდორის ხეობელთა ბრალდება, რომ სროლას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებულ რუს სამშვიდობოთა 107-ე საგუშაგოდან აწარმოებდნენ, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ სასწრაფოდ და კატეგორიულად უარყო, არადა, თავად კოდორის ხეობელები ირწმუნებიან, რომ ხეობაში ცეცხლი სწორედ რუს სამშვიდობოთა საგუშაგოდან გახსნეს.

"გეგონებოდათ, ომი დაიწყო, გუგუნებდა და ზანზარებდა ყველაფერი, მოსახლეობა პანიკამ მოიცვა, ვერაფერს ვიგებდით, ქალი, ბავშვი, ყველა პანიკაში იყო. საქმე ისაა, რომ, რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენს დასახმარებლად აქ რაიმე დამატებითი ძალები კი არა, ჩიტიც ვერ შემოაღწევს. თოვლისგან გადაკეტილ-გადახერგილია გზები, უამინდობის გამო ფრენა არ არის. ის ხომ მაინც უნდა ვიცოდეთ, რუსი სამშვიდობოები, უბრალოდ, სროლაში მეცადინეობენ თუ ყველა სახის ტექნიკიდან ჩვენი მიმართულებით ცეცხლის გაჩაღება სერიოზული დარტყმის წინაპირობა იყო. სრულ ბლოკადაში ვართ, ჩვენი დამხმარე არავინ არის. რომ ამოვწყდეთ ერთიანად, ვერავინ ვერაფერს გაიგებს. გზები ასე იქნება გადაკეტილი თოვლის დადნობამდე. წინა ხელისუფლება არ ზრუნავდა ჩვენზე, ამ ხელისუფლებამ მაინც მოგვაქციოს ყურადღება. უკვე ათი წელია, ასეთ დღეში ვართ. ადგილობრივ მაცხოვრებელთა მობილიზაცია ყოველთვის ვერ გვიშველის. არ ვართ იმის ღირსნი, რომ ასე მოგვეპყროს ვინმე," - ასეთი შინაარსის კომენტარებს აკეთებდნენ გუშინ კოდორის ხეობის ის მაცხოვრებლები, რომლებთან დაკავშირებაც ჩვენ შევძელით.

მათი მონათხრობების მიხედვით, სროლა დილის თერთმეტ საათზე დაიწყო და ორ საათს გაგრძელდა. რაც შეეხება რუსი მშვიდობისმყოფელების 107-ე საგუშაგოს, ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებებით, ის ქვარჩხანასა და ილტას შორის მდებარეობს და აფხაზური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიას ესაზღვრება.

პრეზიდენტის რწმუნებულმა კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანმა, რომელმაც გუშინ დილიდანვე ხეობაში განგაში და საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ რუსი სამშვიდობოების გარდა, იქ ვერავინ ისროდა. არადა, რწმუნებულის თქმით, რუსი სამშვიდობოების ერთ-ერთი სარდალი, რომელიც თავად დაკავშირებია კვიციანს, თურმე თავგამოდებით არწმუნებდა მას, რომ სროლა აფხაზებმა ატეხეს.

"შეუძლებელია, ამ საქმეში აფხაზები იყვნენ გარეული. მოგეხსენებათ, კოდორში როგორი დიდთოვლობაა. საიდანაც სროლა დაიწყო, იქ აფხაზები ვერ მიაღწევდნენ. იქ მხოლოდ რუსი სამშვიდობოები დგანან. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს რუსები რაღაც სწავლებებს გადიან, სიმართლეს არ შეეფერება. ჩვენი სადაზვერვო რაზმები ფხიზლად არიან. სრული მობილიზაციაა. ამჟამად სიტუაცია უკვე დაწყნარდა. ერთია მხოლოდ, ქალიც და ბავშვიც პანიკაშია," - აცხადებს ემზარ კვიციანი.

ერთი სიტყვით, ვინ ვის და რისთვის ესროდა, გუშინ მაინც გაურკვეველი დარჩა. ძალოვანები კი დღის ბოლოს კვლავ იმეორებდნენ: "საგანგაშო არაფერია".

*ხათუნა ჯანგირაშვილი*

## პრეზიდენტი სააკაშვილი და ასლან აბაშიძე კვირის ბოლოს შეხვდებიან

საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის ასლან აბაშიძის შეხვედრა მას შემდეგ იგეგმება, რაც რუსეთის ფედერაციაში ვიზიტით მყოფი აბაშიძე - ბათუმში, პრეზიდენტი სააკაშვილი კი თბილისში დაბრუნდება. წინასწარი ინფორმაციით, სააკაშვილისა და აბაშიძის პირისპირ შეხვედრა მომავალი კვირის ბოლომდე მოხერხდება. საუბარი ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობას და ამ მხრივ შექმნილ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას შეეხება. პრეზიდენტისა და ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის შეხვედრის ინიციატორი მიხეილ სააკაშვილია, რომელიც რამდენიმე დღის წინ აბაშიძეს ტელეფონით ესაუბრა. შეხვედრის შესახებ გადაწყვეტილება სატელეფონო საუბრისას მიიღეს. **მედია-ნიუსი**

## „ახლების" საკანონმდებლო ინიციატივა

მიმდინარე კვირას საპარლამენტო კომიტეტებმა, წესით, საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტების განხილვა უნდა დაიწყონ. მართალია, პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის წევრები აცხადებენ, რომ **"ცვლილებების პაკეტი, ძირითადად, ტექნიკური ხასიათისაა და საარჩევნო ვადებსა და პროცედურებს ეხება"**, მაგრამ, ამის მიუხედავად, ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და, მთლიანად, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესის განხილვას პარლამენტი გვერდს მაინც ვერ აუვლის.

ოპოზიციური ფრაქციები არჩევნების წინ ცესკო-ს ფორმირების წესის შეცვლას დაჟინებით ითხოვენ, რადგან, მათი აზრით, **"საარჩევნო ადმინისტრაცია ამჟამად ხელისუფლების ერთპარტიული მონოპოლიის ქვეშ იმყოფება, რის გამოც საპარლამენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარება გამორიცხულია."**

პარლამენტში უკვე შესულია "ახალი მემარჯვენეების" მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი, რომელიც სწორედ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პრინციპს ეხება. როგორც "24 საათთან" საუბრისას ცესკო-ს წევრმა "ახალი მემარჯვენეებიდან" გიორგი ჩახნაშვილმა განაცხადა, ცესკო-ს ფორმირებისას აუცილებელია პარიტეტის დაცვა. მისი თქმით, ამ ეტაპზე ყველაზე მისაღებია შემდეგი მოდელი:

კომისიის ერთ წევრს ნიშნავს პრეზიდენტი, თითოთითოს – ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელობა, ასევე თითო-თითოს – 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული სამი პარტია ("მოქალაქეთა კავშირი", "აღორძინება", "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს") და ის ხუთი პარტია, რომელთაც 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში თბილისში ოთხპროცენტიანი ბარიერი დაძლიეს ("ლეიბორისტული პარტია", "ნაციონალური მოძრაობა", "გაერთიანებული დემოკრატები", "ახალი მემარჯვენეები", "ერთობა").

*24 საათი*

## "პი-ეი კონსალტინგი" თავის ფილიალებს უკეთ გააკონტროლებს

"გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ" (გსეკ), როგორც იქნა, ელექტროენერგიის აღრიცხვიანობის მოწესრიგებაზე ზრუნვა დაიწყო. კომპანიის მმართველმა ამერიკულმა "ფი-ეი კონსალტინგ გრუფ"-მა რუსულ "ელსტერ მეტრონიკასთან" ხელი მოაწერა ხელშეკრულებას აღრიცხვის ხელსაწყოებისა და პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდების თაობაზე. კონტრაქტს საქართველოს ენერგოუსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო დააფინანსებს.

როგორც "24 საათს" "პი-ეი კონსალტინგიდან" აცნობეს, "ელსტერ მეტრონიკა" საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე შეარჩიეს. სისტემაში, რომელიც ამ კომპანიამ გსეკ-ს უნდა მოაწოდოს, მრიცხველები და საკომუნიკაციო ხელსაწყოები შედის. გარდა ამისა, "ელსტრ მეტრონიკა" გსეკ"-ს მოაწვდის "კომპიუტერიზებულ მონაცემთა შეგროვების სისტემას", რომლის საშუალებითაც ენერგოკომპანია თავისი მომსახურების სფეროში შემავალი 440 ობიექტიდან უახლესი ინფორმაციის მიღებას შეძლებს.

საბოლოოდ, ამ ტექნოლოგიებმა გსეკ-ის აღრიცხვიანობა უნდა მოაწესრიგოს. ამ სისტემის დამონტაჟების შემდეგ ენერგოკომპანიის ხელმძღვანელობას საშუალება ექნება, დაუყოვნებლივ მიიღოს რეალური ინფორმაცია თავისი ფილიალებისა და მათი ფიდერებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შესახებ.

გსეკ-ში ვარაუდობენ, რომ ამ ხელსაწყოების პირველ პარტიას თბილისში ექვს კვირაში ჩამოიტანენ.

"ამ სისტემის საშუალებით ჩვენი მართვის ჯგუფს ის ძირითადი მონაცემები მიეწოდება, რომელიც საჭიროა კომპანიის ფილიალების მიერ მომხმარებელთათვის მიწოდებული ელექტროენერგიის უკეთესად გაკონტროლებისთვის," – მიიჩნევს გსეკ-ის ტექნიკური დირექტორი მაიკლ ჰეინი. ის იმედოვნებს, რომ ახალი სისტემის დანერგვა ენერგოკომპანიის მართვის გაუმჯობესებას საგრძნობლად შეუწყობს ხელს.

*მაია ურუშაძე*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "საარჩევნო კოდექსში" შესატანი ცვლილებების პროექტის მოსამზადებლად უახლოეს დღეებში პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი შეიკრიბება და ოპოზიციური პარტიების მოთხოვნების საფუძველზე ცესკო-ს დაკომპლექტების წესს შეცვლის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა უახლოეს ხანებში რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს დაიწყებს. ამის შესახებ მოსკოვში მყოფმა აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ განაცხადა. მისი თქმით, იმპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობა დღე-ღამეში 100 მეგავატი იქნება. "აჭარაში ამ მოცულობის ელექტროენერგიის მოხმარება არასდროს ყოფილა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს 1999 წლის მოწვევის პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველი სხდომა 10 თებერვალს გაიმართება. პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, პარლამენტი, 28 მარტისთვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების გამო, მხოლოდ ერთ სესიას ჩაატარებს და არჩევნებამდე მუშაობას შეწყვეტს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 20-25 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვაშინგტონში დაგეგმილ ვიზიტთან დაკავშირებით, თედო ჯაფარიძე აშშ-ში გაემგზავრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟიშვილი, პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლების" დამფუძნებელი კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც ბოლო 14 წლის განმავლობაში შვეიცარიაში ცხოვრობს, საქართველოს ხელისუფლებისადმი მიმართვას ამზადებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერ ასლან აბაშიძის ბათუმში დაბრუნების შემდეგ, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" საარჩევნო სიების შედგენაზე სერიოზული მუშაობა დაიწყება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** კავკასიისა და სამხრეთ რუსეთის ხალხთა ფორუმი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას, ვლადიკავკაზში, აპრილის მეორე ნახევარში გაიმართება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ჩვენი აჭარას" ერთ-ერთი ლიდერი კობა ხაბაზი აცხადებს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის ასლან აბაშიძის მოსკოვში ვიზიტისას, ერთ-ერთ საკვანძო საკითხად ბათუმის ნავსადგურის რუსეთისთვის ხელსაყრელ და მომგებიან პირობებში გადაცემა განიხილება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.**"გაერთიანებული ოპოზიცია - ჩვენი აჭარას" ერთ-ერთი ლიდერი კობა ხაბაზი აცხადებს, რომ მოსკოვი ბათუმის სამხედრო ბაზებიდან დათხოვნილი ადგილობრივი ქართველების ნაცვლად, დაახლოებით 700 სამხედროს რუსეთიდან ჩამოყვანას აპირებს. ხაბაზის აზრით, მოსკოვის მიერ ასეთი მოქმედებების ფონზე, ამჟამად რუსეთში მყოფი აჭარის ავტონომიის მეთაური ასლან აბაშიძე ცდილობს, ისეთი ნაბიჯები გადადგას, რომლითაც ის ადგილობრივ მოსახლეობას დააშინებს. **პრაიმ-ნიუსი**

## საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ღია წერილი

საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მმართველმა ევროპულმა კონსორციუმმა ოფიციალურად მუშაობა დაიწყო 2002 წლის 12 თებერვლიდან და ისახავდა ორ ძირითად მიზანს:

- ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ყოველდღიური ფუნქციონირების წარმართვა მისი წამყვანი პრინციპების - გამჭვირვალეობის, თანასწორუფლებიანობის, პასუხისმგებლობისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით; და
- სესბის ინსტიტუციონალური გაძლიერება შემდეგი ღონისძიებების განხორციელებით:
- შესაძლებლობათა გაფართოება და მმართველობის გაუმჯობესება
- სათანადო გარემოს შექმნა, სადაც ელექტროენერგიის ბაზარს ექნება საშუალება განავითაროს საქმიანობა და აღმოფხვრას კორუფციისა თუ სხვა სახის დარღვევის ყველანაირი გამოვლინება

2003 წლის ბოლოს საბითუმო ბაზარს შეუძლია საჯაროდ გამოიტანოს თანხის ამოღებისა და გადახდის მაჩვენებლებთან მიმართებაში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებანი. თუმცა აქვე უნდა დავსძინოთ, რომ აღნიშნული შედეგები არ წარმოადგენს ფინანსური და ეკონომიკური მდგრადობის გარანტიას ენერგო სექტორში და არსებობს რიგი პრობლემებისა, რაც ბაზარმა ჯერ კიდევ უნდა გადალახოს. საბითუმო ბაზრის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ტრანზაქციის შედეგები ყველასათვის არის საჯარო და ხელმისაწვდომი, ვინაიდან მონაცემები რეგულარულად ქვეყნდება პრესის მეშვეობით და თავსდება საბითუმო ბაზრის ვებ გვერდზე. ზემოთ აღნიშნული ზემოთ აღნიშნული დადებითი მოვლენების განვითარებაში დიდი წილი მიუძღვის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის მოადგილეს ბატონ იოსებ ნატროშვილს.

2004 წლის 2 თებერვალს ბატონი იოსებ ნატროშვილი მოულოდნელად იქნა დაკავებული თბილისის პროკურატურის მიერ. ბატონ ნატროშვილს ბრალი წაეყენა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადებისაგან თავის არიდების მოტივით მისი გენერალური დირექტორობის პერიოდში, ვიდრე კონსორციუმი ოფიციალურად იქნა შემოსული მმართველობაში.

ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მმართველ კონსორციუმს სურს საჯაროდ დაადასტუროს მისი მტკიცე პოზიცია და რწმენა ბატონი იოსებ ნატროშვილის უნანაშაულობაში. ბოლო ორი წლის განმავლობაში საბითუმო ბაზრის თანამშრომლებთან ერთად იგი აწარმოებდა ყოველდღიურ საქმიანობას და საკუთარი პროფესიონალიზმით, ცოდნითა და სრული პატიოსნებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საბითუმო ბაზრის განვითარებაში.

ამასთანავე გვსურს განვაცხადოთ, რომ მხარს ვუჭერთ თბილისის პროკურატურის მიერ წამოწყებული გამოძიების გაგრძელებას. მზად ვართ ვითანამშრომლოთ გამოძიებასთან, რათა საზოგადოებისათვის ცხადვყოთ, რომ კონსორციუმი ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარს წარმართავს გამჭვირვალეობის, თანასწორუფლებიანობისა და თავდადების პრინციპით. გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ თანხების გადარიცხვის ხილულობა და სისუფთავე. სატრანსფერტო ანგარიშიდან თანხების განაწილება ხდება მისი აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცებული პროცედურებითა და საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

**საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი**

**ალბერტო სოლისი**

### საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2004 წლის 11 თებერვალს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

გადახდის სიდიდე განისაზღვრება 25.00 პროცენტული პუნქტით.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 11 აგვისტოს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2004 წლის 11 თებერვლის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბაზებმა ვერ გაამართლეს

## "რა საჭიროა სამხედრო ბაზა, თუკი იგი გავლენას ველარ ახდენს საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებზე?" - სკეპტიკურად კითხულობს სერგეი მარკედონოვი

*მოსკოვის სამხედრო-პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები საჯაროდ აღიარებენ, რომ აშშ სახელმწიფო მდივნის კოლინ პაუელის რუსეთის დედაქალაქში ვიზიტის შემდეგ კრემლმა საქართველოში სამხედრო ბაზებზე საუბრის ტონი შეარბილა. პაუელი ჯერ კიდევ თვითმფრინავში იჯდა, როცა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანმა მოხელემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ საქართველოდან 7-9 წელიწადში ბაზების გატანა სავსებით რეალურია. თავდაცვის მინისტრ ივანოვის თანაშემწის, ვლადიმერ მედვედევის განცხადებით საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანა, თურმე, ხუთ წელიწადშიც შესაძლებელია. რამ განაპირობა მოსკოვის პოზიციის ასეთი მეტამორფოზა?*
*"24 საათის" შეკითხვებს პასუხობს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ანალიზის ინსტიტუტის განყოფილების გემგე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტოლოგი სერგეი მარკედონოვი.*

რუსუდან ნიკურაძე
*საკ. კორ. მოსკოვში*

**- საიდან გაჩნდა ახალი ვადა - ხუთი წელი?**

- პაუელის დაპირების შემდეგ, რომ საქართველოში აშშ-ს სამხედრო ბაზები არ იქნება, მოსკოვმა პოზიცია შეცვალა და ვადებს გადახედა. რუსეთის უმაღლესი სამხედრო გენერალიტეტის დიდი წინააღმდეგობისა და მისი პროკომუნისტური განწყობების მიუხედავად, სახეზე გვაქვს მოსკოვის დიდი კომპრომისი ბაზების გატანის ტრადიციული ვადების საკითხში და ამის პროგნოზირება შეიძლებოდა კიდეც პაუელ-პუტინის შეხვედრიდან გამომდინარე.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ გადადგა საპრეზიდენტო არჩევნების წინ პუტინმა ასეთი არაპოპულარული ნაბიჯი, მას სამხედროების უკმაყოფილება არ აფიქრებს?**

- მოსკოვი განწირულია დათმობებისათვის. მოსკოვს არ შეუძლია ამერიკასავით დაეხმაროს საქართველოს. მთავარია ბაზების გატანის პირობების შეთანხმება. კარგი იქნება, თუ საქართველოდან გამოყვანილი რუსი სამხედროები და მათი ოჯახები სადმე ტრიალ სტეპში არ მოხვდებიან. როგორც ჩანს, ამაზე უკვე ამერიკა იზრუნებს და ჩვენს სამხედროებსაც პირობებს შეუქმნიან. ჩვენ ისე არ უნდა გავიდეთ, როგორც გერმანიიდან. და საერთოდ, რა საჭიროა სამხედრო ბაზა, თუკი იგი გავლენას ველარ ახდენს საქართველოს შიდაპოლიტიკურ პროცესებზე. ბაზებმა ვერ გაამართლეს, ანუ ჩვენი ბაზები დღეს საქართველოში პოლიტიკურად ვერავითარ როლს ველარ თამაშობენ.თუმცა ეს არ ეხება აფხაზეთის ზონას. იქ ბაზა სხვაა.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ უნდა გავიგოთ, რაზე ვლაპარაკობთ, ეთნიკურ საქართველოზე თუ აფხაზეთზე? რუსეთის სამხედრო ბაზა არ უნდა იყოს ეთნიკურ საქართველოში, აფხაზეთიდან კი რუსეთის სამხედროების წასვლა ომის განახლებას ნიშნავს. ამაზე პაუელ-პუტინს შორის მოხდა გარიგება.

**- როგორი იყო მოსკოვის რეაქცია აფხაზეთის ხელისუფლებასთან აშშ-ს ელჩის მაილსის შეხვედრაზე?**

- მან რეალურად შეაფასა სიტუაცია, თუმცა აშშ აქაც პოპულისტურ როლს თამაშობს. არა მგონია, რომ დღეს აშშ-ს ადმინისტრაციას საქართველოს მწვავე პრობლემების მოგვარება შეეძლოს. ახლა პრიორიტეტები იცვლება. ხვალიდან გვექნება საქართველო არა საქართველოსათვის, არამედ საქართველოს მოქალაქეებისათვის. გვექნება მოლდოვეთი არა მხოლოდ მოლდოველებისათვის, არამედ ამ რესპუბლიკის მოქალაქეებისათვის. ეს მოდელი სხვა რესპუბლიკებისთვისაც მისაღები იქნება.

**- მეჩვენება, რომ სააკაშვილის ვიზიტის წინ საქართველოს პროცესების გაშუქებაში რუსულმა პრესამაც შეცვალა აქცენტები?**

- რუსული პრესა ღრმად ვერ სწვდება საქართველოს პრობლემებს. ხოლო ხელისუფლება მკვეთრი განცხადებებისგან თავს იკავებს იმიტომ, რომ რუსული პოლიტიკური ელიტა მაინც ეჭვის თვალით უყურებს სააკაშვილის ლეგიტიმურობას. რუსული პოლიტელიტა მისით აღფრთოვანებული არ არის ახალი პრეზიდენტის ზედმეტი პოპულიზმის გამო. ოლიგარქებთან და კორუფციონერებთან ბრძოლა პუტინთან საერთო ენის გამონახვის საფუძველი არ არის. ამიტომ პირადად მე ამ შეხვედრიდან გარღვევას არ ველოდები, რადგანაც აფხაზეთის კონფლიქტი არც პუტინის დროს დაწყებულა და არც სააკაშვილის. არც მათ ეპოქაში არ დამთავრდება. არადა, მათ სწორედ აფხაზეთიდან მოუწევთ დაწყება.

# რუსეთის სამხედრო ბაზები - თავსატეხი საქართველოსთვის და ევროპისათვის



რუსეთის ბაზებს საქართველოში სამხედრო სტრატეგიული ფუნქცია პრაქტიკულად არ აქვს.

პირველი გვერდიდან

ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე, 1999 წლის ნოემბერში, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების ადაპტაციით წერტილი დაესვა თითქმის 30-წლიან მოლაპარაკებებს, რომელიც ისტორიაში "განიარაღების" სახელწოდებით არის ცნობილი. თავის დროზე ამერიკელი სპეციალისტების მიერ შემუშავებული დოქტრინა - იდეა ითვალისწინებდა შეტევითი ტიპის (ტანკი, არტილერია, ჯავშანმანქანა, საბრძოლო ვერტმფრენები და თვითმფრინავები) შეიარაღების შემცირებას და მის ურთიერთინსპექტირებას ნატო-სა და ვარშავის ბლოკის ევროპულ სივრცეზე. ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებას ხელი 1990 წელს მოეწერა და მასში ჯამური რაოდენობა, ორივე სამხედრო ბლოკისათვის, 42 ათასი ერთეული საბრძოლო ტექნიკით განისაზღვრა. მაგრამ ვინაიდან ხელშეკრულების შემდეგ საბჭოთა კავშირი მალევე დაიშალა, საჭირო გახდა ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ შეთანხმების ადაპტირება ახალი რეალიების გათვალისწინებით. რაც მოხდა კიდეც 1999 წლის ნოემბრის სამიტზე. მაგრამ იმისთვის, რომ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდეს, საჭიროა შესრულდეს ყველა ვალდებულებითი ნაწილი. ერთ-ერთი ვალდებულება დაკავშირებულია რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნასთან საქართველოში. ეუთო-ს დასკვნითი აქტის დანართ 14-ში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ რუსეთის სამხედრო ბაზის განთავსებისათვის საჭიროა "მიმღები მხარის მკაფიოდ გამოხატული თანხმობა", ვადების დადგენა და იმ ტერიტორიის მითითება, რომელიც დროებითი სარგებლობისათვის ეძლევა უცხო ქვეყნის სამხედრო ძალას. ბუნებრივია, ახალქალაქისა და ბათუმის რუსული სამხედრო ბაზების ირგვლივ არსებული გაურკვევლობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ხელშეკრულების რატიფიცირებისთვის, რომელზეც, როგორც ზემოთ ვთქვით, თითქმის 30 წელი მიმდინარეობდა მუშაობა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სანამ რუსეთი ვაჭრობს საქართველოსთან ამ ორი სამხედრო ბაზის გაყვანის საფასურის გამო, კრემლმა უმტკივნეულოდ დახურა ორი სტრატეგიული დანიშნულების სამხედრო პუნქტი ვიეტნამსა და კუბაზე. იბადება შეკითხვა, რა ასეთი გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ორი მცირე ზომის სამხედრო ბაზას, რომლის ჯამური შეიარაღება და ტექნიკა არ აღემატება ერთი პოლკის საბრძოლო პოტენციალს?

არსებობს მოსაზრება, რომ მოსკოვი, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ბაზებს პოლიტიკური ზეწოლის, გნებავთ შანტაჟის ინსტრუმენტად მიიჩნევს. ვთქვათ, თუ ახალქალაქიდან 62-ე ბაზა გავა, ეს სოციალურ ნიადაგზე სომხური სეპარატიზმის აფეთქებას გამოიწვევს რაიონში, სადაც სამუშაო ადგილებს, ძირითადად, სწორედ სამხედრო ბაზა და მისი უზრუნველყოფის ნაწილები ქმნიან. ცნობილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მე-12 სამხედრო ბაზის ხელმძღვანელობის თბილი ურთიერთობა. საქართველოს სამხედრო უწყების ინფორმაციით, ამ ბაზის მონაწილეობით 2002 წელს ჩატარდა მეტად საინტერესო სამხედრო სწავლება, რომლის სცენარი ითვალისწინებდა თბილისიდან შეჭრილი შეიარაღებული ძალის ლოკალიზებას და მის განდევნას ადმინისტრაციულ საზღვრამდე

სამხედრო ექსპერტი ირაკლი ალადაშვილი არ გამორიცხავს, რომ აღნიშნულ სამხედრო ნაწილს სულ სხვა დანიშნულებაც ჰქონდეს. მაგალითად, სენაკის სამხედრო აეროდრომზე შეჭრა და იქ გარკვეული პლაცდარმის შექმნა დამატებითი ძალების მისაღებად.

**"აქ არის მეორე გათვლა, რომელიც ჩვენ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს. ის ტექნიკა, რომელიც ხელვაჩაურში, სპეციალურ ფარეხებში დგას, შეიძლება გადმოსროლილი იქნეს სენაკის მიმართულებით. რამდენიმე პიროვნებას ნანახი აქვს მე-12 რუსული სამხედრო ბაზის მეთაურის ოპერატიული რუკა ასეთი გადაადგილებების აღმნიშვნელი სიმბოლოებით. ჩვენი პრობლემა ყოველთვის ის არის, რომ ნაკლები ინფორმაცია გვაქვს ამის შესახებ. ასევე, ახალქალაქში დისლოცირებული 62-ე რუსული ბაზის ფუქცია არის გასვლა ბორჯომის მიმართულებით და იმ გვირაბის აღება, რომელიც აკავშირებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს".**

ამგვარი გეგმის არსებობას და შეზღუდული საბრძოლო პოტენციალის ორი სამხედრო ბაზისათვის (რომლებსაც საკუთარი აეროდრომიც კი არ აქვთ) სერიოზული სტრატეგიული ამოცანის დაკისრებას, სიბეცედ მიიჩნევს ცნობილი რუსი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი. ექსპერტის თქმით, რუსეთის პოლიტიკურ წრეებში არსებობს აზრი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს იძულებით ინტეგრირებას რუსეთის შემადგენლობაში და მოსკოვს სამხედრო ბაზები სწორედ ამ ჩანაფიქრის რეალიზების ინსტრუმენტად ესაჭიროება. თუმცა, საქართველოს წინააღმდეგ კრემლის მხრიდან ძალისმიერი ბერკეტის ამოქმედების მცდელობას, ფელგენგაუერის აზრით, საქართველოს სტარტეგიული პარტნიორების მხრიდან ადეკვატური პასუხი მოჰყვება .

**"რუსეთში ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ სულ ახლოს იმყოფება თურქეთის მესამე საველე არმია. რუსეთის ნებისმიერი მცდელობა, ძალის გამოყენებით მოიყვანოს თბილისში პრომოსკოვური ძალები, საკმაოდ სერიოზულ წინააღმდეგობას წააწყდება და, პრინციპში, მე არც იმას გამოვრიცხავ, რომ საქართველოში ნატო-ს სამშვიდობო ძალებიც გამოჩნდნენ. ეს შეიძლება იყოს ამერიკული დახმარებით შექმნილი თურქეთის კონტინგენტი. ამისთვის საკმარისია აღმოსავლეთ ანატოლიდან გადმოსროლილი იქნეს იქ განლაგებული სამხედრო ძალების მცირე ნაწილი, რომელიც უეცრად შთანთქავს საქართველოში არსებულ რუსულ სამხედრო ძალას. ანუ, მოსკოვში თითქმის არ ითვალისწინებენ იმ ფაქტორს, რომ საქართველოს გვერდით არის ძლიერი სამხედრო სახელმწიფო, რომელიც სამხედრო ძალით რუსეთს ათჯერ აღემატება აღნიშნულ რეგიონში და რომლისთვისაც ჩვენი პატარ-პატარა გარნიზონები არაფერს წარმოადგენს."**

ეს რაც შეეხება ახალქალაქისა და ბათუმის სამხედრო ბაზების საბრძოლო პოტენციალს. მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ქალაქ გუდაუთაში არსებობს რუსეთის სამშვიდობო ძალების სარეაბილიტაციო ნაწილი, სამართალმემკვიდრე იმ სადესანტო ბაზისა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. ეს ბაზა, სტამბულის 1999 წლის ეუთოს სამიტის შეთანხმების თანახმად, რუსეთს 2001 წლის 1 ივლისს უნდა დაეხურა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას ეჭვი აქვს, რომ რუსეთს ეს ვალდებულება არ შეუსრულებია და გუდაუთაში კვლავ თავმოყრილია 300 კაციანი დაჯგუფება და რამდენიმე ერთეული საბრძოლო ტექნიკა.





ქალაქის ცენტრში
ქირავდება ქალაქის ცენტრში
პრესტიჟულ ადგილას
400 კვ.მ. ფართის ტერიტორია.
საუკეთესოა რესტორნის, ღამის
კლუბის ან სხვა გასართობი
საქმიანობისათვის.
400 კვ.მ
ინფორმაციისათვის დარეკეთ: 893 200035


# როდის მოიცლის პროკურატურა ქართველი გენერლებისთვის

თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის დავით თევზაძისა და შეიარაღებული ძალების გენერალიტეტის წარმომადგენლების გენპროკურატურაში დაკითხვის ან შესაძლო დაპატიმრების შესახებ ინფორმაციების გავრცელებამ ამ დღეებში პიკს მიაღწია.

მაინც რა შეიძლება გაუხსენონ მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს?

დოკუმენტები, რომლებიც თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტმა გენერალურ პროკურატურაში გააგზავნა სამი უწყების - კონტროლის პალატის, პრეზიდენტის აპარატთან არსებულ გენერალურ ინსპექციასა და თავდაცვის სამინისტროს გენინსეპექციის მიერ მოკვლეულ მასალებს შეიცავს. ყველა მათგანს გრიფი "საიდუმლო" ადევს.

პრეზიდენტის გენინსპექციის ინფორმაციით, მისი მასალები სამინისტროს მიერ არასაბიუჯეტო სახსრებისა და გრანტების ხარჯვის კანონიერებას შეეხება, კონტროლის პალატის მასალები - 2000-2002 წლებში სურსათის, სამშენებლო მასალებისა და ინვენტარის სახით მიღებული გრანტების აღრიცხვიანობას, სამინისტროს გენინსპექციამ კი დამატებით მოკვლევა კონტროლის პალატის მასალებზე დაყრდნობით ჩაატარა.

მასში, სხვა საკითხებთან ერთად, საუბარია სასტუმრო "თორისა" და გორის უნტეროფიცერთა სკოლის მშენებლობისას დატაცებულ დიდი ოდენობით სამშენებლო მასალებზე. ობიქტებს კი სწორედ თავდაცვის სამინისტროს მიერ დაფუძნებული შპს-ები აშენებდნენ. გენინსპექციის მოკვლევის პროცესში სამხედრო პროკურატურაც იყო ჩართული.

არც გენერალურ და არც სამხედრო პროკურატურაში კონკრეტულ კომენტარებს არ აკეთებენ. მომავალი კვირა კი ირაკლი ოქრუაშვილმა "პოლიციელთა კვირეულად" გამოაცხადა. ვნახოთ, მოიცლის თუ არა იგი სამხედრო გენერლებისთვისაც. **მედია-ნიუსი**

# ხელისუფლება სახელმწიფო საწარმოების საფუძვლიან რევიზიას იწყებს

*სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნას სამ სახელმწიფო საწარმოში აუდიტის ჩატარების თაობაზე "აფართოებს" და საკუთარი ინიციატივით ათ ყველაზე მსხვილ სახელმწიფო საწარმოში ოთხი საერთაშორისო აუდიტი შეჰყავს. 25 თებერვალს საწარმოებსა და აუდიტორულ კომპანიებს შორის შესაბამისი ხელშეკრულებები გაფორმდება, რის საფუძველზეც აუდიტები ათივე საწარმოს 2003 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს მიმდინარე წლის ბოლომდე წარმოადგენენ. სააგენტოს ახლადდანიშნული თავმჯდომარე აუდიტორების შესაბამის დასკვნებს მოუთმენლად ელის.*

ეთერ მამულაშვილი

საწარმოთა მართვის სააგენტო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების საფუძვლიან რევიზიას იწყებს. ეს ბუნებრივიც არის, ახალი ხელისუფლება ცდილობს გაერკვეს, რა მემკვიდრეობა დარჩა ძველისგან და, რეალურად, რა ქონების მფლობელია ამჟამად სახელმწიფო. საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარე ერეკლე ქიქოძე ამის გასარკვევად იმ აუდიტორულ კომპანიებს ქირაობს, რომლებიც სხვადასხვა ბიზნეს-წრეებში სერიოზული ავტორიტეტით სარგებლობენ.

სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტოს უკანასკნელი მონაცემებით, საწარმოთა რაოდენობა, სადაც აქციათა სრული ან ნაწილობრივ მესაკუთრე სახელმწიფოა, 1800-ს აღემატება. აქედან 1400 - ადგილობრივი მნიშვნელობისაა, შესაბამისად, ისინი ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში არიან.

დარჩენილი 377 საწარმო ფედერალური მნიშვნელობის არის და მას სახელმწიფო საწარმოთა მართვის სააგენტო განკარგავს. ცნობისათვის - საკუთრების ყველაზე მეტი წილი სახელმწიფოს მრეწველობის, მშენებლობისა და ჯანდაცვის სექტორში გააჩნია. ყველაზე ნაკლები - ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროში. თითქმის ყველგან საწარმოთა საკონტროლო პაკეტის სრული მფლობელი სახელმწიფოა. მიუხედავად ამისა, სიტუაციის გაკონტროლება ხსენებულ საწარმოებში სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებს ყველაზე მეტად "უჭირდათ". საწარმოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში დღესაც სრული ქაოსი და განუკითხაობაა. პრობლემათა ის კასკადი, რომელიც ამ საწარმოებშია შექმნილი, თითქმის ყველგან ერთმანეთის იდენტურია.

სააგენტოს თავმჯდომარის 14 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა იმ ოთხი საერთაშორისო და ორმოცდაათამდე ადგილობრივი აუდიტორული კომპანიის ვინაობა, რომელთაც სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი 377 საწარმოს გასული წლის ფინანსური და სამეურნეო საქმიანობის შემოწმება დაევალათ.

აუდიტორული ფირმები ყოველ კონკრეტულ საწარმოსთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად მუშაობას, სავარაუდოდ, მარტის დასაწყისიდან შეუდგებიან. ქიქოძის გადაწყვეტილებით, ათ ყველაზე მსხვილ და უხვშემოსავლიან საწარმოს მსოფლიოში აღიარებული ოთხი საერთაშორისო დონის აუდიტი შეამოწმებს, დანარჩენებს - ადგილობრივი, ავტორიტეტის მქონე აუდიტორული ფირმები. სააგენტოს თავმჯდომარე საკუთარ გადაწყვეტილებას შემდეგნაირად ხსნის: **"ეს ათი საწარმო, რომლებიც პირობითად პირველი ჯგუფის კომპანიებში მოხვდნენ, რენტაბელურობითა და მაღალი წლიური ბრუნვით გამოირჩევიან. ისინი გარკვეულწილად სტრატეგიული მნიშვნელობისაც არიან",** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს ერეკლე ქიქოძემ.

ს.ს. "მადნეული", ს.ს. "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი", ს.ს. "საქართველოს რკინიგზა", ს.ს. "საქართველოს ელექტროკავშირი", ს.ს. "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია", ს.ს. "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია", შპს. "საქაერონავიგაცია", შპს. "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", ს.ს. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", ს.ს. ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი" – ეს ის ათი სახელმწიფო საწარმოა, რომელზედაც სააგენტოს თავმჯდომარე საუბრობდა. "24 საათი" დაინტერესდა ამ საწარმოთა მიერ უკანასკნელი წლების განმავლობაში დაგროვილი დავალიანებებისა და გასულ წელს ბიუჯეტში შენატანი თანხების რაოდენობით. ჩვენს მიერ მოპოვებულ ამ ინფორმაციას ცხრილის სახით ქვემოთ გთავაზობთ.

"პრაის ვოთერ ჰაუს კუპერსი", "ერნსტ ენდ იანგი", "დელოიდ დე ტუში" და "ქეი-ფი-ენდ ჯი" - ეს კი ის ოთხი საერთაშორისო აუდიტორული კომპანიაა, რომელსაც ხსენებული ათი საწარმოს შემოწმება ევალება. სხვათა შორის, პირველ სამს საქართველოში მოღვაწეობის გარკვეული გამოცდილება უკვე გააჩნია. რამდენიმე სერიოზული კერძო დაწესებულების გარდა, "მადნეულის", "ფოთის პორტისა" და "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობისგან 2001-2002 წლის საქმიანობის აუდიტზე მათ დაკვეთა ჯერ კიდევ შარშან მიიღეს. შეგახსენებთ, რომ ამ სამი საწარმოს აუდიტორული შემოწმება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა იყო.

აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის მსგავსი რეკომენდაციის მიცემას დანარჩენ საწარმოებთან დაკავშირებით, ფონდი შარშან საქართველოში პროგრამის შეჩერებამდე გეგმავდა. რამდენიმე დღის წინათ თბილისში ვიზიტით მყოფი სავალუტო ფონდის მისია საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარეს შეხვდა. ბუნებრივია, საუბარი ქიქოძის ახალ ინიციატივასაც შეეხო, რამაც ფონდის მხრიდან სერიოზული მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა. **"მათ ჩემთან საუბარში აღნიშნეს, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როცა საქართველოს მთავრობა საკუთარი ინიციატივით იწყებს მსხვილ საწარმოთა აუდიტს. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ეს არის დადებითი მომენტი, როცა IMF-ის შემოთავაზებულ რეკომენდაციას მთავრობიდან ხელი არ შეეშალა და არ იყო ამის დაბლოკვის მცდელობა, როგორც ეს ადრე ხდებოდა",** - საკუთარი გადაწყვეტილებით თავს იწონებს ქიქოძე.

ამ ეტაპზე გარკვეული არ არის, რომელი აუდიტორული კომპანია რომელ საწარმოს შეამოწმებს. გასულ წლებში, როგორც წესი, მსგავსი საკითხები სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე ირკვეოდა. წელს ტენდერი არ ტარდება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სააგენტოს საამისოდ დრო აღარ ჰყოფნის. სააგენტოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, საწარმოებს მიეცათ სრული თავისუფლება – თავად აირჩიონ ის აუდიტორული კომპანიები, რომლებთანაც თანამშრომლობა სურთ. საკუთარი არჩევანის გასაკეთებლად საწარმოებს ვადა 15 თებერვლამდე ეძლევათ. იმისათვის, რომ საწარმოთა მართვის სააგენტომ საწარმოებს გაკეთებული არჩევანი მოუწონოს, მათ საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთებაც მოუწევთ. **"ჩვენ გვინდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს შემოწმების პროცესი, რადგან ჩვენთვის ეს იქნება ბაზისი მომავალი მუშაობის დაწყებისათვის. ჩვენ გვჭირდება ობიექტური სურათი, რის საფუძველზეც ჩვენ უნდა მივიღოთ ადეკვატური გადაწყვეტლებები ამა თუ იმ საწარმოს უფრო ეფექტური მუშაობისთვის",** - გვითხრა ქიქოძემ.

რამდენად წარმატებულად იმუშავებენ ხსენებული საწარმოები უახლოეს რამდენიმე წელიწადში, ამას დრო გვიჩვენებს. თუმცა, სააგენტოს თავმჯდომარე დღეს უკვე დარწმუნებით აცხადებს, რომ საერთაშორისო აუდიტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, სახელმწიფო საწარმოების მიერ გამომუშავებული მოგება და, შესაბამისად, ბიუჯეტში შეტანილი დივიდენდების რაოდენობა მომდევნო წლებში, სულ ცოტა, გაორმაგდება. სხვათა შორის, ხსენებული ათი საწარმოდან შვიდს ბიუჯეტის მიმართ, 2000 წლიდან მოყოლებული, საკმაოდ სოლიდური დავალიანება დაუგროვდა. წლების განმავლობაში სახელმწიფოს კუთვნილ დივიდენდებსაც ისინი სრულად ვერ რიცხავდნენ. საწარმოთა მართვის სააგენტოში ირწმუნებიან, რომ მუშაობის სწორი მიმართულების პირობებში, არც ძველი დავალიანებებისა და მათზე დარიცხული საურავების დაფარვა გახდება პრობლემა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

სახელმწიფო საწარმოებს საფუძვლიანად შეამოწმებენ.

| საწარმოს დასახელება | ბიუჯეტისა და სახელმწიფო ფონდების დავალიანება (2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) | | | 2003 წელს ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები | 2003 წლის ბიუჯეტში შეტანილი დივიდენდები |
|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | | |
| | | ბიუჯეტი | ფონდები | | |
| ს.ს. "მადნეული" | 11.121.800 | 7.769.800 | 3.352.000 | 1.055.700 | 138.000 |
| ს.ს. "საქართველოს რკინიგზა" | 19.014.400 | 12.109.700 | 6.904.700 | 34.415.000 | 8.850.000 |
| ს.ს. "თბილისის საერთაშორისო აეროპორტი" | | | | 2.451.600 | 100.000 |
| ს.ს. ნავთობის ეროვნული კომპანია "საქნავთობი" | 15.224.500 | 3.783.900 | 11.436.700 | 4.245.500 | 200.000 |
| ს.ს. "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" | 34.720.100 | 22.584.300 | 12.135.800 | 4.694.500 | |
| შპს. "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" | 33.938.400 | 24.576.200 | 936.200 | 746.300 | |
| ს.ს. "საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია" | | | | 3.866.700 | 4.000.000 |
| ს.ს. "საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია" | | | | 2.490.800 | |
| შპს. "საქაერონავიგაცია" | 352.800 | 351.100 | 1.700 | 2.977.300 | |
| ს.ს. "საქართველოს ელექტროკავშირი" | 224.900 | 196.800 | 28.100 | 2.796.500 | 110.000 |

CERMA RES&CO

უნიკალური შემოთავაზება!

თუკი თქვენი კომპანია ამუშავებს ხის მასალას, აწარმოებს ავეჯს და ავეჯის დეტალებს, კარ-ფანჯარას, პარკეტს და საპარკეტო ფრიზას

და თქვენ დაინტერესებული ხართ, რომ თქვენი საწარმო გახდეს საქართველოში წამყვანი კონკურენტუნარიანი კომპანია ან ექსპორტიორი დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებზე

მაშინ თქვენ გეძლევათ უნიკალური შანსი! შეუერთდით მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროგრამას, რომელიც დაგეხმარებათ გამოიყენოთ თქვენი პოტენციალი და გახდეთ საერთაშორისო ინდუსტრიის მნიშვნელოვანი მონაწილე.

პროგრამის ძირითადი ნაწილია თქვენთვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რაც შეიძლება მოიცავდეს:

- პროდუქციის დიზაინის სრულყოფას;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვას;
- საოპერაციო და ფინანსური სისტემების აწყობას;
- ტექნიკურ გადაიარაღებაში ხელშეწყობას;
- საექსპორტო შესაძლებლობების მოძიებას.

თქვენ დაგეხმარებიან უმაღლესი დონის ქართველი და საერთაშორისო ექსპერტები! თქვენ საშუალება გექნებათ მოინახულოთ წარმატებული კომპანიები დასავლეთ ევროპაში და დაამყაროთ კონტაქტები პოტენციურ მომხმარებლებთან.

მნიშვნელობა არა აქვს რამდენად დიდი ან სირთულეებით სავსეა თქვენი ბიზნესი, პროგრამა ითვალისწინებს როგორც დიდ, ასევე პატარა კომპანიებისთვის დახმარების გაწევას. გადამწყვეტი ფაქტორია თქვენი სურვილი და მონდომება გახდეთ წამყვანი კომპანია საქართველოს ხე-ტყის სექტორში!

დაგვირეკეთ!!! ჩვენ მოგაწვდით დაწვრილებით ინფორმაციას ამ პროგრამის შესახებ. გახსოვდეთ რომ ეს თქვენი კომპანიის შანსია გახდეს საერთაშორისო დონის კონკურენტუნარიანი საწარმო. გამოიყენეთ ეს შანსი, სანამ სხვა გამოიყენებს მას!

ჩვენი საკონტაქტო მისამართია:

თბილისი, ყაზბეგის გამზ. 42ა. "ცერმა"

ტელ: 307712/01 ფაქსი: 307703

# IFAD ქართველ გლეხებს გამდიდრებაში ეხმარება

*ჩინური სიბრძნის თანახმად, არსებობს სიღარიბის დაძლევის ორი გზა: მისცე არაფრისმქონე კაცს დაჭერილი თევზი, ან ასწავლო თევზის დაჭერა. სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია IFAD ირჩევს მეორეს. ის საქართველოში მესამე წელია მოღვაწეობს და მაღალმთიანი სოფლის მაცხოვრებლებს "თევზის დაჭერის" ყველა შესაძლო გზის სწავლებაში ეხმარება.*

მარიამ ჯაჭვაძე

**IFAD** საქართველოში მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების სპეციალურ შვიდწლიან პროგრამას ახორციელებს. სამთავრობო შეთანხმებას ხელი 2000 წლის 16 ოქტომბერს მოეწერა, თუმცა მისი რატიფიცირება პარლამენტმა ზუსტად ერთი წლის შემდეგ მოახდინა.

ხსენებული პროგრამის საერთო ღირებულება 8 მილიონი ამერიკული დოლარია, რომელსაც მთლიანად სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი აფინანსებს. პროგრამას პრაქტიკულად ახორციელებს საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული არასამთავრობო ორგანიზაცია "მთიანი რეგიონების განვითარების საერთაშორისო ასოციაცია" – **MADI**.

პროგრამის გავრცელების არეალია დუშეთის, ასპინძის, შუახევისა და ამბროლაურის რაიონების 48 სოფელი, რომლებიც 1000 მეტრს სიმაღლეზე მდებარეობენ. ამ სოფლებში პროგრამამ რეალურად 2003 წლის იანვრიდან დაიწყო მოქმედება.

პირველად ხსენებული პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაირგო საქართველოში რეგისტრირებული გერმანული სელექციის მაღალხარისხოვანი კარტოფილის ჯიშები. დემონსტრატორ ფერმერებს უსასყიდლოდ გადაეცათ სათესლე კარტოფილი, მინერალური სასუქები, შხამ-ქიმიკატები და შესასხურებელი აპარატები.

ასპინძის რაიონში დაწყებულია გუმბათ-აწყვიტის 32-კილომეტრიანი სარწყავი წყლის გრავიტაციული არხის მშენებლობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება 207 კომლის 139 ჰექტარი ფართობის გასარწყავება. ანალოგიური სამუშაოები სრულდება ასპინძის რაიონის კიდევ რამდენიმე სოფელში. ამბროლაურის რაიონის სოფელ შხივანში შენდება 4-კილომეტრიანი მილსადენი, რომელიც სასმელი წყლით 150 ოჯახს უზრუნველყოფს.

საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო სამუშაოების დაწყებამდე ოთხივე რაიონის ყველა საკრებულოს ფერმერებისთვის ჩატარდა ტრეინინგ-სემინარები მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგში დაგეგმილი სამუშოების მიხედვით.

პროგრამის ფარგლებში ოთხივე რაიონის ყველა შერჩეულ საკრებულოში მოეწყო "ფერმერთა ოთახები", სადაც თემატურადაა წარმოდგენილი ყველა ის აგროტექნოლოგიები, თანამედროვე სიახლეები და რეკომენდაციები, რომლებიც პრიორიტეტულ სასოფლო-სამეურნეო დარგებში მოსავლიანობის ზრდას გამოიწვევს. ნებისმიერი კონსულტაცია მთიელი გლეხებისათვის უფასოა.

წლის ბოლოს "ფერმერთა სახლები" გაიხსნა, რომელსაც "ფერმერთა ოთახებთან" შედარებით გაცილებით მეტი დატვირთვა და ფუნქცია გააჩნიათ.

სხვა ბევრ სიახლესთან ერთად, პროგრამის დირექტორის ნოე ხოზრევანიძის თქმით, წელს დაგეგმილია გლეხთა საკრედიტო კავშირებისა და სოფლად ფინანსური ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომელიც მთიანი რეგიონების სოფლის მოსახლეობას მოემსახურება. **"ეს კი მათ საშუალებას მისცემს, იყიდონ მათთვის სასურველი ნებისმიერი მოწყობილობა, ნებისმიერი სახის პირუტყვი, შექმნას მცირე გადამამუშავებელი ხაზი და სხვა",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ნოე ხოზრევანიძემ.

ცნობისათვის: სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი **IFAD**, რომელიც გაერო-ს სპეციალიზებული ორგანიზაციაა, ორიენტირებულია მსოფლიოს ყველა კონტინენტის განვითარებადი ქვეყნების სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაზე. ფონდს ამჟამად 162 წევრი ქვეყანა ჰყავს, აქედან 23 - განვითარებული, 12 - ნავთობის ექსპორტიორი, (ე.წ. "ოპეკის") და 127 - განვითარებადი ქვეყანაა. საკუთარი ოცდახუთწლიანი არსებობის მანძილზე **IFAD**-ს 122 ქვეყანაში ექვსასამდე პროექტი აქვს დაფინანსებული.

## მოკლედ

**რუსთავი.** რუსთავში გაუქმდა ინკასატორის ინსტიტუტი და დენის გადასახადის ხელზე აკრეფა აიკრძალა. დარღვევების გამოსავლენად "რელასში" ცხელი ხაზი ამუშავდება. გადახდა მოხდება მხოლოდ "რელასის" სალაროებსა და ბანკებში. "რელასი" ახალ, 15-ფურცლიან ქვითრებს ბეჭდავს, რისთვისაც 3 600 ლარი უკვე გამოყოფილია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვალუტის გადამცვლელი 61 პუნქტიდან 2003 წელს 45 გაუქმდა. აქედან 29 ფიზიკურ, 16 კი იურიდიულს პირს ეკუთვნოდა. გაუქმების მიზეზი საზედამხედველო ღონისძიებების დაუკმაყოფილებლობა იყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ალკოჰოლური სასმელების XI საერთაშორისო გამოფენა "პროდექსპო-2004" მოსკოვში 9-13 თებერვალს გაიმართება. ამ გამოფენაში მონაწილეობას "თბილღვინოც" მიიღებს. კომპანია 20-ზე მეტი დასახელების პროდუქციას წარადგენს. ამავე გამოფენის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსში მონაწილეობას მიიღებს "წითელი ნახევრადტკბილი ხვანჭკარა", რომელმაც შარშან "პროდექსპო-2003"-ის უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ საქართველოს მთავრობისგან რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის (ღირებულების) ანაზღაურების საბანკო გარანტია მიიღო. ენერგოკომპანია რუსეთიდან დღე-ღამეში 200 მეგავატის ელექტროენერგიის იმპორტს გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 12 მილიონი ევროს კრედიტით აფინანსებს. რუსეთიდან იმპორტი 19 თებერვლამდე გასტანს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტრომ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დაფინანსების პროცესი დაიწყო. სამინისტროს სახაზინო სამსახურმა 6 თებერვალს საბიუჯეტო ორგანიზაციების დენის საფასურის ანაზღაურებისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან 1.141 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯი დააფინანსა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლიცენზიანტმა ვალუტის გადამცვლელებმა ჩამოაყალიბეს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ასოციაცია, რომლის მიზანია გადამცვლელ პუნქტებს შორის ჯანსაღი კონკურენციის შექმნა და არალიცენზირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ფუნქციონირების თავიდან აცილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა უახლოეს ხანებში რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს დაიწყებს. ამის შესახებ მოსკოვში მყოფმა აჭარის ლიდერმა ასლან აბაშიძემ განაცხადა. იმპორტირებული ელექტროენერგიის მოცულობა დღე-ღამეში 100 მეგავატი იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სპორტისა და კულტურის სფეროში მოღვაწეთათვის განკუთვნილი სტიპენდიების გაცემა დაიწყო. ამ მიზნით, გასულ კვირას ხაზინამ 79,5 ათასი ლარი გასცა. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, სახალხო არტისტებმა და სახალხო მხატვრებმა ყოველთვიური 300-ლარიანი სტიპენდია 2003 წლის 1 აპრილიდან უნდა მიიღონ. სტიპენდიანტთა რიცხვი, დაახლოებით, 250-ს შეადგენს. **ინტერ-პრესი**

# დაპირისპირება მიუნჰენის კონფერენციაზე

მიუნჰენში მიმდინარე ნატო-ს ყოველწლიურ კონფერენციაზე შეკრებილი თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრები ერაყის გარშემო შექმნილ ვითარებაზე მსჯელობას აგრძელებენ. მიუნჰენში კიდევ ერთხელ დაფიქსირდა გერმანიის რადიკალურად განსხვავებული პოზიცია. კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა იოშკა ფიშერმა განაცხადა, რომ ერაყში არსებულ ურთულეს ვითარებას სამხედრო ძალა ვერ გადაჭრის, რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს ის. მან აშშ-ს და ევროპას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში არსებული ვითარების დასარეგულირებლად მჭიდრო თანამშრომლობისაკენ და განახლებული მიდგომებისაკენ მოუწოდა.

**"ჩვენ დღესაც არ ვართ დარწმუნებულნი, რომ ეს ომი აუცილებლობას წარმოადგენდა,"** - განაცხადა ფიშერმა. ამასთანავე მან დასძინა, რომ გერმანია არავითარ შემთხვევაში არ გააგზავნის ჯარებს ერაყში, რითაც გერმანიის ხელისუფლების მტკიცე და ურყევი პოზიცია კიდევ ერთხელ დაადასტურა.



სხეფერი გერმანიის თავდაცვის და საგარეო საქმეთა მინისტრებს თავის პოზიციებს უმტკიცებს.

REUTERS

მისი თქმით, სამხედრო ძლიერება კონფლიქტს ვერ გადაჭრის, რადგანაც წინა პლანზე უკვე ჯიჰადისტური ტერორიზმი დგას, მთელი თავისი ტოტალიტარული იდეოლოგიით.

**"არც აშშ-ს, არც ევროპას და არც თავად ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს რეგიონში არსებულ ვითარებასთან შეგუება აღარ შეუძლიათ,"** - განაცხადა ფიშერმა.

მან შექმნილი ჩიხიდან გამოსვლის რეცეპტად ნატო-ს და ევროკავშირის არაბულ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა დაასახელა.

იოშკა ფიშერის აღნიშნული განცხადება აშშ-ში თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა გააკრიტიკა. მან განაცხადა, რომ აშშ-ს მიერ დაწყებული ერაყული კამპანია აბსოლუტურად გამართლებული და საფრთხისადმი ადეკვატური იყო. მისი თქმით, სადამ ჰუსეინის რეჟიმი აუცილებლად უნდა დამხობილიყო, რადგანაც ის არა მხოლოდ რეგიონის, არამედ მსოფლიოს სტაბილურობას საფრთხეს უქმნიდა.

**"როდესაც თქვენ ვინმე თოვლის გუნდას გესვრით, შეგიძლიათ პრევენტული ღონისძიება არც გამოიყენოთ. შეგიძლიათ დარტყმა მიიღოთ და შემდეგ იმოქმედოთ, მაგრამ, როდესაც გუნდას კი არა, ბიოლოგიურ იარაღს გესვრიან, რომელსაც ათი ათასობით ადამიანის განადგურება შეუძლია, ეს უკვე საფრთხეზე მეტია,"** - დაიცვა რამსფელდმა ვაშინგტონის პოზიცია.

ერაყში მოქმედების სრულ მზადყოფნას გამოთქვამს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ახალი გენერალური მდივანი იან დე ჰუპ სხეფერი. **"ჩვენ პასუხისმგებლობას არ უნდა გავექცეთ,"** - განაცხადა მან. სხეფერის თქმით, ნატო მზად არის მოქმედებისათვის, თუკი მას ერაყში დახმარებისათვის მიმართავენ.

# ჩეჩნები ტერაქტს გმობენ

"ასლან მასხადოვი თანახმაა, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მოლაპარაკებები დაიწყოს რუსეთის ხელისუფლებასთან," - ნათქვამია ჩეჩნეთის პრეზიდენტის ოფიციალური წარმომადგენლის, აჰმედ ზაკაევის განცხადებაში, რომელიც ჩეჩენპრესმა გაავრცელა. ზაკაევი მოსკოვის მეტროში მომხდარ ტერაქტთან ჩეჩნეთის ხელისუფლების რაიმე კავშირს ოფიციალურად გამორიცხავს და მომხდარ ფაქტს კატეგორიულად გმობს. "ჩვენ ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებს. ასეთი ნაბიჯები ჩვენთვის მიუღებელია, თუნდაც ეს ომისგან სასოწარკვეთილი ადამიანების მიერ იყოს მოწყობილი," - ვკითხულობთ განცხადებაში. ზაკაევის განცხადება პასუხია პუტინის ბრალდებაზე, რომელმაც ტერაქტები ჩეჩენ სეპარატისტებს, კერძოდ - მასხადოვსა და მის ბანდას დაუკავშირა. "ამას რაიმე საფუძვლიანი მტკიცებაც კი არ სჭირდება," - თქვა რუსეთის პრეზიდენტმა ტერაქტის კომენტირებისას. ზაკაევი კი რუსეთის პოლიტიკურ წრეებსა და საზოგადოებრიობას მიმართავს მოწოდებით, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ომი ჩეჩნეთში, რომელიც, ზაკაევის აზრით, თავად ბადებს ყველა სახის ტერორიზმს. მოლაპარაკებების დაუყოვნებელი დაწყება მასხადოვის ხელისუფლებას "ძალადობის მოჯადოებული წრის" გარღვევის ერთადერთ გამოსავლად მიაჩნია. "მხოლოდ ამითაა შესაძლებელი ძალადობის ყველაზე უგუნურ მომხრეთა შეჩერება და უდანაშაულო მსხვერპლის თავიდან აცილება," - ნათქვამია განცხადებაში. ძნელი მისახვედრი არ არის, რას შეაგებებს ჩეჩნების მიერ გაწვდილ ხელს ოფიციალური მოსკოვი. ზაკაევმა ადრეც დაგმო რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში მომხდარი ტერაქტები და მოლაპარაკებები ერთადერთ გამოსავლად მიიჩნია, თუმცა მოსკოვისაგან ამას რეაქცია არ მოჰყოლია. ახლაც პუტინმა ტერაქტები რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებს დაუკავშირა და მასხადოვთან მოლაპარაკებებისკენ მოწოდებები აღიქვა, როგორც მოქმედ პრეზიდენტზე ზეწოლა. ჩეჩნეთის თემა შეიძლება იქცეს საარჩევნო კამპანიის თემად, თუმცა, არსებული პოლიტიკური ფონისა და გახშირებული ტერაქტების გათვალისწინებით, ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩეჩნეთის ომის მიმართ პაციფისტური განწყობა პუტინს რაიმე პრობლემას შეუქმნის. მით უფრო, რომ 2000 წელს რუსეთის პრეზიდენტს გამარჯვებაში სწორედ ანტიჩეჩნური ისტერია დაეხმარა. "მოსკოვი ტერორისტებს არ ესაუბრება. მოსკოვი ტერორისტებს ანადგურებს," - ასეთია პუტინის უცვლელი პოზიცია. აჰმედ ზაკაევი კი ლონდონში იმყოფება, სადაც პოლიტიკური თავშესაფრის უფლებით სარგებლობს. "24 საათისათვის" ახლახან მიცემულ ინტერვიუში ზაკაევმა აღნიშნა: კრემლი დროა მიხვდეს, რომ კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ მოლაპარაკებების გზით შეიძლება. საკუთარ მისიას დასავლეთში მან ომის დასრულებისათვის გზების ძიება უწოდა.

# რუსეთში საპრეზიდენტო კანდიდატი გაუჩინარდა

14 მარტს რუსეთის ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ კანდიდატთა ოფიციალური რეგისტრაცია დაასრულა. კანდიდატთა შორისაა ივან რიბკინი, რომელსაც არჩევნებში წარმატების დიდი შანსი არა აქვს და ამიტომაც, პრესის ყურადღების ცენტრში სრულიად სხვა მიზეზით მოექცა. რიბკინის საარჩევნო შტაბის უფროსი ამბობს, რომ იგი გასული ხუთშაბათის შემდეგ არავის უნახავს. რიბკინის ადგილსამყოფელი არც მისმა მეუღლემ იცის. მან ქმრის გაუჩინარება მილიციას გუშინ ოფიციალურად აცნობა.

რიბკინი ადრე დუმის სპიკერი, მანამდე კი უშიშროების საბჭოს მდივანი იყო. მას ლიბერალ პოლიტიკოსად მიიჩნევენ. საუბარია ლონდონში მცხოვრებ ოლიგარქ ბერეზოვსკისთან მის კონტაქტებზეც. თავის დროზე სწორედ ბერეზოვსკი გახდა განხეთქილების მიზეზი მოძრაობა "ლიბერალურ რუსეთში", რომლის თანათავმჯდომარეც ივან რიბკინია. 2003 წელს მოძრაობას გამოეყვნენ სერგეი იუშენკოვი და ვიქტორ პოხმელკინი და ცალკე პოლიტიკური პარტია შექმნეს. პარტიის რეგისტრაციის დღეს კი იუშენკოვი მოკლეს. ხელისუფლებამ მკვლელობაში "ლიბერალური რუსეთის" თანათავმჯდომარე მიხაილ კოდანევი დაადანაშაულა. საქმე ამჟამად სასამართლოშია.

რიბკინი ბოლო დროს პუტინს მკაცრად აკრიტიკებდა და მას რუსეთის უმსხვილეს ოლიგარქს უწოდებდა, რომელიც ქვეყანას ტერორით მართავს. ბიბისი-სთვის მიცემულ ინტერვიუში რიბკინმა მოქმედი პრეზიდენტი ქვეყნის დანგრევაში დაადანაშაულა. რიბკინი რუს პოლიტიკოსთა იმ მცირე ჯგუფს მიეკუთვნება, რომელიც ჩეჩნეთის ომის დასრულებას ითხოვდა. მისი პოზიციის გამო, ბევრს ეგონა, რომ რიბკინის საპრეზიდენტო კანდიდატურას რეგისტრაციაში არ გაატარებდნენ. მართლაც, გენერალურმა პროკურატურამ მისი საარჩევნო შტაბის მიერ წარმოდგენილ ხელმოწერებში გაყალბებები დააფიქსირა და შტაბის ერთ-ერთი წევრი დააკავა კიდეც. მიუხედავად ამისა, საარჩევნო კომისიამ რიბკინი შაბათს რეგისტრაციაში მაინც გაატარა. ფორმალურად შესაძლებელია, რომ რიბკინის კანდიდატურა სასამართლომ მოხსნას, თუ პროკურატურა შესაბამის სარჩელს შეიტანს. გენპროკურატურაში ამბობენ, რომ ხელმოწერების გაყალბების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრაც არ არის გამორიცხული. თუმცა, მანამდე, თავად რიბკინი უნდა მოიძებნოს. მისი გაუჩინარების ვერსიები არ არსებობს. რუსეთის სამართალდამცველები ჯერ მხოლოდ იმას ამბობენ, რომ რიბკინს რუსეთის საზღვარი არ გადაუკვეთავს, ანუ მისი ძებნა რუსეთის ტერიტორიით უნდა შემოიფარგლოს.

# ჯონ კერი: ბუშის დღეები დათვლილია

ლევან ღირსიაშვილი

დემოკრატიული პარტიის ფავორიტი ჯონ კერი თავის წინასაარჩევნო კამპანიას სრული ტრიუმფით აგრძელებს. მან თანაპარტიელი კონკურენტები ამჯერად ვაშინგტონის და მიჩიგანის შტატებში გამართულ პრაიმერიზებში დაამარცხა. კერიმ ვაშინგტონის შტატში ხმათა დიდი უმრავლესობით მოუგო მეტოქეებს. რაც შეეხება მიჩიგანის შტატს, აქ დამკვირვებლები 50 პროცენტის აღებას ჰოვარდ დინს უწინასწარმეტყველებდნენ, თუმცა ხმათა ეს რაოდენობა, ყველასათვის მოულოდნელად, ჯონ კერიმ მიიღო. ჰოვარდ დინის სასარგებლოდ კი მხოლოდ 17-მა პროცენტმა მისცა ხმა.

ვაშინგტონის და მიჩიგანის პრაიმერიზები სუფთად წააგეს დემოკრატთა სხვა რეალურმა კანდიდატებმაც – ჯონ ედვარდსმა და უესლი კლარკმა. როგორც ჩანს, მათ ეს ბრძოლა, პრაქტიკულად, თავიდანვე დათმეს და ძალების კონცენტრირებას სამხრეთის შტატების პრაიმერიზებზე აპირებენ. მათი მომავალი შანსები კი სამშაბათს გაირკვევა, როდესაც ტენესის და ვირჯინიის შტატებში ჩატარებული პრაიმერიზის შედეგები გახდება ცნობილი. თუმცა, წინასწარი მონაცემებით, რომელიც ამ რეგიონებში ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას ემყარება, აქაც ჯონ კერი ლიდერობს.

ჯერჯერობით, მასაჩუსეტსელ სენატორს ცხრა პრაიმერიზიდან მხოლოდ ორი წაგება აქვს.



ჯონ კერის ტრიუმფალური სვლა გრძელდება.

REUTERS

ვაშინგტონის და მიჩიგანის შედეგების შემდეგ, დემოკრატიული პარტიის დელეგატთა რიცხვი, რომლებიც საბოლოოდ გამართულ პარტიულ კონფერენციაზე ხმას ჯონ კერის მისცემენ, 290-მდე გაიზარდა. მის უმთავრეს კონკურენტს - ჯონ ედვარდსს კი, ჯერჯერობით, მხოლოდ 132 მხარდამჭერი ჰყავს. როგორც ცნობილია, საბოლოო გამარჯვებისათვის კანდიდატებს თანაპარტიელთა 2162 ხმა სჭირდებათ. მხოლოდ ამ რაოდენობის მიღების შემდეგ დასახელდება დემოკრატთა ოფიციალური კანდიდატი, რომელიც 4 ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ამჟამინდელ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს დაუპირისპირდება.

დღევანდელი გადასახედიდან კი, ასეთი პიროვნება ჯონ კერი იქნება, რომლის ტრიუმფიც ბევრ სკეპტიკურად განწყობილ დამკვირვებელშიც უკვე გაოცებას იწვევს.

"სუპერ-შვიდეულის" პრაიმერიზში გამარჯვების შემდეგ, სადაც კერიმ შვიდი შტატიდან პირწმინდა გამარჯვება ხუთ შტატში მოიპოვა, ჯონ კერის წინააღმდეგ ბრძოლა კომპრომატებით გაგრძელდა. კერძოდ, მას ჩინეთის დაზვერვასთან კავშირი დაბრალდა. კომპრომატი, რომელიც ჟურნალმა "ნიუსვიკმა" ამოქექა, შემდეგი იყო:

1996 წლის ივლისში მასაჩუსეტსის შტატის სენატორს ჯონ კერის საარჩევნო კამპანიისათვის სერიოზული ფინანსები სჭირდებოდა. ამიტომ მან კაპიტოლიუმის ბორცვზე მდებარე თავის პრესტიჟულ ოფისში სიამოვნებით მიიღო პოტენციური სპონსორი, ვინმე ჯონ ჩანგი. ამ უკანასკნელს თან ახლდა ჩინელი ბიზნესვუმენი ლიუ ჩაოინი, რომელმაც კერის განუცხადა, რომ ამერიკის საფონდო ბირჟაზე თავისი კომპანიის აქციების გატანა სურდა. სანაცვლოდ, მან ჯონ კერის დაფინანსება აღუთქვა. გარიგება შედგა. ორივე მხარემ თავისი სიტყვა პირნათლად შეასრულა. რამდენიმე თვის შემდეგ კი, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დაადგინა, რომ ქალბატონი ლიუ ჩაოინი ჩინეთის არმიის დაზვერვის ვიცე-პოლკოვნიკი ყოფილა, ხოლო ამერიკულ ანგარიშებზე "საქველმოქმედო" თანხები პირადად ჩინეთის დაზვერვის შეფის განკარგულებით ირიცხებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაო კომპრომატია იმ ადამიანისათვის, რომელსაც პრეზიდენტობის სერიოზული ამბიცია გააჩნია, ამან ჯერჯერობით ვერ იმუშავა, რადგან არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ თავად ჯონ კერიმ მისი დამფინანსებლის რეალური წარმომავლობა იცოდა. ალბათ ამიტომაა, რომ ამ მასალამ მცირედითაც კი ვერ შელახა ჯონ კერის პოპულარობა. ეს რომ ასეა, ვაშინგტონის და მიჩიგანის პრაიმერიზების შედეგებიც კი საკმარისია.

ამ კომპრომატს არც თავად ჯონ კერი აქცევს ყურადღებას და კრიტიკის ძირითად ობიექტად ჯორჯ ბუშს მიიჩნევს.

**"ჯორჯ ბუშის დღეები დათვლილია და ამერიკა ცვლილების მოლოდინშია,"** - განაცხადა ორივე შტატში გამარჯვების შემდეგ ჯონ კერიმ რიჩმონდში გამართულ სადღესასწაულო სადილზე.

# კვიპროსის გაერთიანებაზე გაერო-ში იმსჯელებენ

კვიპროსელი თურქების უცვლელი ლიდერი რაუფ დენკთაში ნიუ-იორკში ჩავიდა, სადაც გაერო-ს ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებს. მოლაპარაკებებმა კვიპროსის გაერთიანების პროცესი უნდა დაასრულოს. 1974 წლიდან, კუნძულზე თურქეთის სამხედროების შეჭრის შემდეგ, იგი ორ - ბერძნულ და თურქულ ნაწილებადაა გაყოფილი. გაერთიანება კუნძულოვანი სახელმწიფოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივამ დააჩქარა. მიმდინარე წლის 1 მაისიდან კვიპროსი ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდება. მართალია, ეკონომიკური მაჩვენებლებით, კვიპროსის თურქულ ნაწილს ბერძნული სჯობნის, მაგრამ მიიჩნევენ, რომ ევროპულ თანამეგობრობაში კვიპროსი ერთიანად უნდა გაწევრიანდეს. დენკთაშის პოზიცია დიდი ხანი მოლაპარაკებების ხელშემშლელ ფაქტორად უფრო განიხილებოდა. დღეს კი იგი მიიჩნევს, რომ ორი მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილება სასწრაფოდ უნდა მოინახოს.

თურქეთი, რომელიც ადრე დენკთაშის ჩრდილოეთ კვიპროსის ერთადერთი მხარდამჭერი იყო, გაერთიანების პროცესის დაჩქარებაში დღეს თავად არის დაინტერესებული. კვიპროსის პრობლემა უფრო ფართო, თურქულ-ბერძნული ურთიერთობების შემადგენელი ნაწილია და დიდი ხანია, თურქეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების ერთ-ერთ მტკივნეულ თემას წარმოადგენს.

ანკარას კარგად ესმის, რომ კვიპროსის სტატუსის მოუწესრიგებლობის შემთხვევაში, ევროკავშირში კუნძულის მხოლოდ ბერძნული ნაწილი შევა. ეს ფაქტი ასევე უარყოფით გავლენას იქონიებს ანკარას ურთიერთობებზე ბრიუსელთან და თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების დაწყების პერსპექტივას გაურკვეველი ვადით გადადებს. საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობის მიუხედავად, ჯერაც უცნობია, შეთანხმდებიან თუ არა კუნძულის ბერძენი და თურქი ლიდერები. უმნიშვნელოვანეს პრობლემად ისევ ანკარას პოზიცია რჩება, რომელიც, კუნძულის თურქი მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით, კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში სამხედრო დანაყოფების გარკვეული ვადით დატოვებას ითხოვს. გაერო-ს გეგმით, 21 აპრილს კვიპროსის ერთიანობის აღდგენასთან დაკავშირებული რეფერენდუმი უნდა გაიმართოს. მხარეებმა გაერთიანების ძირითად პრინციპებზე შეთანხმება სწორედ ამ თარიღამდე უნდა მოასწრონ.

# რატომ არის სახელმწიფო ბაგა-ბაღებში განსხვავებული საფასური

ნანა ქადაგიშვილი

*სახელმწიფო საბავშვო ბაღებში მშობელთა ოფიციალური გადასახადი თვეში 5,40 ლარია (დევნილები, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები გადასახადისგან თავისუფლდებიან). ეს თანხა ბავშვთა კვებისთვის არის განკუთვნილი. ამის მიუხედავად, თბილისის სხვადასხვა რაიონის საბავშვო ბაღში ბავშვის ტარება 5,40 ლარზე ბევრად ძვირი და, თანაც, განსხვავებული ფასი ჯდება. ამის მიუხედავად, ბაღების მენიუები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება.*

5,40 ლარის გარდა, ქალაქის ბიუჯეტიდან სახელმწიფო ბაღებისთვის ერთი ბავშვის კვებაზე დღეში 65 თეთრია გათვალისწინებული. ორივე ერთად დღეში 89 თეთრი გამოდის, მაგრამ თუკი გადასახადისგან გათავისუფლებულ მშობელთა რაოდენობას გავითვალისწინებთ, 84 თეთრი რჩება. ქალაქის განათლების სამეურნეო სამმართველოს გათვლებით, ბავშვი მხოლოდ ამ თანხით რომ გამოკვებონ, დღეში, უხორცოდ, 986,58 კალორიას მიიღებს, ხოლო ხორციანად – 1 124,19 კალორიას (ხორციანი სადილის დამზადება კვირაში ერთხელ მოხერხდება). ნორმის მიხედვით, ბავშვმა დღეში 1800-2000 კალორია მაინც უნდა მიიღოს. მართალია, მას სახლშიც აჭმევენ, მაგრამ დღის ძირითად ნაწილს მაინც საბავშვო ბაღში ატარებს და დღეში 84 თეთრი მის ნორმალურად გამოკვებას ნამდვილად არ ეყოფა. **"ამ თანხით მხოლოდ იმდენის გაკეთება შეიძლება, რომ ბავშვი მშიერი არ იყოს,"** – აცხადებს ქალაქის განათლების მეურნეობის სამმართველო. თანაც, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი ბიუჯეტის იმედად, ბაღებში საკვების შეტანა, შეიძლება, სისტემატურად ვერ მოხერხდეს. როგორც გამგეები ამბობენ, 83-ე ბაღში მერიას პროდუქტი თვეში ერთხელ შეაქვს, 86-ე ბაგა-ბაღში კი – თვეში ორჯერ.

განათლების სამინისტრომ ბაღების გამგეებს მშობლების შემოწირულობათა ფონდების შექმნის უფლება სწორედ ამ 84 თეთრის სიმცირის გამო მისცა. თუმცა, დროთა განმავლობაში ნებაყოფლობითი შემოწირულობა სავალდებულო გადასახადად იქცა და ძალზე იშვიათია, რომ ბაღის გამგემ მხოლოდ ოფიციალური გადასახადის ფასად მიიღოს ბავშვი - ზოგიერთ ბაღში შემოწირულობისგან მთავალშვილიან ოჯახსაც არ ათავისუფლებენ. საბავშვო ბაღის "ათინათის" აღსაზრდელის მშობელი: **"როგორც მრავალშვილიანს, 15 ლარს მახდევინებენ, სხვები 20-ს თუ 25-ს იხდიან. გადასახადისგან გათავისუფლება თუ მერგებოდა, არც კი ვიცოდი".**

რადგან მშობლის მიერ 5,40 ლარის ზევით გადახდილი თანხა, ოფიციალურად, შემოწირულობად მიიჩნევა, სხვადასხვა რაიონში ბაღის გამგეები "შემოწირულობის" ოდენობას საკუთარი სურვილის მიხედვით აწესებენ. ვაკე-საბურთალოსა და მთაწმინდა-კრწანისის (როგორც პრესტიჟულ) რაიონებში არსებულ ბაღებში გადასახადი, საშუალოდ, 20-30 ლარია. მაგალითად, 137-ე ბაღში – 30 ლარი; 83-ე, 158-ე, 170-ე ბაღებში – 20 ლარი. ქალაქის გარეუბნებში კი 12-15 ლარამდე მერყეობს. მაგალითად, 86-ე ბაღში – 12 ლარი, 34-ე და 160-ე ბაღებში - 15 ლარი.



ბავშვმა დღეში 1800-200 კალორია მაინც უნდა მიიღოს.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

### რას ხმარდება მშობელთა შემოწირულობა?

როცა განათლების სამინისტრომ შემოწირულობათა ფონდების არსებობა დაუშვა, ოფიციალურად არ განუმარტავს, ეს თანხა, კონკრეტულად, რას უნდა მოხმარებოდა. **"აქედან გამომდინარე, ბაღის ხელმძღვანელობას ვერავინ მოედავება, შემოწირულობიდან მიღებული თანხები სურვილისამებრ რომ გამოიყენონ,"** – აცხადებს განათლების სამეურვეო სამსახურის წარმომადგენელი მანანა ავალიშვილი. ბაღის ხელმძღვანელებიც განათლების სამინისტროსგან მიცემულ უფლებას შესაბამისად იყენებენ და მშობელთა შემოწირულობას კვებასა და სამეურნეო ხარჯებთან ერთად ხშირად პედაგოგთა ხელფასებსაც ახმარენ. **"შემოწირული თანხით, უპირველესად, საკვებს ვყიდულობთ; რაც დაგვრჩება, პედაგოგებს ვაძლევთ. მათი ხელფასი 30-35 ლარს არ აღემატება, ასეთი ანაზღაურებით კი ვერავინ იმუშავებს,"** – განგვიცხადა ერთ-ერთი ბაგა-ბაღის გამგემ. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ბაღების ხელმძღვანელები ამას მშობლებს მაინც უმალავენ და უცხადებენ, რომ მათი შემოწირულობის დიდი ნაწილი ბავშვის კვებას, ნაწილი კი სამეურნეო ხარჯებს ხმარდება. მხედველობადაქვეითებულ ბავშთა რესპუბლიკურ ბაგა-ბაღის აღსაზრდელის მშობელი: **"ეს ჩვეულებრივი სახელმწიფო ბაღია და, სახელწოდების მიუხედავად, აქ ჯანმრთელი ბავშვებიც მოჰყავთ. ყოველთვიურად 30 ლარს ვიხდი. ბაღის გამგე გვიცხადებს, რომ ეს თანხა მხოლოდ კვებას ხმარდება. არადა, იანვარში ბავშვს გრიპი ჰქონდა და მთელი თვის განმავლობაში სულ 9 დღე იარა. გამგემ კი თვის ბოლოს 30 ლარის გადახდა მომთხოვა. თუკი 30 ლარი მხოლოდ კვების ფულია, მთელი თვის რატომ უნდა გადამეხადა"?**

### რითი განსხვავდება ერთმანეთისგან 12 და 20-ლარიანი ბაღების მენიუები?

შესადარებლად თბილისის პრესტიჟულ და არაპრესტიჟულ რაიონებში მდებარე ორი ბაღის მენიუებს გავეცნოთ. 86-ე საბავშვო ბაღი სამგორის რაიონში მდებარეობს. 5,40 ლარის ჩათვლით, მშობელი 12 ლარს იხდის. მაგალითისთვის, ორი დღის მენიუ ასეთია: საუზმე - ჩაი, ფუნთუშა, მოხარშული კვერცხი; სადილი - წვნიანი ბორში, ოჯახური, პური, კომპოტი; სამხარი - ჩაი, პური, ბრინჯის ფაფა. ეს ყველაფერი 1278,43 კალორია გამოდის. მეორე დღე – საუზმე: რძიანი კაკაო, შემწვარი კვერცხი; სადილი - ჭარხლის სალათა, წვნიანი ბორში, მოხარშული მაკარონი, პური კომპოტი; სამხარი - ჩაი, ფუნთუშა, კარაქი. ეს სულ 1331 კალორიაა.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე 83-ე საბავშვო ბაღის საფასური კი 20 ლარია. პირველი დღე: საუზმე - ჩაი, კარაქი, პური; სადილი - ბორში ძვლის ნახარშით, კატლეტი წიწიბურას გარნირით, პური, კომპოტი; სამხარი - ბრინჯის ფაფა, პური – სულ 1325,46 კალორია. მეორე დღე: საუზმე - მანის ფაფა, პიურე; სადილი - წვნიანი ბრინჯით, მოშუშული მაკარონი, პური, კომშის კომპოტი; სამხარი - ჩაი, კარაქი, პური – მთალიანად 1052,2 კალორია.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ფასის მიუხედავად, ამ ორი ბაღის მენიუ, თითქმის, ერთნაირია და დიდად არც 84 თეთრად გათვლილი მენიუსგან განირჩევა. ასე რომ, მშობელს ბავშვისთვის აუცილებელი კალორიების შევსება მაინც სახლში უწევს. მართალია, მშობლის შემოწირულობის ნაწილი სამეურნეო ხარჯებზეც მიდის, მაგრამ აღნიშნული ბაღები ერთმანეთისგან არც კომფორტითა და სისუფთავით განსხვავდებიან. 83-ე ბაღს ცეკვისა და უცხო ენის წრეები კი აქვს, მაგრამ წრეების საფასური შემოწირულობაში არ შედის - მშობელი დამატებითი განათლებისთვის ცალკე იხდის. აღნიშნულ ორ ბაღს შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ერთი საბურთალოს რაიონში მდებარეობს, მეორე კი – სამგორის.

# ავტოსადგომებიდან ბიუჯეტში, 2 მილიონის ნაცვლად, 600 ათასი შედის

*გარე ვაჭრობის პრობლემის, ასე თუ ისე, მოგვარების შემდეგ, საკრებულო ავტოსადგომების და პარკირების მოწესრიგებაზე გადავიდა. ოღონდ, "ნაციონალები" და "ლეიბორისტები", ჯერჯერობით, პარკირების განვითარების ფორმაზე ვერ შეთანხმდნენ.*

ნანა ქადაგიშვილი

საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე საქალაქო მეურნეობის კომისიის თვმჯდომარემ "ლეიბორისტმა" პაატა ჯიბლაძემ ქალაქის მაგისტრალებსა და მოედნებზე ავტოსადგომების მდგომარეობის გაუმჯობესების პროექტი წარადგინა. თუმცა, მისი განხილვა მშვიდ პირობებში ვერ მოხერხდა. **"საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ბევრად უკეთეს პროექტს შეიმუშავებს და პირობას ვდებ, რომ ავტოსადგომების პარკირებიდან ბიუჯეტში 2 მილიონი ლარი შევა,"** – განაცხადა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ "ნაციონალმა" კობა ბექაურმა და სხდომა დემონსტრაციულად დატოვა.

"ნაციონალები" და "ლეიბორისტები" ავტოსადგომების პარკირების მოწესრიგებას სხვადასხვა ფორმით ფიქრობენ. საქალაქო მეურნეობის კომისიის პროქტის მიხედვით, თბილისის მთავრობასა და გამგეობებს უნდა დაევალოს, ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ პარკირების ქსელის განვითარების პროგრამა, აკრძალონ უნებართვო ავტოსადგომები, ხოლო ლიცენზირებული ავტოსადგომები კერძო ინვესტორების ხარჯზე მოაწყონ. აღნიშნულ ღონისძიებებზე კონტროლს კი საქალაქო-მეურნეობის კომისია განახორციელებს. კობა ბექაურს გამოსავლად ავტოსადგომების იჯარით გაცემა მიაჩნია. **"ამ პრობლემის მოგვარებას გამგეობებისთვის საქმის გადაბარება სულაც არ სჭირდება. ავტოსადგომები იჯარით გავცეთ კერძო ფირმებზე და გარანტიას ვიძლევი, რომ ბიუჯეტში პარკირებიდან 2 მილიონი ლარი შევა,"** – აცხადებს ბექაური.

ქალაქში არსებული ავტოსადგომებიდან გასული წლის ბიუჯეტში, გეგმით გათვალიწინებული 880 ათასი ლარის ნაცვლად, 600 ათასი შევიდა. თუმცა, არც 880 ათასია რეალური შემოსავალი. თითოეულ ავტოსადგომზე ოფიციალურად აღრიცხულზე ბევრად მეტი ავტომანქანა დგას. საქალაქო-მეურნეობის კომისიის გათვლებით, აქედან ყოველწლურად ბიუჯეტში 2 მილიონი მაინც უნდა შედიოდეს. ამის გარდა, მოსაგვარებელია ავტოსადგომებზე მანქანებისა და დარაჯების უსაფრთხოების საკითხი. სადგომიდან მანქანის მოპარვის შემთხვევაში, დარაჯს არანაირი პასუხისმგებლობა არ ეკისრება, რადგან თვითონაც დაუცველია. **"ცვლილებები კანონმდებლობაშიც უნდა შევიდეს. შესაცვლელია წესების დამრღვევი მძღოლისა და დარაჯის დასჯის მექანიზმი. მანქანას ნომერს თუ მოხსნი, მძღოლი გიჩივლებს. ვერც საჯარიმო სადგომზე გადაიტან, რადგან მძღოლი ჯარიმას მაინც არ იხდის. თანაც, მანქანის უსაფრთხოდ გადაყვანის პირობებიც არ გვაქვს, ოდნავ თუ გაიფხაჭნა, მძღოლი მაშინვე გიჩივლებს. არადა, ჯარიმის სახით, ბიუჯეტში ცოტა შემოსავალი კი არ შევა, ჯერ მარტო საჯარიმო სადგომიდან მანქანის გაყვანა 25 ლარი ჯდება,"** – აცახდებს ქალაქის პოლიციის სამმართველოს მოძრაობის ორგანიზების განყოფილების უფროსი ავთანდილ ჯაშიაშვილი.

ასე რომ, პრობლემა უამრავია. მთავარია, საკრებულოს ფრაქციებმა, ერთმანეთთან კინკლაობის ნაცვლად, ამ პრობლემების მოგვარების ოპტიმალური გზა მოძებნონ.

# გერმანია 2 მილიონ 500 ათასი ევროთი გვეხმარება

გერმანიის მთავრობამ საქართველოს მიწისძვრის შედეგად დაზიანებული განათლების, ჯანდაცვისა და ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ობიექტების შესაკეთებლად 2 500 ათასი ევრო გამოყო. დახმარების პროექტი რვათვიანია და 19 განსაკუთრებით დაზიანებული ობიექტის აღდგენას ითვალიწინებს. ეს ობიექტებია: თბილისის 61-ე ბაგა-ბაღი, 175-ე საშუალო სკოლა, თბილისის მეექვსე საავტორო გიმნაზია, საჩხერის პაოლო იაშვილის სახელობის საშუალო სკოლა, რეანიმაციისა და ნეიროქირურგიის განყოფილება (ალ.ყაზბეგის გამზ.1), სმენადაქვეითებულ ბავშვთა ინტერნატი, ავტოტექნიკური პროფსასწავლებელი, თბილფოლადკონსტრუქციების ადმინისტრაციული შენობა, "მარგარინმრეწის" შენობა, 134-ე ბაგა-ბაღი, გეოლოგთა კორპუსი, წყნეთის გაზის სამმართველოს შენობა და გეოლოგების სახლი, ტელევიზიის სასტუმრო, განათლების სამინისტროს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, პირველი კლინიკური საავადმყოფო...

პროექტის განხორციელება ორშაბათიდან დაიწყება. სარემონტო სამუშაოებს შეასრულებს ტენდერში გამარჯვებული 6 ფირმა: "თბილმრეწვმშენი," "მონოლითმშენი," "თბილისი," "იბერია," "ორი," საჩხერის "სოფმშენკომპლექსი". ტენდერი გასულ წელს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ ჩაატარა. სამუშაოები რვა თვის განმავლობაში დასრულდება.

*24 საათი*

*საფეხურები*

# ბედის ანაბარა

*არასამთავრობო ორგანიზაცია "საფეხურების" პროექტი, "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით", აგრძელებს "ნამდვილი ამბავის" სერიის გამოქვეყნებას. ისტორიებს ქმნიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები. ისინი საუბრობენ თავიანთ პრობლემებზე. პროექტის საშუალებით, შესაძლებელია, მოვუსმინოთ და დავეხმაროთ მათ.*

სერგო კალანდაძე 47 წლისაა. 14 წლის წინათ იგი ავტოავარიაში მოყვა, სამი მალა ჩაემტვრა და მას შემდეგ ინვალიდის ეტლსაა მიჯაჭვული. ბატონ სერგოს სახელმწიფო მხოლოდ თოთხმეტლარიან პენსიას უხდის, მას კი, მარტო ნაწოლების გადახვევა 300 ლარი უჯდება. **"ერთი წლის წინათ გაფიცვა მოვაწყეთ პარლამენტის წინ, სწორედ მაშინ გამიჩნდა ნაწოლები,** - ამბობს ის, - **ჯერ ჰემატომით დამეწყო. იმხელა ღრმულები მქონდა ზურგზე, ჩემმა მეუღლემ რომ დაინახა, ორი დღე ტიროდა."**

სერგო კალანდაძეს ნაწოლებზე ოთხი ოპერაციის გაკეთება მოუხდა. ჭრილობები ჯერ არ მოშუშებია და ძვირადღირებული პროცედურების ჩატარება უწევს. მედიკამენტები და ბინტი იმდენი უჯდება, რომ კომპლექსურ მკურნალობას ველარ სწვდება. მისთვის კი აუცილებელია ზურგის მასაჟი და ელექტრომასტიმულირებელი აპარატის გამოყენება. არასრულყოფილი მკურნალობის გამო, რომელიც უსახსრობისგანაა გამოწვეული, ბატონ სერგოს სისხლის მიმოქცევის პრობლემაც შეექმნა - როგორც თავად ამბობს, კიდურებში სისხლძარღვები ნელ-ნელა უთხელდება.

უკვე ერთი წელია, სერგო კალანდაძე ლოგინიდან ვერ დგება. კომპლექსური მკურნალობის შემთხვევაშიც კი, დიდი დრო, ფული და ძალისხმევა დასჭირდება, იმ ერთი წლის წინანდელი მდგომარეობა რომ აღიდგინოს. ნაწოლების გადასახვევად - 300 ლარი სჭირდება, საერთო მასაჟის ერთი კურსი 250-300 ლარი ჯდება, ელექტროსტიმულაციის აპარატის ერთი კურსის ჩატარება კი 300 ლარი ღირს. ამდენი ფული მას არ გააჩნია.

რამდენიმე წლის წინათ, როცა საშუალება ჰქონდა, ეტლით გადაადგილებულიყო, ბატონმა სერგომ სასტუმრო "მარიოტ"-ში დაცვაში დაიწყო მუშაობა. **"იქაურ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი ჰქონდა, ინვალიდი დაესაქმებინა და შერჩევის შემდეგ მე ამიყვანეს. ახლაც მპირდებიან, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ გამაგრძელებინებენ მუშაობას,"** - ამბობს იგი. სერგო კალანდაძე პროფესიით მექანიკოსია; ადრე ჩრდილოეთ პოლუსთან მდებარე ერთ-ერთ ავტობაზას ხელმძღვანელობდა. ავტოავარია სწორედ იქ მოუვიდა და თბილისში დაბრუნება მოუწია. აქ არანაირი პირობა არ იყო, თავი რომ ერჩინა და ამერიკაში მყოფი და ეხმარებოდა. იგი მადლიერია მეუღლისა, რომელიც ტრავმის შემდეგ შეირთო. მათ ახლა ბიჭი ჰყავთ - უკვე სკოლაში სწავლობს. მიუხედავად იმისა, რომ უნარშეზღუდულია და მას სახელმწიფო არსებობის არანაირ შანსს არ აძლევს, ბატონი სერგო, ღვთის წყალობით, მაინც საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი გახდა.

**თუკი ვინმეს ამ ოჯახის დახმარების სურვილი გაუჩნდება, დაუკავშირდით პროექტის - "მარგინალური ჯგუფების ინტეგრაცია საზოგადოებაში მედიის საშუალებით" – კოორდინატორს, ირინა სიგუას. ტელ: 8 99 555 113**

# ლევან თედიაშვილს სისხლის სამართლის პასუხისგება ელის?

პირველი გვერდიდან

როგორც წინასწარი გამოძიების შედეგად ირკვევა, თანხების არამიზნობრივად ხარჯვა საწარმოს ხელმძღვანელმა 1998 წლიდან დაიწყო. ეს ის პერიოდია, როდესაც სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, ბიუჯეტის სიმწირის გამო, საპენსიო დავალიანება ნატურით - ფქვილით დაეფარა. ამ ღონისძიების გატარების მიზნით, გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც რეგიონში მოქმედი თითქმის ყველა წისქვილკომბინატი იღებდა მონაწილეობას. გამარჯვებულ კომბინატად კი ბოლოს ს.ს "კახეთის პური" გამოცხადდა. როგორც გამოძიება ამტკიცებს, ტენდერი ტენდენციურად ჩატარდა. კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში კი თავის დროზე აცხადებდნენ, რომ წისქვილკომბინატი ტენდერის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, რადგან ამ საწარმოს სახელმწიფოს ვალი არ ემართა.

ამჯერად კი სხვა მოსაზრება აქვს გამოძიებას. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ლადო მარხვაშვილი თელავის ექს-გამგებლის მედეა მეზვრიშვილის ნათესავია და ტენდერში მის ლობირებას სწორედ ის ეწეოდა. თუმცა, ძალოვანები ირწმუნებიან, რომ მარხვაშვილთან წილში იყვნენ ცნობილი ქართველი სპორტსმენი, პარლამენტარი ლევან თედიაშვილი და ერთ დროს წარმატებულ ბიზნესმენად მონათლული, ამჟამად ძებნილი გივი პოიაშვილი, მეტსახელად "ჩორნა".

უნდა აღინიშნოს, რომ "კახეთის პურის" აქციათა 70 პროცენტი სახელმწიფოს ეკუთვნის. ტენდერში გამარჯვების შემდეგ, ქარხანას 15 ათასი ტონა ხორბალი უნდა დაეფქვა, აქედან 7 ათასი ტონა პენსიონერებზე უნდა გაცემულიყო. გამომძიებელი სანდრო გიოშვილი კი აცხადებს, რომ ლადო მარხვაშვილმა, ლევან თედიაშვილმა და გივი პოიაშვილმა საბუთები გააყალბეს და 7 ათასი ტონის მაგივრად, პენსიონერებისთვის 4 ათასი ტონა სხვადასხვა ხარისხის ფქვილი გასცეს. **"ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ლადო მარხვაშვილმა, ლევან თედიაშვილის და მისი ახლობლის, გივი პოიაშვილის მეშვეობით, ყალბი დოკუმენტაციის გაფორმების გზით, გაყიდა მოხუცებისთვის კუთვნილი სამი ათასი ტონა ფქვილი. საერთოდ კი, ძირითად დამნაშავედ გივი პოიაშვილი სახელდება. ის კარგა ხანია, შუა აზიაშია და წარმატებულ ბიზნესმენად ითვლება. გამოძიების მასალებით კი ირკვევა, რომ ამ თანხის 90 პროცენტი მის მიერ არის გაფლანგული. რაც შეეხება ლევან თედიაშვილს, მის მიერ დაარსებულ შპს "თაქლას" კახეთში არსებული შავი ბიზნესის თითქმის ყველა სფეროში ლომის წილი აქვს და ეს საკითხი სულ მალე ფართო განხილვის საგანი გახდება",** - ამბობს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი ალექსანდრე გიოშვილი.


*გამომძიებლები ლევან თედიაშვილით ინტერესდებიან.*

სააქციო საზოგადოება "კახეთის პურის" ირგვლივ მასალების შესწავლა წელიწადნახევრის წინ დაიწყო. როგორც გამოძიება ამტკიცებს, მილონ ცხრაასი ათასი ლარი, შესაძლოა, გასამმაგდეს. თავად საწარმოს სახელმწიფო ბიუჯეტის 13 მილონი ლარი ვალი აქვს და დალუქულია. ლადო მარხვაშვილს კი სასამართლომ უკვე სამთვიან წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მას სტენოკარდიული შეტევა ჰქონდა და ექიმების კონტროლქვეშ იმყოფება.

# გუშინ ღირსების შელახვა, დღეს - ბრალდება

### "60 წუთისა" და "საქართველოს რკინიგზის" ყოფილი დირექტორის დავა

*სასამართლო დავა, რომელიც გადაცემა "60 წუთს" და "საქართველოს რკინიგზის" ყოფილ ხელმძღვანელს, კორუფციული ბრალდებით ამჟამად ორთაჭალის ციხეში დაპატიმრებულ აკაკი ჩხაიძეს შორის თვეების წინ დაიწყო, დღეს უნდა დასრულდეს.*

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ დღეს საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოს, კანონიერია თუ არა თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლითაც „რუსთავი 2-სა" და გადაცემა „60 წუთს" აკაკი ჩხაიძისთვის ბოდიშის მოხდა და 50 ათასი ლარის გადახდა დაეკისრა.

2002 წლის 27 ოქტომბერს ეთერში გავიდა „60 წუთის" მიერ მომზადებული გადაცემა, რომელშიც აკაკი ჩხაიძეს მისი ყოფილი პარტნიორი ალექსანდრე მაღლაფერიძე სერიოზულ ბრალდებებს უყენებდა. გადაცემის ავტორის მიერ მოძიებული სხვა მტკიცებულებებით, "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორი კორუმპირებულად გამოცხადდა.

აკაკი ჩხაიძემ გადაცემის ავტორს გენერალურ პროკურატურაში უჩივლა და მაშინდელ გენერალურ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს "60 წუთით" გადაცემული ფაქტების შესწავლის მოთხოვნით მიმართა. გენერალურ პროკურატურაში ჩატარებულმა გამოძიებამ, რომლის მონიტორინგსაც არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებდნენ და რომლებმაც არაერთხელ განაცხადეს, რომ გამოძიება არაობიექტურად მიმდინარეობდა, აკაკი ჩხაიძის საქმიანობაში დანაშაული ვერ აღმოაჩინა. გენერალური პროკურორის ნუგზარ გაბრიჩიძის მიერ ხელმოწერილი დასკვნით, აკაკი ჩხაიძე გამართლდა კიდეც. "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა გენერალური პროკურატურის დასკვნა სასამართლოში მტკიცებულების სახით წარადგინა და "60 წუთის" მიერ შელახული ღირსებისა და პატივის აღდგენა მოითხოვა.

მოსარჩელის მოთხოვნა საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა და აკაკი ჩხაიძის შელახული ღირსება 50 ათას დოლარად შეაფასა. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება "60 წუთმა" უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

საქმის განხილვა 29 იანვარს უნდა შემდგარიყო, თუმცა მოპასუხე მხარემ სასამართლოს დამატებითი დოკუმენტები წარუდგინა, რომლის შესასწავლად საკასაციო პალატას დრო სჭირდებოდა და ამიტომაც პროცესი დღეს გაიმართება.

სხვათა შორის, "ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ აკაკი ჩხაიძის კორუფციულ საქმეზე საუბარი პირველად სწორედ ნუგზარ გაბრიჩიძემ დაიწყო. ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა, რომელმაც იგივე აკაკი ჩხაიძე "60 წუთთან" მიმდინარე დავისას გაამართლა, მოგვიანებით, "პოლიტიკური ამინდის" ცვლილებასთან ერთად, პოზიციები შეიცვალა და მისი უწყების მიერ თავის დროზე უდანაშაულოდ და ღირსებაშელახულად გამოცხადებული ჩხაიძის საქმეები სეიფებიდან გამოალაგა.

სავარაუდოდ, დღეს "60 წუთი" გამართლდება, რადგან აკაკი ჩხაიძე სწორედ კორუფციის გამოა დაპატიმრებული.

*24 საათი*

# მკვლელად გამოსაცხადებლად ბრალდებულთა ძმობაც საკმარისია

პირველი გვერდიდან

შარშან ივნისში, საკუთარ საცხოვრებელ სახლთან დეპუტატ იური ჩიხრაძის 18 წლის შვილი მოკლეს. თავდაპირველად გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, რომ გარდაცვლილს ორი სასიკვდილო ჭრილობა სხვადასხვა სახის იარაღიდან ჰქონდა მიყენებული. აქედან გამომდინარე, გამოძიება ვარაუდობდა, რომ თავდამსხმელი ორი პიროვნება იყო.

რამდენიმე დღიანი მუშაობის შემდეგ სამართალდამცველებმა მართლაც დაადგინეს ორივე თავდამსხმელის ვინაობა. ნიკოლოზ ნიკოლაიშვილს და ამირან კალანდაძეს ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურამ განზრახ მკვლელობაში ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა და იმავე რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათ სამი თვით წინასწარი პატიმრობაც შეეფარდათ. თუმცა, სამართალდამცველებმა დამნაშავეთა ადგილსამყოფელის დადგენა ვერ შეძლეს და ამიტომ მათზე დღემდე ძებნაა გამოცხადებული.



*ვინ გამოაკრა პოლიციის განყოფილებაში უდანაშაულო ადამიანების ფოტოები?*

ტრადიციისამებრ, ძებნილების ფოტო-სურათები საქართველოს პოლიციის ყველა განყოფილებაში გამოიკრა, სადაც აღნიშნულია: **"განზრახ მკვლელობისთვის იძებნებიან ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი და ამირან კალანდაძე".** ერთი შეხედვით, ყველაფერი კანონის სრული დაცვით განხორციელდა, მაგრამ...

**"საბურთალოს რაიონის პოლიციის განყოფილებაში, კედელზე გამოკრულ ძებნილთა სიაში ნიკოლაიშვილის და კალანდაძის ახლობლებმა შემთხვევით აღმოაჩინეს, რომ მკვლელობისთვის იძებნებიან ბრალდებულთა ძმებიც – გიორგი ნიკოლაიშვილი და ირაკლი კალანდაძე, რომელთა სურათებიც ძმების გვერდით არის განთავსებული",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში არასამთავრობო ორგანიზაციის - "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატმა მაკა გიოშვილმა, რომელიც გიორგი ნიკოლაიშვილის უფლებების დაცვას რამდენიმე თვის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობს.

**"მკვლეობის ღამეს გიორგი ნიკოლაიშვილიც და ირაკლი კალანდაძეც მეგობრის დაბადების დღეზე რესტორანში იყვნენ, რისი უამრავი მოწმე არსებობს და ეს გამოძიებისთვისაც ცნობილია",** - ამბობს ადვოკატი.

იმისათვის, რომ დაცვის მხარე დარწმუნებულიყო, არიან თუ არა ბრალდებულთა ძმები ძებნილები, რაიონის სასამართლოს მიმართეს.

**"გაცნობებთ, გიორგი ნიკოლაიშვილის მიმართ (შესაბამისად ირაკლი კალანდაძეზეც) ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოში იძულებით ღონისძიებათა გამოყენების, გამოყენებაზე უარის თქმის, შეცვლის, გაუქმების ან ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობა რეგისტრირებული არ არის",** - აღნიშნულია სასამართლოდან მოსულ წერილში.

ანალოგიური ინფორმაცია გადამოწმდა ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციაშიც, სადაც ასევე ოფიციალურად დაადასტურეს, რომ გიორგი ნიკოლაიშვილი და ირაკლი კალანდაძე განზრახ მკვლელობისთვის არ იძებნებიან. მაგრამ, ვინ გასცა ბრძანება უდანაშაულო ხალხის მკვლელად გამოცხადებისა და მთელს საქართველოში მათი სურათების ძებნილთა სიაში განთავსებისა, დღემდე უცნობია.

**"პოლიციის განყოფილებაში რომ ვეუბნებით, სურათები უკანონოდ არის გამოკრული და ჩამოხსენითო, გვპასუხობენ, ბრძანება ზევიდან არის მოსული, ჩვენ არაფერი ვიცით და პასუხს ვერ ვაგებთო",** - გვითხრა მაკა გიოშვილმა.

ამის შემდეგ ადვოკატი იძულებული გახდა პირადად შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი ბარამიძისთვის მიემართა: **"გთხოვთ, უზრუნველყოთ საქართველოს მთელს ტერიტორიაზე სურათების ჩამოხსნა".**

**"პროკურატურის უფროსი გამომძიებლის რამაზ მეთოფიშვილის ოპერატიული დავალების შესაბამისად, ტარდება სათანადო ოპერატიული ღონისძიებები გიორგი ნიკოლაიშვილის ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში მოწმის სახით დაკითხვის მიზნით",** - ასეთი პასუხი მიიღო ადვოკატმა შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, სადაც, ალბათ, კარგად უწყიან, რომ მოწმეზე ძებნის გამოცხადება კანონის უხეში დარღვევაა, ხოლო უდანაშაულო ადამიანის მკვლელობაში ბრალდებულად შერაცხვა, კონსტიტუციის უგულებელყოფას ნიშნავს.

გიორგი ნიკოლაიშვილის და ირაკლი კალანდაძის მიმართ განხორციელებულ უკანონობაზე საკუთარ ბრალეულობას გამორიცხავს ვახტანგ ჩიხრაძის მკვლელობის საქმის გამომძიებელი რამაზ მეთოფიშვილიც.

**"საქმეში ბრალდებულად ცნობილები არიან ნიკოლოზ ნიკოლაიშვილი და ამირან კალანდაძე. მათი ძმები კი ამ საქმეში მხოლოდ მოწმის სტატუსით უნდა დაიკითხონ. ვინ გამოაკრა სურათები, ჩემთვის უცნობია. ამისთვის პასუხისმგებლობა პოლიციას უნდა დაეკისროს",** - ამბობს გამომძიებელი.

ერთი სიტყვით, ადამიანის უფლებების დარღვევაზე არც პასუხისმგებელი ჩანს და არც უკანონოდ გამოქვეყნებული სურათების ჩამოხსნას აპირებს ვინმე. არადა, მაკა გიოშვილის თქმით, უდანაშაულო ადამიანები დღემდე ქუჩაში გამოსვლას ვერ ბედავენ და, ფაქტობრივად, შინა პატიმრობაში იმყოფებიან.

**"მკვლელობისთვის ძებნილი გიორგი ნიკოლაიშვილის და ირაკლი კალანდაძის სურათები გამოკრულია არა მარტო საქართველოს ყველა რაიონის პოლიციის განყოფილებებში, არამედ ეს მონაცემები გადაცემულია საქართველო-სომხეთის საზღვარზე და შეყვანილია სასაზღვრო ჯარების მონაცემთა ბაზაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ პირებს ქვეყანაში თავისუფლად გადაადგილება არ შეუძლიათ და ვერც საზღვარს გადაკვეთენ, რადგან, დაკავების შემთხვევაში, პოლიციელთა მხრიდან ნებისმიერი პროვოკაციაა მოსალოდნელი, სიმართლის დადგენა კი არც ისე იოლია",** - ამბობს ადვოკატი, რომელმაც სამართალდამცავ სისტემაში სამართლის პოვნა ვერ შეძლო და მართსაჯულებას მიმართა.

**"იმისათვის, რომ უდანაშაულო ადამიანები დავიცვათ, იძულებული გავხდით სასამართლოსთვის მიგვემართა. ჩვენი მოთხოვნაა, ცილისწამების მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრას იმ ხალხის მიმართ, ვინც გიორგი ნიკოლაიშვილი და ირაკლი კალანდაძე განზრახ მკვლელობისთვის ძებნილებად გამოაცხადეს და მათ უფლებებს თვეების მანძილზე არღვევენ",** - განაცხადა მაკა გიოშვილმა.

## მოკლედ

**თბილისი.** მიუნხენში გამართულ საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა საქართველოსადმი მიძღვნილი განცხადება გააკეთა. მისი განცხადებით, საქართველოს მთიან რეგიონებში ჯერ კიდევ მოქმედებენ შეიარაღებული ბანდიტური დაჯგუფებები, რომელთა შემადგენლობაში არიან არაბი, თურქი და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული ტერორისტები. რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი მიიჩნევს, რომ ტერორიზმს ყველგან უნდა ებრძოლონ, მიუხედავად ადგილმდებარეობისა. მისი თქმით, ამ მიზნით აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგანი ჯარების სპეცფონდების ყოფილ ხელმძღვანელს მიხეილ კერესელიძეს უზენაესი სასამართლო დღეს განაჩენს გამოუტანს. იგი საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსის ლევან ტაბაღუას მკვლელობაშია ბრალდებული. კერესელიძე სახელმწიფო ბრალმდებელმა ტაბაღუას განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნო და მისთვის 15 წლიანი პატიმრობა მოითხოვა. მოკლულის მეუღლე კერესელიძისათვის სამუდამო პატიმრობის შეფარდებას ითხოვს. განსასჯელის ადვოკატმა სასამართლოს წინაშე ბრალდების აფექტის მდგომარეობაში ჩადენილ დანაშაულზე გადაკვალიფიცირება და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მისი დაცვის ქვეშ მყოფისათვის არასაპატიმრო სასჯელის შეფარდების შუამდგომლობა დააყენა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის მოადგილის სოსო ნატროშვილის მიმართ შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობის გაუქმების შუამდგომლობაზე საოლქო სასამართლო ამ დღეებში იმსჯელებს. პროცესი სავარაუდოდ, 10 თებერვალს დაინიშნება. ადვოკატის არგუმენტებით, სოსო ნატროშვილს აღმკვეთი ღონისძიება უსაფუძვლო ბრალდების გამო საერთოდ უნდა მოეხსნას. მისივე თქმით, უკანონო პატიმრობა ადამიანზე უარყოფით ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** თბილისი-სენაკის საავტომობილო გზის გორის მონაკვეთზე მომხდარი ავარია მსხვერპლით დასრულდა. დასავლეთ საქართველოდან თბილისის მიმართულებით მოძრავი "ოპელის" მარკის "ჯიპი" გზის სავალი ნაწილიდან გადავარდა. ავარიის შედეგად შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა ლენტეხის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი როლანდ გუგავა. მისი თანმხლები სამი პირი კი, უმძიმესი მდგომარეობით გორის საავადმყოფოში მოათავსეს. ავარიის მიზეზად "ოპელის" მარკის "ჯიპის" გადაჭარბებული სისწრაფით მოძრაობა სახელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** თბილისი-ზუგდიდის მატარებლის საბარგო განყოფილებაში ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლებმა "ფანტასა" და "კოკა-კოლას" დიდი რაოდენობით ფალსიფიცირებული ნაწარმი აღმოაჩინეს. ტვირთის მეპატრონის ვინაობა ჯერჯერობით უცნობია. 600 ყუთი ფალსიფიცირებული საქონელი განადგურებულია კანონის შესაბამისად. საბარგო განყოფილების ხელმძღვანელებიც და შს სამინსტროს ტრანსპორტის პოლიციის ის ბრიგადაც, რომელიც ზუგდიდი-თბილისის მატარებელს აცილებს, აცხადებენ, რომ მათთვის უცნობია ტვირთის პატრონის ვინაობა. განსაკუთრებულ საქმეთა უფროსი ინსპექტორის ბადრი პაჭკორიას განცხადებით, ფალსიფიკაცია იმდენად ოსტატურადაა გაკეთებული, რომ ერთი შეხედვით, შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია ნამდვილი ნაწარმისგან მისი გარჩევა. პაჭკორიას განცხადებით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ზუგდიდის სავაჭრო ქსელებში ფალსიფიცირებული "კოკა-კოლა", "ფანტა", "ბორჯომი" და სხვა ნაწარმი ჩნდება. მისი თქმით, მომავალში ამგვარი ფაქტების წინააღმდეგ უფრო აქტიურად იმოქმედებენ. ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლებმა მატარებელში ფალსიფიცირებული "ფანტას" და "კოკა-კოლას" 600 ყუთი აღმოაჩინეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა ამხილეს გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთში მცხოვრებნი, აგროფირმა „კაჭრეთის" დირექტორი ჰოვარდ ბაზერაშვილი, კაჭრეთის საკრებულოს თავმჯდომარე გივი რამაზაშვილი, გურჯაანში მცხოვრებნი - გურჯაანის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილე ემელ კორძაია და გურჯაანის რაიონის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფროსი გივი სანიშვილი. მხილებულებს ბრალად ედებათ გარკვეულ მსესხებლებზე ქონების საკუთრების ფლობის შესახებ ყალბი დოკუმენტების გაცემა. ამ დოკუმენტებით გურჯაანის რაიონის 20 მსესხებელმა საქართველოს „აგრობიზნეს ბანკიდან" 2002 წელს 133800 ლარი გამოიტანა და მიითვისა. საქმეს იძიებს პროკურატურა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში, მე-3 მასივის მე-10 კვარტლის 22-ე კორპუსში რეგისტრირებული, 52 წლის მარიამ ჯუღელი, რომელმაც 2003 წლის იანვრის თვეში მოტყუებით, აშშ-ში, ალასკის შტატში გაყვანისა და დასაქმების პირობით, თაღლითურად გამოსძალა ახმეტის რაიონის სოფელ ალვანში მცხოვრებ 43 წლის ანა ხოსროშვილს, 46 წლის მურთაზ ჯიხოშვილს და 44 წლის შოთა ცისკარიშვილს 1160-1160 აშშ დოლარი და მიიმალა. აღნიშნულ ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც გადაეგზავნა საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის ისანი-სამგორის საგამოძიებო განყოფილებას. **მედია-ნიუსი**

# რეფორმა თუ ძალაუფლება?

*ვარდების რევოლუციას უამრავი იმედი უკავშირდება: ქვეყნის შიგნით მოსახლეობა იმედოვნებს, რომ კმარა ვარდნა და მომავალი ჩვენია; ქვეყნის გარეთ მეგობრები იმედოვნებენ, რომ საქართველო განვითარების სწორ გზას დაადგება და ამით გაქარწყლდება ბოლო დროს ფეხმოკიდებული წარმოდგენა - პოსტსაბჭოური ქვეყანა ძირგავარდნილ ქვევრსა ჰგავს, რაც არ უნდა დახმარება ჩაყარო შიგ, არაფრით ივსება. ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ უამრავი მტერი იმედოვნებს, რომ არსებული პრობლემების ფონზე ყოველი ჯაფა დაკარგულია და ვარდებსაც უთუოდ დასცვივათ ფურცლები. ჭეშმარიტი ექსპერტი, ჯერჯერობით, თავს შეიკავებდა, ეპასუხა კითხვისათვის, რას მოგვიტანს ვარდების რევოლუცია, რადგან ანალიზს დრო და ფაქტები სჭირდება და არა ჩვენგვარ საზოგადოებებში ძალიან გავრცელებული მარჩიელობა. ამდენად, ამ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებანი მხოლოდ ჰიპოთეზებია და არავინ ამტკიცებს, რომ ეს აუცილებლად ასე ან სხვაგვარად იქნება. თავად ჰიპოთეზები კი სუფრასთან შემდგარი ცხარე დისკუსიის შედეგი არ გეგონოთ, ისინი სხვა ქვეყნების გამოცდილებიდანაა ამოსული.*

დავით აფრასიძე

### დაკვირვება პირველი: იგი წავა და სხვა მოვა...

რევოლუციები მიხაკიანი, ვარდიანი, ეკლიანი თუ სისხლიანი, ყველგან და ყველა ეპოქაში ხდებოდა. მარტო საფრანგეთი რად ღირს, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, ამ ქვეყნის განვითარების ისტორიას რევოლუციები ასახავს. რევოლუცია უდავოდ საჭიროა, რადგან იგი ძირფესვიან, რადიკალურ და მყისიერ გარდაქმნას ნიშნავს და ხშირად, დამყაყებული სოციალური სინამდვილის ფონზე, გორდიას კვანძის ერთადერთ გასაღებად შეიძლება იქცეს. თუმცა, როგორც ისტორია გვიჩვენებს, ნახტომისებური ცვლილება სულაც არ ნიშნავს, რომ ძველი დავიწყებას მიეცემა და რევოლუციის შემდგომი დღე რევოლუციის წინა დღისაგან მართლაც რადიკალურად განსხვავდება. სოციალური სინამდვილე, რეალობაში არსებული სოციალური სტრუქტურები, რომლებიც რევოლუციის გამომწვევი მიზეზიც კი იყო, ხშირად იმდენად მყარია, რომ ხმლის ერთ მოქნევას არ ემორჩილება. რევოლუცია წყალს აამღვრევს, კალაპოტიდან გადმოიყვანს, მაგრამ ნელ-ნელა ხშირად წყალი ისევ ძველ, გაკვალულ დინებას უბრუნდება. ლათინური ამერიკის, აფრიკის, აზიის და, გარკვეულ დრომდე, თავად დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის უცხო არაა ისეთი რევოლუციური ცვლილებები, რომლებსაც შემდეგ, ფაქტობრივად, არანაირი წინსვლა არ მოჰყოლია. 1960-იანი წლების აფრიკის ლიდერებს არც დასავლური განათლება აკლდათ და არც პატრიოტული ლოზუნგები, და მათ მართლაც სწამდათ, რომ საკუთარ ქვეყნებს დასავლურ ყაიდაზე მოაწყობდნენ. ამ "კეთილი" მიზნისთვის არც მახვილსა და ცეცხლს იშურებდნენ და თანდათან დასავლური ზღაპრის გმირებიდან პირსისხლიანი და კაციჭამია დიქტატორები იშვნენ. მათ ვერ შეძლეს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა - სახელმწიფო საზოგადოებასთან ჭიდილში უძლური აღმოჩნდა. ამ ქვეყნებში, დიდი ხანია, რევოლუციების ახალი ტალღა გაიშალა ისევ დემოკრატიისა და კეთილდღეობის რწმენით და იმედით, მაგრამ არავინ იცის, როგორი შედეგით დასრულდება ყოველივე - ძალაუფლება ხომ საუკეთესო გამხრწნელია. მავანი იტყვის, აფრიკის მაგალითი რა მოსატანია, ჩვენ ხომ ევროპელები ვართ და თან ევროპა გვიჭერს მხარსო. უპირველეს ყოვლისა, აფრიკელებიც ხალხია და, ჩვენგან განსხვავებით, სახელმწიფოებრიობის (ასე თუ ისე) 40-წლიანი გამოცდილება აქვთ. მეორეც, თუ მაგალითად მაინცდამაინც ევროპა გვინდა, ჩეხოსლოვაკია გავიხსენოთ, სადაც ხავერდოვანმა რევოლუციამ სასურველი შედეგი მხოლოდ ჩეხეთში გამოიღო, ხოლო სლოვაკეთი წლების განმავლობაში პრემიერ მეჩარის დიქტატურის უღელქვეშ იმყოფებოდა და დასავლურმა მხარდაჭერამ მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოს უშველა. ერთი სიტყვით, რევოლუცია კარგია, მაგრამ შედეგები ჯერაც უცნობია.

### დაკვირვება მეორე: ნათესაობას - არა, ძმაკაცობას - კი?

ის, რომ ეკონომიკური ვითარება ძალიან რთულია, ახალი არაა. სახელმწიფო სტრუქტურები რომ არაეფექტურია, ესეც ვიცით. მაგრამ ვერ დავეთანხმები მათ, ვინც იტყვის, რომ სახელმწიფო საქართველოში სუსტია და ვერაფერს აკონტროლებს. ცხადია, საუბარი არაა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე. წარმოუდგენია ვინმეს, რომ საქართველოს რომელიმე კუთხეში თუნდაც ერთი, პატარა ყუთი დადოს ქუჩაში სავაჭროდ და იგი სახელმწიფოს მოხელისაგან შეუმჩნეველი დარჩეს? არც კანონიერი ქურდი თუ უბრალო ნარკომანი არის სამართალდამცველთათვის უცნობი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს კონტროლის მექანიზმი მოქმედებს, თუმცა მისი მოქმედების ლოგიკა სრულიად განსხვავდება სახელმწიფოს შესახებ არსებულ სახელმძღვანელოებში აღწერილისაგან. ეს რეალობა ჩვენთანაც იციან: ჟურნალისტები, ექსპერტები და თავად პოლიტიკოსები(!) კლანური ტიპის სახელმწიფოზე საუბრობენ. თუმცა, ტერმინოლოგიურ სიზუსტეს რომ არ გამოვედევნოთ, ამგვარი ტიპის სახელმწიფოს (საზოგადოების) არსი ხშირად არასწორადაა გაგებული. მაგალითად, ბოლო დროს გახშირდა საუბრები, რომ ესა თუ ის პოლიტიკოსი "საკუთარ საოჯახო ბიზნესს" უწევს ლობირებას; რომ ეს კადრი იმის ნათესავია და ამიტომ ამ თანამდებობაზე არ უნდა დაინიშნოს. საჯარო სამსახურის შესახებ კანონი ამ საკითხებს საკმაოდ კარგად არეგულირებს და თუ პოლიტიკოსებს მართლაც სურთ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, სწორედ ამ კანონით უნდა იხელმძღვანელონ და ზედმეტი თავის გამოდება ნამდვილად არ დასჭირდებათ.

ახლა კი "კლანისა" და "პატრონაჟის" შესახებ ერთი მცირე შენიშვნა: პატრიმონიალური კავშირი არ ნიშნავს მხოლოდ ნათესაურ კლანზე დამყარებულ ურთიერთობებს. ესაა პირადული, არაფორმალური ურთიერთობების ფორმა, სადაც კავშირის უმთავრეს მოტივს ურთიერთსარგებელი, ხოლო სტაბილურობის გარანტს პიროვნული ლოიალობა შეადგენს. ამ კავშირის მონაწილენი ლოიალური შეიძლება იყვნენ როგორც "უფროსის" (პატრონი, "დიდი კაცი"), ასევე "თანასწორის" (მეგობარი, "საჭირო კაცი") მიმართ. ასე რომ, მეგობრობა-ძმაკაცობაზე აგებული (საკადრო) პოლიტიკა ისევე "კლანურია", როგორც ნათესაურ კავშირებზე დამყარებული. არადა, ჩვენი პოლიტიკოსები ერთმანეთის ნათესაობას კატეგორიულად უარყოფენ, თუმცა ერთმანეთს მუდამ "ახლო მეგობრებად" მოიხსენიებენ.

საქართველოსა და მისი მსგავსი ქვეყნების უმთავრესი პრობლემა ძლიერი და ეფექტური ბიუროკრატიის არარსებობაა (თუ არ ვცდები, ეკონომიკის ახალმა მინისტრმაც გაუსვა ხაზი ამ საკითხს), რომელიც სახელმწიფოს სტაბილურობის ხერხემალს უნდა წარმოადგენდეს. უფრო სწორად, მთელი ბიუროკრატიული აპარატი ჩვენთან პიროვნებებს შორის ვერტიკალური თუ ჰორიზონტალური ლოიალობის პრინციპითაა აგებული. სწორედ ამიტომ, ხელისუფლებაში ახალი ძალის, თან რევოლუციურ მოსვლას, შედეგად არნახული საკადრო წმენდა მოჰყვა. ერთი მხრივ, ეს გასაგებია, ძველი და ძველის მიმართ ლოიალური კადრი უნდა წავიდეს (ერთი პოლიტიკოსი იმასაც კი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო კანცელარიაში დამლაგებელიც კი გამოსაცვლელიაო!). მეორე მხრივ, საფიქრალია, ძველს რომ ახალი ჩაენაცვლება, ამით რა შეიცვლება? ზემოთ გაშლილი მცირე დისკურსი გვიჩვენებს, რომ სოციალური რეალობა იმდენად მკაცრია, რომ ახალ ხელისუფლებას ისღა დარჩენია, სახელმწიფო აპარატი ისევ ძველი პრინციპით - პიროვნული ლოიალობის ნიშნით დააკომპლექტოს. ასეთ შემთხვევაში კი ნათესავზე უარის თქმა დიდს ვერაფერს ცვლის.

### დაკვირვება მესამე და მთავარი: რეფორმა თუ ძალაუფლება

აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებზე როცა ვსაუბრობთ, უამრავ პრობლემასთან ერთად, რაც ამ ქვეყნების განვითარებას აფერხებდა და აფერხებს, არ უნდა დაგვავიწყდეს პოლიტიკურ მეცნიერებაში კარგად ცნობილი დილემა "რეფორმა-ძალაუფლების" შესახებ. საქმე ისაა, რომ ამგვარ ქვეყნებში ხელისუფლებაში მოსული ძალა, შეეჩეხება რა მკაცრ რეალობას, დგება დილემის წინაშე: თუ გავატარებთ ძირეულ რეფორმას ყველა მიმართულებით, მაშინ შევასუსტებთ სახელმწიფო აპარატს, შევარყევთ ქვეყანაში სტაბილურობის საფუძვლებს (როგორც წესი, ასეთ ქვეყნებში ეს არაფორმალიზმი და კორუფციაა), ანუ საფრთხეს შევუქმნით საკუთარ ძალაუფლებას. შედეგად, ჩვენ დავკარგავთ პროცესების მართვის უნარს და არჩევნების დროს, თუ საქმე აქამდე საერთოდ მივიდა, უთუოდ დავმარცხდებით; "კეთილშობილი მიზნებით" კი იქნებ ღირდეს ძალაუფლების შენარჩუნებისათვის მცირეოდენი უკანონობის დაშვება. ამგვარ გარიგებას კანონთან იგივე შედეგებთან მივყავართ, რასაც თავის დროზე აღნიშნული ძალა თავად ებრძოდა. ამგვარი დილემის კლასიკური მაგალითია შევარდნაძის რეჟიმიც, რომელიც საკუთარ სისტემას ემსხვერპლა. 1990-იანი წლების დასაწყისში არსებული ვითარების ფონზე არაფორმალური, პერსონიფიცირებული და კორუფციული სისტემა ქვეყანაში სტაბილიზაციის საფუძვლად იქცა, თუმცა, ამ სისტემამ ახალი რეალიების პირობებში სადღაც 1990-იანი წლების ბოლოდან ვეღარ იმუშავა. იმავდროულად, სისტემას არ გააჩნდა თვითრეფორმირების უნარი, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი დაღუპვისათვის იყო განწირული. როგორც თავში აღვნიშნე, არავინ ირწმუნება, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება ძველის შეცდომებს გაიმეორებს, მაგრამ საკონსტიტუციო ცვლილებების სხვადასხვა, ცალკეულ პიროვნებებს მორგებული ვარიანტები და თავად პროცესი, ბადებს კითხვას, რა მიზანს მოემსახურება ეს და მომავალი ცვლილებები – რეფორმებს რეფორმებისთვის თუ რეფორმებს ძალაუფლებისთვის?

### ბოლოთქმა

ვარდების რევოლუცია უდავოდ მნიშვნელოვან მოვლენად შევა საქართველოს ისტორიაში, თუმცა ჯერაც არავინ უწყის, როგორი იქნება მომავლის ისტორიკოსის შეფასება. ძველი ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ახალი უთუოდ შექებას იმსახურებს თუნდაც იმისათვის, რომ მას მოქმედებებისთვის ვაკრიტიკებთ და არა უმოქმედობისთვის. მოქმედების დროს კი შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა.

*მოულოდნელი რაკურსი*

# სამნი ერთ ნავში, ანუ როცა მესამე ზედმეტია

პირველი გვერდიდან

ნეიტრალური დამკვირვებლისთვის ასეთი ვნებათაღელვა, ცოტა არ იყოს, უცნაური ჩანდა. პოლემიკა ამერიკული, გერმანული, ფრანგული თუ რუსულ-თურქმენული მოდელების ავ-კარგიანობაზე ვერანაირად ვერ ასოცირდებოდა ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტასთან. არადა, წინა პლანზე სწორედ ამ მომენტმა წამოიწია. გაჩნდა არაერთი უპასუხო კითხვა. მაგალითად, **რატომ ახდენს სამოქალაქო საზოგადოება ასეთ მწვავე რეაქციას საკონსტიტუციო ცვლილებებზე, თუკი იგი ენდობა პრეზიდენტს და რევოლუციურ ხელისუფლებას?** რადიკალური სოციალ-ეკონომიკური ცვლილებების განხორციელება ხომ თავისუფლად შესაძლებელია როგორც საპრეზიდენტო მმართველობის, ისე საპარლამენტო რესპუბლიკის, მონარქიის, ან თუნდაც ავტორიტარული რეჟიმის (ჩილე, მალაიზია) პირობებში. რეფორმების გატარებისთვის მთავარია პოლიტიკური ნება და არა მმართველობის ფორმა. ამის მიხვედრისთვის დიდი აკადემიური განათლება ნამდვილად არაა საჭირო. მეორე მხრივ, **რაში უშლიდა ხელს სააკაშვილს არსებული მოდელი? რატომ არ შეიძლებოდა, პრეზიდენტსაც გაეთვალისწინებინა სამოქალაქო საზოგადოების აზრი და არ მოეხდინა მათი შენიშვნების სრული იგნორირება?**

რეალურად არც ერთ ამ კითხვაზე პასუხი არ გაცემულა. ლაპარაკი იმის შესახებ, რომ არ შეიძლება, კონკრეტულ პიროვნებებს მოარგო მმართველობის სისტემა, ისეთივე ცარიელ რიტორიკად დარჩა (რატომაც არ შეიძლება, თუკი რეფორმების პოლიტიკური ნება არსებობს?), როგორც ფსევდოარგუმენტები "გუნდური პასუხისმგებლობის" თაობაზე. ასეთი რამ ბუნებაში საერთოდ არ არსებობს. "გუნდური პასუხისმგებლობა" სხვა არაფერია, თუ არა პიროვნული უპასუხისმგებლობა. თუკი ერთი მინისტრი კარგად მუშაობს და მეორე ცუდად, რატომ უნდა აგოს კარგმა პასუხი ცუდთან ერთად?

ეს კითხვები მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გაჩნდა, რომ დისკუსია საკონსტიტუციო ცვლილებების ირგვლივ თავიდანვე არასწორი მიმართულებით წარიმართა. აქ იმას კი არ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ რომელი მოდელი უკეთესია თავისთავად, და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც იმას, თუ რომელი მოდელი უფრო გამოდგება რადიკალური რეფორმების გასატარებლად. უფრო სწორად, მნიშვნელობა როგორ არ ჰქონდა, მაგრამ ეს არ იყო და, მოცემულ მომენტში, არც შეიძლებოდა ყოფილიყო მამოძრავებელი მოტივი. უმთავრესი მიზეზი, რამაც განაპირობა საკონსტიტუციო ცვლილებების გარდუვალობა და რის შედეგადაც მივიღეთ ისეთი კონსტიტუცია, როგორიც მივიღეთ, გახლდათ მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური "სამეულის" არსებობის ფაქტი. კერძოდ ის ფაქტი, რომ აქ იყო **სამი** პიროვნების ინტერესი და არა ორის ან ერთის.

საქმე ის გახლავთ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ძალაუფლება გადანაწილებულია სამ სტრუქტურულ დანაყოფში - აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება. დამატებით არსებობს კიდევ "მეოთხე ხელისუფლება" თავისუფალი მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების სახით. ავტორიტარული რეჟიმის დროს კი ძალაუფლება კონცენტრირებულია მხოლოდ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რომელიც აკონტროლებს სასამართლოსაც და მედიასაც. საქართველო ამ მხრივ ერთგვარ შუალედურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. აქაც დომინირებდა აღმასრულებელი ხელისუფლება, პარლამენტიც ფლობდა ძალაუფლების რაღაც ნაწილს, სასამართლო ხელისუფლება კი, როგორც დამოუკიდებელი მოთამაშე, ჯერ არ არსებობს.

ვარდების რევოლუციის შედეგად ძალაუფლების სადავეები აღმოჩნდა სამი ლიდერის ხელში. ბუნებრივია, სამივე მათგანს ჰქონდა სურვილი, მოეხდინა მიღებული ძალაუფლების ლეგიტიმაცია, მაგრამ არსებული სისტემა არანაირად არ იძლეოდა ძალაუფლების სამ ნაწილად გაყოფის შესაძლებლობას. ამ სისტემაში აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური პრეზიდენტია, საკანონმდებლოსი - პარლამენტის თავმჯდომარე, მესამე ზედმეტია. სახელმწიფო მინისტრის პოსტი იმთავითვე ხელოვნური წარმონაქმნი იყო, რომელიც მთლიანად ექვემდებარებოდა პრეზიდენტს და კაცმა არ იცის, რა ფუნქცია ეკისრებოდა.

ეს კიდევ არაფერი. მდგომარეობას ართულებდა ის, **რომ საერთოდ არც ერთი პოლიტიკური სისტემა არ ითვალისწინებს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში სამი მთავარი ფიგურის არსებობას.** გერმანული ტიპის მოდელში, სადაც მთავრობას ადგენს საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ძალა, პრეზიდენტი რიტუალური ფიგურაა - ის უფრო არბიტრია, ვიდრე მოთამაშე. თვით ფრანგულ მოდელშიც, რომელიც დეკლარირებული იყო, როგორც საკონსტიტუციო ცვლილებების პირველწყარო, პარლამენტი და მთავრობა ფაქტობრივად ერთი გუნდია, რომელიც აბალანსებს ასევე ძლიერ პრეზიდენტს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ძალაუფლების გადანაწილება ყოველთვის ორ ძალას შორის ხდება (სასამართლო ხელისუფლება, ამ შემთხვევაში, შეგვიძლია მხედველობაში არც მივიღოთ, რადგან მას, თავისი არსით, არბიტრის ფუნქცია აკისრია და არა მოთამაშის). ამის ალტერნატივა მხოლოდ ერთმმართველობაა.

აქედან გამომდინარე, რევოლუციური სამეული თავიდანვე შეუსრულებელი მისიის წინაშე იდგა. ჟვანიას ძლიერი კაბინეტური მთავრობის ხელმძღვანელობა სურდა, ბურჯანაძეს - ძლიერი პარლამენტის; ამ პირობების დაკმაყოფილებით კი 96 პროცენტით არჩეული პრეზიდენტისთვის უბრალოდ ადგილიც აღარ რჩებოდა. მიხეილ სააკაშვილი, როგორც სამეულს შორის ყველაზე რეიტინგული და მაღალი ნდობის მანდატით აღჭურვილი ფიგურა, საკმაოდ რთული დილემის წინაშე იდგა: ან ძალაუფლების მნიშვნელოვანი წილის დათმობა, რაც ნამდვილად არ შედიოდა არა მარტო მის, არამედ იმ ამომრჩევლის ინტერესებში, რომელმაც სწორედ მის ძალაუფლებას დაუჭირა მხარი არჩევნებზე, ანდა ერთ-ერთი (ან ორივე) პარტნიორის ფაქტობრივი ჩამოცილება მართვის სადავეებიდან. პირველი ვარიანტი გამორიცხული გახლდათ - სააკაშვილის ჩრდილში გადგომას საზოგადოება არ მიიღებდა, მაგრამ მეორე ვარიანტის განხორციელება, აჭარის კრიზისისა და დროებით გაყუჩებული რევანშისტი ოლიგარქების არსებობის ფონზე, ასევე დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. რაც მთავარია, ეს საკითხი ფორსირებულ გადაწყვეტას მოითხოვდა, რადგან დრო არ ითმენდა.

სწორედ ამიტომ მოხდა საკონსტიტუციო ცვლილებების ასე ნაჩქარევად და ფორს-მაჟორულ ტემპში მიღება და სწორედ ამიტომ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ. პრიორიტეტი მიენიჭა ერთიანობის შენარჩუნებას, მაგრამ რამდენადაც ძალაუფლების სამად განაწილება შეუძლებელი იყო, საბოლოოდ შემუშავდა ვარიანტი, რომელიც ფაქტობრივად კრომველის ლორდ-პროტექტორატის მსგავს ერთმმართველობას გულისხმობს. სადღეისოდ გვაქვს ადრინდელზე სუსტი პარლამენტი, პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, რომელიც პრეზიდენტის დუბლიორია რიგ საკითხებში (ყველა ის უფლება, რაც პრემიერს მიენიჭა, პრაქტიკულად პრეზიდენტსაც აქვს) და ძლიერი პრეზიდენტი ადრინდელზე უფრო გაზრდილი უფლებებით. არადა, არჩევნებიდან მეორე დღეს, იგივე მიხეილ სააკაშვილი საკონსტიტუციო რეფორმის აუცილებლობას იმით ხსნიდა, რომ ძველ მოდელში პრეზიდენტს ზედმეტად ბევრი უფლებები ჰქონდა...

თავისთავად, კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები რომ აშკარად მოიკოჭლებდა, ეს მისმა ინიციატორებმაც კარგად იცოდნენ. ამიტომაც ვერავინ ახერხებდა, დამაჯერებლად აეხსნა შესწორებათა სიკეთე (რაც არ იყო, რას ახსნიდნენ?) და ამიტომაც ჩაიდო ახალ ვარიანტში საკმაოდ "უცნაური" მუხლი, რომელიც შვიდი წლის შემდეგ კონსტიტუციის სავალდებულო გადასინჯვას ითვალისწინებს.

ამ კონტექსტში სამოქალაქო საზოგადოების მწვავე რეაქციაც სხვა არაფერი იყო, თუ არა ერთგვარი მიმართვა პრეზიდენტისადმი, რათა მას უფრო მაღლა დაეყენებინა სახელმწიფო წყობის ინსტიტუციონალური საფუძვლები (რასაც განასახიერებდა ძველი კონსტიტუცია), ვიდრე პოლიტიკურ პარტნიორთა ინტერესები, რაც სიტუაციიდან გამომდინარე, ნაკლებად რეალისტური გახლდათ.

ბუნებრივია, არაფერი ამის მსგავსი არ მოხდებოდა, რევოლუციას სამის ნაცვლად ორი პოლიტიკური ლიდერი რომ ჰყოლოდა. ამ შემთხვევაში ერთი პრეზიდენტი გახდებოდა, მეორე - პარლამენტის თავმჯდომარე. სამნი ერთ ნავში ვერ ეტევა. მესამე ზედმეტია, მაგრამ ერთიანობა მსხვერპლს მოითხოვს. სწორედ ასეთი მსხვერპლი გამოდგა კონსტიტუცია.

ისიც ბუნებრივია, რომ ამგვარი მსხვერპლშეწირვა უკვალოდ მაინც არ ჩაივლის. ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები გადაწყვეტილებათა მიღებისა და აღსრულების სწრაფ, ეფექტურ მექანიზმებს მოითხოვს. რეფორმების წყარო, როგორც უკვე ვთქვით, პოლიტიკური ნებაა და არა საკონსტიტუციო მოდელი, მაგრამ თუკი ახალი ხელისუფლება დაიწყებს რეფორმების გატარებას, მაშინვე თავს იჩენს ახალი მმართველობითი სისტემის არსებითი ნაკლოვანება. კერძოდ ის, რომ "მესამე ზედმეტია" და არანაირად არ შეიძლება ერთმანეთს ავსებდეს ძლიერი პრეზიდენტი, უფლებამოსილი პრემიერი და ეფექტური პარლამენტი. რომელიღაც რგოლი აუცილებლად "ჩავარდება" და დამაბრკოლებელ ფაქტორად ჩამოყალიბდება.

ასე რომ, იმათ, ვინც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა საკონსტიტუციო ცვლილებებს, შეუძლიათ მშვიდად იყვნენ: დღეს მთავარია ის, თუ რა გადაწყვეტილებები იქნება მიღებული და არა ის, თუ რა მოდელის პირობებში ხდება ამ გადაწყვეტილებათა მიღება. მოკლედ, ოღონდ კი დაიწყოს სისტემური რეფორმები და კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხი შესაძლოა, შვიდ წელიწადზე გაცილებით ადრე დადგეს. აქ საქმე ჟვანიას, ბურჯანაძისა და სააკაშვილის პერსონებში არ არის, ეს მხოლოდ ელემენტარული არითმეტიკაა: არავითარი მნიშვნელობა არა აქვს "ვინ", მთავარია "რამდენი." ძალაუფლების ნავში სამი ადგილი არ არის, ამიტომ მესამე ყოველთვის ზედმეტია.



www.24hours.ge
24
B

# მომავალ ორშაბათამდე!

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 2024 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




წინა კვირის ერთ სადაგ დღეს ჩვენთან, "24 საათის" რედაქციაში შევიარე. იქურობას აფორიაქება ეტყობოდა. თურმე **თენგიზ აბულაძის** იუბილესადმი მიძღვნილ ერთ-ერთ წერილში შეცდომა გაპარულიყო: "მაგდანას ლურჯას" ავტორობა **ეკატერინე გაბაშვილის** ნაცვლად **ეგნატე ნინოშვილს** მიაწერეს. ყველას რატომღაც ეგონა, რომ ამ შეცდომის ჩამდენს აუცილებლად "კრიტიკის ქარცეცხლში" გავატარებდი...

მართალი გითხრათ, ამგვარ შეცდომებში საშინელს ვერაფერს ვხედავ. არა მარტო იმიტომ, რომ მეც მომსვლია, — უბრალოდ, საგაზეთო საქმის ჩვეულებრივი რუტინაა. მაგრამ ამ კონკრეტულ შეცდომას მაინც აქვს ღრმად მიმავალი ფესვები, რომელთა გამოკვლევა ნამდვილად ღირს. საქმე ისაა, რომ ჩვენ, ვისაც კი მშობლიური ლიტერატურა ქართულ საშუალო სკოლაში გვისწავლია, სულაც არა ვართ მზად, გასაგებად და დასაბუთებულად ვუპასუხოთ შეკითხვაზე, რითი განირჩევიან ერთმანეთისაგან ეკატერინე გაბაშვილი და ეგნატე ნინოშვილი. ის კი არა და, გაცილებით უფრო ადვილ ამოცანებსაც ვერ ამოვხსნით: რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგალითად, "ქართლის ჭირი" და "ბედი ქართლისა".

რამდენიმე წლის განმავლობაში, იმ ასაკში, როცა გონება განსაკუთრებით ადვილად ითვისებს ყოველივეს, ჩვენ გვასწავლიან ქართულ ლიტერატურას. და როგორც შუა საუკუნეებში ფილოსოფია თეოლოგიის მხევლად წარმოიდგინებოდა, ასევე დღეს მიიჩნევა, რომ ლიტერატურა იდეოლოგიის მხევალია. რა თქმა უნდა, ეს ყბადაღებული ეროვნული იდეოლოგიაა, რომლის ფარგლებში უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა არც ავტორის განუმეორებელ შემოქმედებით თვისებებს, არც იმ ესთეტიკურ მონაპოვრებს, რომლებიც მისმა თანამედროვე ეპოქამ წარმოშვა. მთავარი და, სამწუხაროდ, ერთადერთი ისაა, რომ ყველა ავტორს უყვარდა სამშობლო და ყოველი მათგანი ბავშვებს მიეწოდება მხოლოდ როგორც საკუთარი პატრიოტიზმის მოწმე.

ოდესღაც, მახსოვს, უკვე გამოვთქვი შეშფოთება იმის გამო, რომ ჩვენი მასწავლებლების მრავალრიცხოვან არმიას მშვენივრად ახსოვს ყველა საზეპირო ადგილი და სავალდებულო აზრის გამოსათქმელად საჭირო შტამპი, მაგრამ მათ უმრავლესობას შეიძლება წარმოდგენა არ ჰქონდეს იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს ტროპი, ჰეგზამეტრი ფიზიკური ხელსაწყო ეგონოს, ზევგმა — ერთუჯრედიანი ორგანიზმი, სინეკდოხა კი — ამერიკის ინდიელთა ერთ-ერთი ტომის სახელი. შედეგად კი რას ვიღებთ? — აი, ერთი მეგობარი ქალი მყავს, საშუალო სკოლაში ინგლისურს ასწავლის (მგონი, კომპიუტერიც უნდა იცოდეს), ჰოდა, მას კოლეგებმა სრულიად სერიოზულად უსაყვედურეს: შინ კატას როგორ აჩერებ, ეგ ხომ სახლის მფარველ ანგელოზებს დაგიფრთხობსო! ახლა კი შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ: ჩვენი პრეზიდენტი, **მიხეილ სააკაშვილი** ნამდვილი ქართველია, ქართულ სკოლაში ეროვნული სულისკვეთებით აღზრდილი — ისე მოხდენილად უჭირავს გადაჯვარედინებული თითები და ისე ყოჩაღად აკაკუნებს ხის მაგიდაზე, რომ არავითარი ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს.

და არც ის უნდა გვიკვირდეს, რომ საშუალო სკოლის მასწავლებლები ჩვენს შვილებს "ჰარი პოტერის" ცეცხლში დაწვას ურჩევენ — უკეთესის იმედი საიდან უნდა მოგვივიდეს? აი, ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გამართა **ნინო ცინცაძემ** დისკუსია: *რუსეთის მდარე რელიგიური ლიტერატურის გამსაღებელ პროვინციად ვიქეცით* (5 თებერვალი). ერთბაშად ოთხი ინტელექტუალი შეკრებილა: მღვდელი, თეოლოგი, მწერალი და გამომცემელი. ბჭობენ და გამოთქვამენ მარგალიტივით აზრებს. მიაღწევს კი იმათ გულამდე, ვისაც ჩვენი შვილების სული აბარია? რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს განათლების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა წარმატებით გავლილ აუდიტებზე, ერთი რამ მაინც რჩება ცხადი და უეჭველი: *მიუხედავად მსოფლიო ბანკის მიერ გაღებული სამოცი მილიონი დოლარისა, საშუალო სკოლის მასწავლებლები დღემდე რჩებიან საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე გაუნათლებელ საზოგადოებრივ ფენად*. ბოლოს და ბოლოს, განათლება ხომ მარტო იმას არ ნიშნავს, რამდენი და როგორ იცი, არამედ იმასაც, რამდენად შეესაბამები საზოგადოებაში დაკავებულ ადგილს...

ასე რომ, დადგა დრო, ვიყვიროთ: *ფრთხილად ბავშვებია!* "24 საათის" 3 თებერვლის ნომერში სწორედ ასეთი სათაურით გამოქვეყნდა **ნესტან ნიჟარაძისა** და **იუსტინა მიელნიკიევიჩის** რეპორტაჟი ფოტოკომენტარებით. ნამდვილად მისასალმებელია ჩვენი გაზეთის მიერ წამოწყებული რუბრიკა და განსაკუთრებით კი მისი სათაური — **რეალიები**. ასეთი სათაური არა მარტო ქართულ მედიაში, საერთოდ, ქართულ ყოფაში რაღაც ახალსა და უჩვეულოს ნიშნავს, კერძოდ, ცხოვრების კონკრეტულობის განცდისა და შეგნების დასაწყისს. სწორედ ეს განცდა და შეგნება გვაკლდა ყოველთვის, მაგრამ ახლა ამით თავს არ შეგაწყენთ, ადრეც ბევრჯერ მითქვამს. დავუბრუნდეთ 3 თებერვლის პუბლიკაციას, რომელიც ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიასა და მის მობინადრეთ ეხება.

რატომღაც ამ ტექსტში ჩვეულებრივზე მეტი კორექტურა გაიპარა, მაგრამ ეს ახლა არაა მნიშვნელოვანი: ორჯერ წავიკითხე და მაინც უკმაყოფილო დავრჩი. რატომ? — ამ კითხვაზე პასუხი უნებლიე კორექტურათა შემჩნევაზე გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა.

იქნებ ლექსიკურ შეცდომებში უნდა ვეძებოთ მიზეზი: "**ქურდობენ ყველაფერს — ძროხით დაწყებული და მანქანით დამთავრებული**". "ქურდობენ" გარდაუვალი ზმნაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ძროხასა და მანქანას კი არ *ქურდობენ*, არამედ *იპარავენ*. ისიც აღვნიშნოთ, რომ გამოთქმა "ძროხის ქურდობაზე დააკავეს" (თავისთავად, მისი გრამატიკული მოტივაცია საკმაოდ ბუნდოვანია) ვერ გამოდგება საწინააღმდეგო არგუმენტად, რადგან ადამიანი იმისთვის დააკავეს, რომ იგი *ძროხის ქურდი* გახდა. მაგრამ რამდენიც არ უნდა ვეძებოთ, სიტყვებისა და წინადადებების დონეზე ამ ტექსტის ნაკლოვანებას ვერ ავხსნით. მართლდება ენათმეცნიერების ერთ-ერთი უახლესი დებულება: ტექსტში გრამატიკისაგან განსხვავებული კანონები მოქმედებს. სწორედ ამ კანონების დარღვევა უნდა აღმოვაჩინოთ დღეს.

მაშ ასე, პუბლიკაციის უმთავრესი აზრი ერთ მარგალიტივით ძვირფას აღმოჩენაში მდგომარეობს: *როგორც არ უნდა სრულვყოთ პატიმართა არსებობის მატერიალური პირობები, რეალურად ვერაფერს გავაუმჯობესებთ, სანამ არსებობს და მოქმედებს "ქურდული გაგება"*. რატომ ვფიქრობთ, რომ მაინცდამაინც ეს აზრია მთავარი და მნიშვნელოვანი? — პასუხი მარტივია: აბა, ტექსტში მოთხრობილი "უკანასკნელი ცოცხალი სიურეალისტის", **ანრი კარტიე-ბრესონის** ისტორია ხომ არ დაიკავებს პუბლიკაციის ცენტრალური უწყების ადგილს?! ხონის კოლონიის პატიმართა არ იყოს, არც მე ვიცოდი, ვინაა ეს ანრი კარტიე-ბრესონი, მაგრამ ამით დიდი-დიდი რომელიმე სნობურ "ფართიზე" შემერცხვინა თავი, რაც, მერწმუნეთ, დაპატიმრებული ბავშვების მდგომარეობასთან შედარებით, ერთობ უმნიშვნელო რამეა.

იმის თქმა მინდა, რომ პუბლიკაცია, რომელიც, შეიძლება ითქვას, ჩვენი რეალობის ერთ ყველაზე მწვავე და მტკივნეულ საკითხს შეეხება (ამასთან შედარებით **შალვა ნათელაშვილის** ახირებები და **ლევან მამალაძის** ცოლის ისტერიკა ნამდვილად არაა ანგარიშგასაწევი), ვერ აღწევს თავის აშკარად გამოხატულ მიზანს. ტექსტი ასე იწყება: "**დღეს ისინი ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიის პატიმრები არიან. თუმცა, პირველ რიგში, ისინი ბავშვები არიან**". კეთილი და პატიოსანი, მაგრამ პუბლიკაცია მოულოდნელად გადადის ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონიის მმართველობის წარდგენაზე, მერე თვით დაწესებულების მოკლე ისტორიას გვამცნობს, მერე ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ თხრობაში მოულოდნელად შემოიჭრება ვინმე ე. — 16 წლის პატიმარი, რომელიც კოლონიიდან კორესპონდენტთა სტუმრობის დღეს გათავისუფლდა, მერე დიდი ხნის განმავლობაში ოკრობოკროდ გვიყვებიან ხსენებული ანრი-კარტიე ბრესონისა და ხონის კოლონიის ურთიერთობაზე, თუმცა ჩვენთვის სრულიად საიდუმლოდ რჩება, რა შუაშია ეს ბრესონი, თუ ხონში ფოტოებს **კლაუდი სლუბანი** (კლაუდი თუ კლოდი?) იღებდა. და როცა უკვე მოგვბეზრდა, როცა ჩვენმა უმრავლესობამ უკვე გადაშალა გაზეთის ფურცელი და სხვა სტატიებს ავლებს თვალს, ავტორები იწყებენ მთავარ სათქმელს — მოგვითხრობენ პატიმართა ცხოვრების წესზე. მაგრამ აქაც ყურადღება კოლონიის ხელმძღვანელობის გაჭირვებაზეა გადატანილი: არასრულწლოვანთა კოლონიის მომავალ დირექტორს მასზე გამოცდილი კოლეგა ეუბნება, გაიქეცი აქედანო! ჰოდა, ერთი წლის თავზე დირექტორიც წასვლის შესახებ წერს განცხადებას. ავტორები გვამცნობენ: "**მთავარი სირთულე კი ის არის, რომ სასჯელაღსრულების ყველა სხვა დაწესებულების მსგავსად, არასრულწლოვანთა კოლონია, ძირითადად, კოლონიის შიდა კანონების საფუძველზე იმართება**". თურმე ეს დირექტორისთვის ყოფილა სირთულე!

მაინც რა სირთულეებია? მაგალითად ის, რომ ყველაფერს "კანონიერი ქურდები" განაგებენ. ახლა არ შევალ იმის განხილვაში, რამდენად შეესაბამება ეს "ტიტული" არასრულწლოვანთა კოლონიაში მყოფ არალეგალურ ლიდერს. მაგრამ მის შესახებ ავტორები შემდეგს წერენ: "**ყველასაგან განსხვავებით იგი კარგად არის ჩაცმული. მისი კუთხე საერთო ბარაკში განსაკუთრებით კომფორტულად არის მოწყობილი: ხალიჩით, სარკით, ხატებითა და ჯვრებით კედელზე**". ესეც ასე! — ხატები და ჯვრები კომფორტის საგანი ყოფილა. საინტერესოა, რომ მაღალჩინოსან პოლიციელთა კაბინეტებიც ხატების განსაკუთრებული სიმრავლით გამოირჩევა და ისინი მეტყველებაში ყველაზე ხშირად იყენებენ არქაიზმებს. სიტყვას "რადგან" საერთოდ ვერ გაიგონებ პოლიციის უფროსი ოფიცრის პირიდან — აუცილებლად "რამეთუს" იტყვის. იქნებ "ჰარი პოტერის" კრიტიკოსებს, კრიმინალ "ავტორიტეტებსა" და პოლიციის ხელმძღვანელობას სწორედ ეს აკავშირებს ერთმანეთთან: *რელიგიის გადაქცევა საყოველთაო კონტროლის საშუალებად და ძალაუფლების აღმასრულებელ ინსტრუმენტად*. მაგრამ ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ პუბლიკაციის ავტორები რაღაც განსხვავებულ პოზიციაზე დგანან: მათთვისაც ხატები და ჯვრები კომფორტისა და სრულუფლებიანობის გამომხატველი ნიშნებია.

ლიდერის ფიგურას პუბლიკაციაში ეგრეთ წოდებული "ქათმების" აღწერა მოსდევს: "**მათ არა აქვთ საერთო ბარაკში არც ცხოვრების და არც უნებართვოდ შესვლის უფლება. მათ არა აქვთ სხვა პატიმრებთან ერთად სასადილოში ჭამის უფლება. არც საერთო საშხაპით და საპირფარეშოთი სარგებლობის უფლება. მათ არა აქვთ სხვებთან ერთად გაკვეთილების დასწრების უფლება. მათ არც სიტყვის უფლება აქვთ. სამაგიეროდ, ყველას აქვს უფლება, ისინი დაჩაგროს, უმიზეზოდაც კი, უბრალოდ, საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად**". ეს ბოლო წინადადება მთლად ვერ გავიგე: როგორ შემიძლია განვამტკიცო ჩემი პოზიციები, თუ იმას გავაკეთებ, რაც ყველას შეუძლია? მაგრამ აღწერილი საშინელება სადღაც ქრება, ჰაერში განიბნევა, განსაკუთრებით, თუ ფოტოებს გადავხედავთ და იქ გამოსახულ თითქმის ელიტარულ, "არტეკის" მსგავს გაპრიალებულ გარემოს დავინახავთ. სადაა პრობლემის სიმწვავე? — საგაზეთო სივრცეში ის ანრი კარტიე-ბრესონის ისტორიებმა შეჭამა, ჩვენს გონებაში კი იმანაც, რომ ერთ-ერთი ასეთი "ქათამი" "**ჩვენი მისვლისთანავე, პატივისცემის ნიშნად ... ახალ სპორტულ ფორმას იცვამს. ვერც ჩვენ და ვერც იგი ვერ ვფარავთ მოულოდნელი შეხვედრით გამოწვეულ სიხარულს**". ეს "ქათამი" ო.-ა და უკვე ნახსენებ ე.-ში არ უნდა აგვერიოს. ახალი სპორტული ფორმაც ჰქონია (რატომ არ წაართვეს ქურდებმა?) და კიდევ მოგონებები იმის შესახებ, რომ "**ხონის კოლონიაში იმპროვიზირებულად მოწყობილ ფოტოსახელოსნოში მის მიერ გადაღებული ფოტოები საუკეთესო აღმოჩნდა და ანრი კარტიე-ბრესონისადმი მიძღვნილ დოკუმენტურ ფილმშიც შევიდა**". მე კი ის უფრო მაინტერესებს, სად იკმაყოფილებს ეს ო. ბუნებრივ მოთხოვნილებებს, თუ "ქათმობის" გამო საპირფარეშოთი სარგებლობის უფლება არა აქვს? რატომ აქამდე არ დაბინძურდა და არ გაჩანაგდა ფოტოებზე გამოსახული ლამის სტერილური გარემო? ერთ-ერთ ფოტოზე იგივე ო.-ა გამოსახული: ხელი ფაქიზად დალაგებულ საწოლზე შემოუდია, მის უკან კი სპეტაკ კედელზე გაკრული ლამაზმანის ფოტო და ბრჭყვიალებით მორთული ნაძვის ტოტი მოჩანს. ფოტოს აწერია: "**საკანი**".

მაგრამ მე მაინც მჯერა იმ მნიშვნელოვანი აზრისა, რომელიც ვერა და ვერ ამოვიკითხე ნიჟარაძისა და მიელნიკიევიჩის პუბლიკაციაში. კიდევ ერთხელ გავიმეორებ მას: *როგორც არ უნდა სრულვყოთ პატიმართა არსებობის მატერიალური პირობები, რეალურად ვერაფერს გავაუმჯობესებთ, სანამ არსებობს და მოქმედებს "ქურდული გაგება"*. იქნებ ვინმემ გაგვიხსნას თვალები და კიდევ უფრო დიდი სიცხადით დაგვანახოს ჩვენი საზოგადოების ეს გახსნილი ჭრილობა?

მანამდე კი თვალებს გვიხვევენ და ათასგვარი რამე-რუმით იქცევენ ჩვენს ყურადღებას.

როცა პრეზიდენტმა სააკაშვილმა თქვა, ქართველები უძველესი ევროპელები არიანო, მაშინვე გავიფიქრე, ნეტა პირველი ვინ გამოეხმაურება, ვინ აიტაცებს-მეთქი ჰაერში ნასროლ ამ ხორცის ნაჭერს? რა თქმა უნდა, ვერავინ დაასწრო ჩვენს უკვდავ ინტელიგენციას და "24 საათის" 7 თებერვლის ნომერში უკვე გაჩნდა აკადემიკოს **თამაზ გამყრელიძის** სტატია გრძელი სათაურით, ასე ვთქვათ, ფსევდობაროკოს სტილში: *რატომ არის საქართველო ევროპის ნაწილი და რატომ არიან ქართველები უძველესი ევროპელები*. რამდენ რამეს იპოვის ამ ტექსტში ინტელექტუალური სადღეგრძელოების მოყვარული ქართველი! — აქ ყველაფერია: ანტიკური მითოლოგია, ლინგვისტური წიაღსვლები, გეოპოლიტიკა, გოეთეს ლექსი დასავლეთსა და აღმოსავლეთზე (რა თქმა უნდა, გერმანულად!). და მთელი ეს მეცნიერული მაშინერია ერთ მიზანს ემსახურება: უნდა დავიჯეროთ, რომ ქართველები უძველესი ევროპელები არიან. როგორც ეტყობა, სულ მალე ჩვენი განათლებული საზოგადოების არსენალში აღმოჩნდება ერთი რუსულენოვანი ნაკვესის ინგლისური, გერმანული, ფრანგული და სხვა თარგმანები: Когда ваши в лесу бродили, наши Евангелие переводили. ადრე ჩვენი ეროვნული გოიმები თავიანთ ჭიას ამ ბაიათის უადგილო გამეორებით ახარებდნენ. დღეს, ასპარეზზე მათი შთამომავლები გამოვლენ და ეროვნული გოიმობის სპირალი ახალ სიმაღლეს დაიპყრობს. სხვა უფრო ქმედითი შედეგი ამგვარ განაზრებებს ვერ მოჰყვება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ვერც ერთ ევროპელ ერს, ვერც ძველსა და ვერც ახალს, ვერავინ ვერ გადააყლაპებდა ასე ადვილად კონსტიტუციის ფეხქვეშ გათელვას.

დღეს ევროპის საზღვარი უკვე არც გეოგრაფიულ და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც გეოპოლიტიკურ სივრცეზე არ გადის. ეს საზღვარი დღეს სამართლებრივი შეგნების სივრცეში მდებარეობს. მადლობა ღმერთს, "24 საათმა" ბოლო დღეებში მრავალი სტატია გამოაქვეყნა საკონსტიტუციო ცვლილებების თავიდან ასაცილებლად — ყველას ჩამოთვლა დიდ ადგილს წაიღებს და, ვინ იცის, იქნებ მათი ავტორებისთვის მომავალ საფრთხესაც შექმნის. დიახ, სამოქალაქო სექტორის მხრიდანაც მრავალი გონიერი სიტყვა დაიხარჯა, მაგრამ სახელისუფლებო ქარავანმა ჩაიარა, დემოკრატიულ ღირებულებათა ერთგული ძაღლების ყეფა კი ქარმა წაიღო.

როგორც ეტყობა, ჩვენი უძველესი ევროპელი ერი საკუთარ გონებაში ერთმანეთს ვერ უკავშირებს კონსტიტუციის ტექსტსა და საკუთარ კეთილდღეობას. მაგრამ ერთი იმედი მაინც რჩება: ჯერ "კმარას" ძახილს არ გადავჩვევულვართ და ვინ იცის, იქნებ საქართველოს პირველი ლედის მიერ პარლამენტის შენობის წინ ტიტების დარგვისას ნათქვამს — ვარდები ზაფხულში იქნებაო — ჩვენმა მომავალმა ისტორიამ თავისებური და ყველასათვის მოულოდნელი განხორციელება მოუნახოს.

საჩუქრის ახალი ფორმა! გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



# პოლიტიკის ამორალური მხარე ოპერაში

## "მაზეპას" სტურუასეული ვერსია რუსი მაყურებლისთვის რევოლუციური აღმოჩნდა

A1 გვერდიდან

გაჩნდა გარკვეული იდეებიც და საბოლოოდ ბატონი რობიკო მოსკოვში გაემგზავრა.

**"ყველას ჰგონია, რადგან წინადადება დიდი თეატრიდან მოდიოდა, ამიტომ დავთანხმდი, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს ოპერისადმი ჩემმა განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ განაპირობა. ოპერის მიმართ ისეთსავე ალკოჰოლურ მიჯაჭვულობას განვიცდი, როგორც ლოთი, რეგულარულად რომ ჰპირდება ოჯახს, ხვალიდან აღარ დავლევო, თუმცა მაინც სვამს",** – ასე ხსნის რეჟისორი თავის გადაწყვეტილებას.

სტურუას დადგმამ რუსი მაყურებლის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია (სხვათა შორის, ამ დადგმაზე კიდევ ორი ქართველი – გოგი ალექსი-მესხიშვილი და გოგი ალექსიძე მუშაობდა). "ჩემთვის ასეთი დადგმა ჩვეულებრივია, დიდი თეატრისთვის კი რევოლუციური" – მიიჩნევს რეჟისორი. თუმცა, სამწუხაროდ, რუსებმა რევოლუცია მხოლოდ დეკორაციებში დაინახეს.

ჩაიკოვსკის "მაზეპას" საფუძვლად პუშკინის "პოლტავა" დაედო, თუმცა კომპოზიტორმა ლიტერატურული მასალა მნიშვნელოვნად გადაამუშავა. უცვლელია მისი მთავარი ხაზი – უკრაინის გეტმან მაზეპას სრაფვა ძალაუფლებისკენ. სწორედ ამ თემატიკამ ითამაშა გადამწყვეტი როლი სტურუას დაინტერესებაში. რუსი კრიტიკოსების აზრით, რეჟისორი ცდილობს აჩვენოს მაყურებელს პოლიტიკის, როგორც მოვლენის ამორალური მხარე. ის ფაქტები, რასაც ისტორია დიდების შარავანდედში ხვევს, ლუპის ქვეშ ისეთივე ჭუჭყიანია, როგორც თანამედროვე პოლიტიკური თამაშები.

სამწუხაროდ, რუსებმა (ყოველ შემთხვევაში, მათმა დიდმა ნაწილმა) ამ დადგმაში მხოლოდ "ზედაპირი" დაინახეს. ისინი აღაშფოთა თანამედროვე კოსტიუმებმა და დეკორაციებმა, რომლებიც რეჟისორმა თავისი ჩანაფიქრის განსახორციელებლად გამოიყენა. სტურუას თქმით, მისთვის ასეთი დადგმა ჩვეულებრივია, მაყურებლისთვის კი რატომღაც რევოლუციური აღმოჩნდა. რეჟისორი ამას რუსული ფსიქოლოგიით ხსნის.

**"რუსები აღაშფოთა იმან, რომ სცენაზე XVII-XVIII საუკუნე ვერ დაინახეს. არც კოსტიუმები და არც დეკორაცია ისტორიულ კონტექსტს არ ასახავდა. ეს კი მათთვის მიუღებელია. რუსები იმიტომ ვერ დგამენ ჩეხოვს, რომ ჯერ კიდევ ახსოვთ ის საუკუნე. ახსოვთ, რა ეცვათ, როგორი სამოვარი ედგათ და ა.შ. სანამ არ გავა კიდევ 200 წელი და მათ ეს ყველაფერი არ დაავიწყდებათ, კარგი ჩეხოვი არ გამოუვათ",** - მიიჩნევს სტურუა. მისი აზრით, დროის ამგვარი გაგება არ არის მთავარი. ამიტომაც არ წერდა შექსპირი თავისი ეპოქის შესახებ. ის ან ბერძნულ-რომაულ სიუჟეტებს იყენებდა, ან ფანტასტიკურს, როგორც, მაგალითად, "ზაფხულის ღამის სიზმარში," ანდა – ისტორიულ ქრონიკებს, რომელთაც შემდეგ თავისებურად ანგრევდა. "ჩვენც ასე მივუდექით "მაზეპას," მით უფრო, რომ მუსიკა დროს არ განაპირობებს. ეს ისეთივე მუსიკაა, როგორიც "ევგენი ონეგინში" ანდა "იოლანტაში" – ამბობს ბატონი რობიკო.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*რობიკო სტურუა თურქეთში მიემგზავრება*

როგორ კარგადაც უნდა დადგას რეჟისორმა ოპერა, თუ ორკესტრმა არ დაუკრა და მომღერალმა არ იმღერა, მისი ფასი კაპიკია. სტურუას თქმით, ამ კუთხით "მაზეპამ", ცოტა არ იყოს, მოიკოჭლა. იმის მიუხედავად, რომ მთავარი როლის ყველა შემსრულებელი მოწვეული გახლდათ, მუსიკალური თვალსაზრისით წარმოდგენა საშუალო დონის გამოვიდა. სპეციალისტები აღშფოთებას ვერ ფარავდნენ ორკესტრის მისამართით (დირიჟორობდა ალექსეი ტიტოვი). არც მომღერლები იყვნენ პირველი კლასის. მომღერალი ალექსეევი, რომელიც მაზეპას პარტიას მღეროდა, პროფესიონალია, მაგრამ ასაკის გამო ხმასთან დაკავშირებით პრობლემები გაუჩნდა (სხვათა შორის, მან ჯანსუღ კახიძესთან ერთად "ოტელო" ჩაწერა). წარმოდგენილი შემადგენლობა არც განსაკუთრებული სამსახიობო მონაცემებით გამოირჩეოდა. სტურუას თქმით, მათ თამაშის სურვილი კი ჰქონდათ, მაგრამ არ ყოფნიდათ გამოცდილება. **"მუშაობა საინტერესო იყო, თუმცა, ის ენერგია, რაც იქ დავხარჯე, სამი დრამატული სპექტაკლის დასადგმელად მეყოფოდა",** – ასე აფასებს რეჟისორი ორთვიანი მუშაობის შედეგებს.

როგორც უკვე გითხარით, რობერტ სტურუა გუშინ თურქეთში გაემგზავრა. ანკარის თეატრში იგი თურქ მსახიობებთან ერთად "ჰამლეტს" დადგამს. სხვათა შორის, თურქეთში სარეჟისორო ფაკულტეტი მისი გახსნილია. მართალია, თავად ვერ მოახერხა იქ ჩასვლა, სამაგიეროდ სხვა ქართველი რეჟისორები ჩაიყვანა – ანდრო ენუქიძე, ცოტნე ნაკაშიძე. რამდენიმე დღის წინათ ბატონი ცოტნე ყვებოდა, მისი პედაგოგიური მუშაობის შედეგად როგორი პოპულარული გახდა თურქებთან მიხეილ თუმანიშვილი. ეს მცირე ლირიკული გადახვევა. დავუბრუნდეთ ისევ სტურუას, რომლისთვისაც "თურქული" "ჰამლეტი" რიგით მეოთხეა. როგორც თავად ამბობს, ამ თემასთან დაკავშირებით ექსპერიმენტებს ატარებს. აინტერესებს, შეუძლია თუ არა მისი დადგმა სხვადასხვა ინტერპრეტაციით. პრემიერა აპრილშია დაგეგმილი. შემდეგ კი რეჟისორი ისევ თბილისში ჩამოვა და "ვეფხისტყაოსანზე" დაიწყებს მუშაობას.

ეს იქნება საკმაოდ ძვირადღირებული სპექტაკლი. მისი დადგმა, დაახლოებით, 200 ათასი ლარი დაჯდება. ბევრი ჰპირდება ამ პროექტში დახმარებას, თუმცა, თუ სპექტაკლი არ გამოუვიდა, სტურუა მას მაყურებელს არ უჩვენებს. სავარაუდოდ, პრემიერა (იმედი დავიტოვოთ, რომ ის მაინც შედგება) იანვარშია ნავარაუდევი. ერთი სიტყვით, გეგმები ბევრია, ისღა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ ბატონ რობიკოს და მის ახალ სპექტაკლებს დაველოდოთ.

# ფოტო-ფერწერული ხატები

## დავით აკრიანის სულიერ-ემოციურ სამყაროში

ვერა ნეფარიძე

*გუშინ "ძველ გალერეაში" ფოტოგამოფენა გაიხსნა. მაგრამ, ვისაც ამ გამოფენის დათვალიერება მხოლოდ იმიტომ გსურთ, რომ ფოტოხელოვნება გაინტერესებთ და იმედი გაქვთ, ექსპოზიციის ავტორის სახით ახალი ფოტოპროფესიონალის აღმოჩენის და ნაკლებად გაინტერესებთ მისი სულიერი სამყარო, მაშინ ამ გალერეაში მართლა არაფერი გესაქმებათ. ასეთივე ლამაზი ფოტოები თქვენ სხვაგანაც შეიძლება ნახოთ. მაგრამ ეს არ იქნება ის მთლიანობა, რითაც გამორჩეულია "ძველი გალერეის" მიმდინარე ექსპოზიცია.*

ახალი არაფერი იქნება იმაში, თუკი ვიტყვი, რომ გალერეაში შესულნი კიდევ ერთი ადამიანის სამყაროში აღმოჩნდებით, რადგანაც ყველა დანარჩენი ფოტოგრაფისა თუ მხატვრის გამოფენაზეც იგივე ხდება. უბრალოდ, განსხვავებულია ეს სამყაროები, რამდენადაც მათი ავტორები სხვადასხვა პიროვნებანი არიან. და ეს გამოფენებიც იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მათი სულისჩამდგმელები. გამონაკლისი არც "ძველი გალერეის" მიმდინარე გამოფენაა.

იმას, რაც აღნიშნულ გალერეაში ხდება, პირობითად ჰქვია გამოფენა. სინამდვილეში, ეს არის ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის დავით აკრიანის ცხოვრების ის ნაწილი, რომელიც (როგორც თავად ამბობს): მინდა, ადამიანებს გავუზიარო, გავაცნო იმიტომ, რომ ეს არის მარადიული.

ერთი შეხედვით, მცირე გალერეის სივრცეში მოცემულია უკანასკნელი თორმეტი წლის განმავლობაში გადაღებული სურათები, ავტორისავე გამოცემული წიგნების დიზაინი და ამ ყველაფერს თან სდევს საგანგებოდ შერჩეული მუსიკალური ფონი, რომელიც "ენიასა" და სხვა შემსრულებელთა, კელტურ საწყისებზე დაფუძნებული მუსიკაა. ერთი სიტყვით, ამ კედლებშია ის, რითაც დავით აკრიანი რამდენიმე წელიწადია ცხოვრობს. და, რაც მთავარია, ცხოვრობს განმარტოებით. ის იდუმალება და სიმშვიდე, რაც განმარტოებას ახლავს თან, უდავოდ იგრძნობა დათო აკრიანის ფოტოებზე. ზედაპირული დათვალიერებისას შენიშნავთ, რომ ეს ფერადი ფოტოები ძალიან ლამაზია, ჟურნალებიდან ამოჭრილ პეიზაჟებს ჰგავს; მერე აღმოაჩენთ, რომ კადრების უმრავლესობა თითქოს ზღაპრებსა და ლამაზ ფილმებში გინახავთ: მთვარის შუქით განათებული ხის სახლი ზამთარში (ორივე სახლში – მარტყოფსა და ზემო ფშავში, დათო აკრიანმა მარტოობის წლები გაატარა და ზაფხულობით ახლაც სტუმრობს), "ლოკოკინას კვალი მთვარიანში", "ცის გახსნა" (გადაღებულია ცა ჩვეულებრივი ელვის დროს). მაგრამ, როდესაც ჩაფიქრდებით, უმალ იგრძნობთ, რომ ეს ყველაფერი მარტოობის დამსახურებაა. მარტომყოფი ადამიანის დამოკიდებულება იგრძნობა მათში. სხვაგვარად, ვერ გადაიღებ ფანჯრებს მიღმა სივრცეს (იდუმალსა და ლამაზ სურათს) და ვერ დაასათაურებ: "ლოდინი", "წინათგრძნობა"; ან კიდევ, სანთლების ნალვენთს არ დაარქმევ "გარინდებას", - და ასეთი საკმაოდ ბევრია "ძველ გალერეაში".



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მალე დათო აკრიანის წიგნის პრეზენტაციაც შედგება*

ეს ყველაფერი საკმაოდ კარგი, პროფესიონალური ფოტოკამერითაა აღბეჭდილი (არავითარი ციფრული ტექნიკა! - ამბობს ავტორი). "მე არ ვარ პროფესიონალი ფოტოგრაფი. უბრალოდ, შიგადაშიგ ვიზუალური აზროვნების მომენტები მაქვს და მთხოვს ზოგიერთი კადრის დაფიქსირებას. ოღონდ, ნატურალისტური ფოტოგრაფიაც არ არის ჩემი. პირველი კადრები მთას ეხება, სადაც ფუტკრები მყავდა. იქაც არის ისეთი ნიშანდობლივი და უსაყვარლესი მომენტები, რომლითაც ცხოვრობდა ჩვენი წინაპარი და კაცური ცხოვრების ჯაჭვი გადმოგვეცემა, რომელსაც ვერც კომპიუტერი შეცვლის და ვერც ვერაფერი. აქ ყველაფერი ჩემი სამყაროა. თავისთავად არ მიფიქრია, რა გამოვა. მთავარია, რაც გამოვა, ხატი იყოს; ის, რაც შიგნით მაქვს. მარტო ყოფნას ისე მივეჩვიე, როგორც "ადამიანი-ამფიბიაში" უწყლოდ რომ ვერ ძლებს. აქ არის ჩემი სამყარო. ოღონდ, აქედან კიდევ სხვაგან არის გასასვლელები. რითაც მე ვარსებობ, ვსუნთქავ, რამაც გადამარჩინა", - ამბობს დათო აკრიანი და გალერეაში გამოფენილ ექსპოზიციას თავადვე არქმევს სახელს: ფოტო-ფერწერული ხატები. რაც შეეხება ავტორს, როგორც თავად გაგვიმხილა, იგი ამჟამად ბროდსკის თარგმანზე მუშაობს. ასე რომ, იმედია, მალე მოვხვდებით დათო აკრიანის სულიერ-ემოციურ სამყაროში, წიგნის პრეზენტაციაზე.

# მინანქრის ღამე შარდენზე

თეონა ჯაფარიძე

7 თებერვლის საღამოს სიონის ახლომდებარე ქუჩებიდან "შარდენის" ქუჩის მიმართულებით ხალხის ნაკადი არ წყდებოდა. შემთხვევითი გამვლელი ნამდვილად იფიქრებდა, რომ რომელიღაც მნიშვნელოვანი რელიგიურ დღესასწაულს შეესწრო. მეც კი, რომელმაც ნამდვილად ვიცოდი, რომ მინანქრის პირველ საერთაშორისო ბიენალეს დაჯილდოების ცერემონიალზე მივდიოდი, ხალხის ნაკადის დანახვაზე ეჭვმა შემიპყრო. მაგრამ, როცა უკვე შარდენის ქუჩას მივადექი და დავრწმუნდი, რომ გალერეა "შარდენამდე" მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა, უკვე მეორე თავსატეხის წინაშე აღმოვჩნდი: რატომ გაჩნდა ასეთი დიდი ინტერესი ტიხრული მინანქრის მიმართ ამ ბოლო წლებში და განსაკუთრებით კი ამ საღამოს? გალერეის შესასვლელთან გრძელმა, გაჭიმულმა რიგმა, ოთხმოციან წლებში ხელოვნების მუზეუმის წინ ჰამერის კოლექციის სანახავად მისული თბილისელების რიგები გამახსენა. შარდენის მინიატურული ქუჩის ყველა დანარჩენი გალერეა, მეპატრონეებს ამ საღამოსთვის არ დაეკეტათ. ტიხრული მინანქრის ნახვის მსურველებით სავსე იყო გვერდით მდებარე "ბაიას გალერეა", "თექის სახელოსნო" თუ სამხატვრო სალონი.

ყველამ კარგად ვიცით, რომ ბოლო ათწლეულზე მეტია, რაც ამ უძველესი ხელოვნების მიმართ ინტერესი გაიზარდა, გამოჩნდნენ ამ ჟანრის ახალი ოსტატები, შემდეგ მათი მოწაფეები. ძველი ხელოვნების ახალი ტექნიკის შემსწავლელთა რიცხვმა ბოლო წლებში დაუჯერებლად იმატა, გაიზარდა მომხმარებლის რიცხვიც, მინანქრის სამკაული ყველაზე მოდური და ძვირი შეიქმნა, მოკლედ ბოლო სამი წელია, თბილისში ტიხრული მინანქრის ბუმია, მაგრამ 7 თებერვლის საღამომ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ბიენალეს გახსნაზე საქართველოს პირველი ლედი და პარლამენტის თავმჯდომარეც გამოჩნდნენ.

ტიხრული მინანქრის გარდა, კიდევ ერთ ფენომენზე მინდა შევაჩერო ყურადღება: - ეს რეკლამაა. რატომღაც ამ ჯერზე სრულიად სადა და არც ისე ძვირიანმა სარეკლამო რგოლებმა რადიოსა თუ ტელევიზიით და აგრეთვე სარეკლამო განცხადებებმა გაზეთებში (მათ შორის "24 საათშიც"), უამრავი ადამიანის ყურადღება მიიპყრო და თავისი დანიშნულება გადაჭარბებით შეასრულა. კლიპმეიკერებმა და სარეკლამო საქმით დაკავებულმა ადამიანებმა, რომლებიც ეძებენ და ვერ პოულობენ იმ საიდუმლოს, რაც ქართულ მენტალიტეტს კარგად მოერგება, ეგებ, გალერეა "შარდენის" მეპატრონეებისა და ბიენალეს ორგანიზატორებისაგან შეიტყონ რეკლამის განთავსებისა და სიხშირის საიდუმლო.

და მაინც მინანქარსა და ბიენალეს დავუბრუნდეთ. ამასობაში, ანუ საათნახევარი რიგში დგომის შემდეგ, როგორც იქნა საგამოფენო დარბაზში ფეხი შევდგი. ვიტრინებთან, სადაც ამერიკელი, ესპანელი, იაპონელი, ებრაელი, ბრაზილიელი, ვენესუელელი და კიდევ იმ ქვეყნის ოსტატთა ნამუშევრები იყო გამოფენილი, საიდანაც ცნობილი ხახულის კარედია, მისვლა და რაიმე პარალელების პოვნა ან ერთმანეთთან შედარება ან, უბრალოდ, დათვალიერება ძნელი აღმოჩნდა. შედარებით თავისუფლება იგრძნობოდა გალერეას მარჯვენა კედელზე გამოფენილ ესპანელი ავტორის ნამუშევრებთან. იდეა საკმაოდ გაბედული და ექსპერიმენტული გახლდათ: მინანქარული კომპოზიციები, ძალზე მარტივად პირდაპირ დისკეტებზე იყო შესრულებული.

თანამედროვე მინანქრის ისტორიაში ბევრის მნახველი ჟიურის თავმჯდომარე, ამერიკელი ქალბატონი ჯუდი სტოუნი გაოგნებული იყო შარდენის ქუჩის ამბებით და ამტკიცებდა, რომ მიუხედავად მსოფლიოში თანამედროვე მინანქრის მრავალგვარი ინტერპრეტაციისა, "ქართველ ოსტატთა "ახალი ტალღა" კვლავ თვითმყოფადი და ტრადიციების ერთგული რჩება." არ ვიცი, ტრადიციების ერთგულება ამ შემთხვევაში კომპლიმენტად უნდა ჩაითვალოს, თუ არა, როცა თამამ ექსპერიმენტებშია შეჯიბრი. მაგრამ ფაქტია, ბიენალეს პრიზები ასე განაწილდა: პრიზი საუკეთესო ნამუშევრისათვის, რელიგიურ თემაზე, სახელწოდებით "იერუსალიმში შესვლა" ნინო გიორგაძეს მიენიჭა. მინანქრის საუკეთესო კომპოზიციისათვის, "ქალი", "ახალი ტალღის" პიონერი ზაზა ლოდია დააჯილდოეს. საუკეთესო სამკაულის ავტორად პაატა პაატაშვილი დასახელდა. კონკურსით გამოცხადებული მაყურებლის სიმპათიის პრიზი კი 15 თებერვალს გახდება ცნობილი. ამავე დღესვე შედგება ბიენალეს კატალოგის პრეზენტაციაც. საინტერესოა, 15 თებერვლის საღამოსაც თუ გამოავლენენ ქართველები ტიხრული მინანქრისადმი ასეთ დაუოკებელ ლტოლვას.

24 საათი

# წიგნები



შაბათს, 7-20 თებერვლის ნომერში წაიკითხავთ

- პოტეროფობია და ქართული საზოგადოება
- ჯულიან ბარნსის წერილს თანამედროვეობის ყველაზე სკანდალური მწერლის, მიშელ უელბეკის შესახებ
- სანდრო კავულიას მოთხრობას
- ტომას სტერნზ ელიოტის "ფუტურო ადამიანებს"
- რეცენზიებს ჯემალ ქარჩხაძის, რეზო ჭეიშვილის, ნაირა გელაშვილის, პირველი ქართული ელექტრონული წიგნის შესახებ
- ინტერვიუს ბესიკ ხარანაულთან

# ბერლინალეს საკონკურსო ფილმები

### ვესტერნის ფესვებიდან

The Missing-ში ყველაფერია, რაც კარგ ვესტერნს მოეთხოვება: მამაცი მხედარი, ტრიალი ველი, ბნელი ბოროტმოქმედები და კლდოვანი მიდამო. რაც მთავარია, ფილმს ტომი ლი ჯონსი ჰყავს.

ჰოლივუდის მსახიობმა, კეიტ ბლანშეტმა აღიარა, რომ როცა პატარა გოგო იყო, ნაშუადღევს ხშირად მისჩერებოდა ხოლმე ვესტერნებს, და ჯონ ვეინი მუდამ მასთან იყო. ისეთი პირი უჩანს, რომ მომავალი თაობებისთვის The Missing-იც ასეთი "საღამოს კლასიკა" გახდება.

მეგი (ბლანშეტი) თავის ორ ქალიშვილთან ერთად მე-19 საუკუნის ბოლოს ამერიკის სამხრეთ-დასავლეთში, ფერმაში ცხოვრობს. ის მიწას ამუშავებს და თან ექიმბაშიცაა. ერთ დღეს მამამისი (ჯონსი) გამოჩნდება, რომელმაც მეგი და დედამისი დიდი ხნის წინათ მიატოვა და ინდიელებთან გადასახლდა. მართალია, მამა თავიდან გააგდო, მაგრამ ქალიშვილის გატაცების შემდეგ მეგი დახმარებისთვის მაინც მას მიმართავს.

რეჟისორი რონ ჰოვარდი ამბობს, რომ ჯონ ფორდის The Searchers-თან აშკარა მსგავსების მიუხედავად, მისი სურათი ეხება "იმ სულიერ და პოლიტიკურ საკითხებს, რომლებიც დღეს გვაღელვებს", პირველ რიგში, ოჯახის თემას.

ფილმში ძირითადი ფიგურა ტომი ლი ჯონსია – მარტოხელა მხედარი, რომელსაც ადამიანებთან საუბარს ცხოველებთან ურთიერთობა ურჩევნია. ის თავისი შვილიშვილის გადასარჩენად მხოლოდ იმისთვის მიდის, რომ საკუთარი სულიც გადაარჩინოს, და მისი სახე ისევეა დაღარული, როგორც მიდამო, რომელშიც ფილმის მოქმედება ხდება.

პასუხად კითხვაზე, თუ რატომ მიატოვა მამამ, მეგიმ ერთი კაცის ამბავი მოისმინა, რომელიც თავის მიმინოს ადევნებია, რადგან "ყოველთვის არსებობს რაღაცა, რაც მამაკაცს შორეთში ეძახის". ეს წინადადება კი ოდესღაც ჯონ ვეინმა წარმოთქვა.

### კიტონი: "სიკვდილს სიბერე სჯობია"

დემოგრაფები საზოგადოების დაბერებას საგანგაშოდ მიიჩნევენ. ეს ჰოლივუდმაც შენიშნა და არაერთი ფილმი მიუძღვნა ყოჩაღ მოხუცებს.

მოხუცებსაც უყვარდებათ ერთმანეთი. ყოველ შემთხვევაში, ნენსი მეიერსის ფილმში "რაც გულს უხარია", ჯეკ ნიკოლსონსა


კადრი ფილმიდან "რაც გულს უხარია"

და დაიანა კიტონს სწორედ ეს დაემართათ.

ორივე ვარსკვლავი 54-ე "ბერლინალეზე" იყო ჩაბრძანებული – ნიკოლსონი შავ, ხოლო კიტონი წითელ ტყავის ქურთუკში.

ეს არის ფილმი უფროსი თაობის წარმომადგენლებზე და მათ გრძნობებზე. ფილმში 63 წლის მექალთანე ჰარის (ნიკოლსონი) ამბავია მოყოლილი, რომელსაც ოცდაათს გადაცილებული ქალები აღარ იზიდავენ. და უცებ მან თავისი ახალი სატრფოს (ამანდა პიტი) დედა, ერიკა (კიტონი) გაიცნო.

პასუხად კითხვაზე, როგორია, ახალგაზრდა ჰოლივუდში რომ ბერდებიო, კიტონმა მოკლედ ბრძანა: "სიკვდილს დაბერება სჯობს!", და დასძინა, რომ მისი ხნის, ანუ 58 წლის მსახიობი ქალებისთვის როლის მიღება უკეთესი ავტორების არსებობასაც გულისხმობს. ნიკოლსონმა დაიჩივლა, ადრე ფილმები კინოში უფრო დიდხანს გადიოდა ხოლმეო, მაგრამ ისიც აღნიშნა, რომ ახლა მეტ ფულს უხდიან. "ისე კი, თავს ისევე ვგრძნობ, როგორც უწინ," განაცხადა ვარსკვლავმა.

### გარდაქმნის შანსი

საფრანგეთი, 1940 წლის ზაფხული. დახურული ფსიქიატრიული სავადმყოფოს მკვიდრნი გერმანული საჯარისო ნაწილების შემოსვლით გამოწვეული პანიკით ისარგებლებენ და გაიქცევიან. დიდი ქაოსის ფონზე ეს ჭრელი საზოგადოება ლუარას ნაპირს მიუყვება და თავისუფლების გამაბრუებელი შეგრძნებითაა ალვსილი.

თავის ფილმში Folle Embellie რეჟისორი დომინიკ კაბრერა სიურეალისტურ სამყაროს აჩვენებს. ის მთლიანად პროტაგონისტების შინაგან სამყაროზეა კონცენტრირებული. ჯგუფის "პატრიარქის", ფერნანდის როლს ჟან პიერ ლოდი ასრულებს. მისი მცდელობები, წესრიგი დაამყაროს, ჰალუცინაციებისა და გროტესკული რისხვის კედელს აწყდება. სულ სხვაა მისი ცოლი, ალიდა (მიუ მიუ), რომელიც მოგზაურობის ბოლოს დამოუკიდებლად ცხოვრებას განიზრახავს. ამ ორ პიროვნებას მათი ვაჟი, ჟულიენი (მორგან მერინი) ადევნებს თვალს, რომელიც გზაზე თავის პირველ სიყვარულს ხვდება.

ფილმი გაჩერებული დროის შეგრძნებას ბადებს. მასში მრავლადაა ბუნების ამსახველი კადრები და პოეტური ჩანართები. კამერა დიდხანს ჩერდება აფრენილ ფრინველზე, ტაფაზე დაყრილი თევზების შიშხინზე. განსაკუთრებით შთამბეჭდავია სცენა, როცა ფატალური შეცდომის გამო სოკოების შემგროვებელი სიცოცხლეს ესალმება.

დროის ფონი სრულიად აბსტრაქტულია. გერმანელ დამპყრობლებთან ერთ-ერთი მცირერიცხოვანი შეხვედრა აბსურდული სცენით სრულდება: ფერნანდი, რომელიც ოდესღაც პარიზის ცნობილ Cafe de la Paix-ში ოფიციანტად მუშაობდა, ვერმახტის ოფიცრებს ემსახურება.

ომი განზე რჩება. მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ცხედართან უწევთ ჩავლა, ავადმყოფები მეტისმეტად არიან საკუთარი სამყაროთი მოცული და გარეთ მომხდარი მათში შიშსა თუ თანაგრძნობას ვერ იწვევს.

ფილმის რეჟისორის თქმით, მისი სურათი რეალურ ფაქტებს ასახავს - ეს ამბები მან სტუდენტობის ჟამს ფსიქიატრიულ კლინიკაში მუშაობის დროს შეიტყო. თავისი ფილმით მას ადამიანებისთვის იმის ჩვენება უნდოდა, რომ ექსტრემალური სიტუაცია საუკეთესო დროა ადამიანის სულისა და ცხოვრების გარდაქმნისთვის.

# სექს-სიმბოლო

*ჩვეულებრივ, აქცენტს პირველ სიტყვაზე, "სექსზე" აკეთებენ ხოლმე. სავსებით ნორმალური და გასაგები ამბავია. ამიტომ ხშირად "სექს-სიმბოლოს" ყველაზე ლამაზ ქალს უწოდებენ, ან ისეთ ქალს, რომელთან საქმის დაჭერასაც მამაკაცთა დიდი რაოდენობა ისურვებდა. მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, თუ მათ "ლამაზმანებს", ან "სექს-ბომბებს" ვუწოდებდით, ან რა ვიცი... რადგან "სიმბოლო" იმასაც გულისხმობს, რომ ქალი თავისი დროის "სულის" მატარებელია.*


ლილიან რასელი


მეი ვესტი


მერლინ მონრო


ანა-ნიკოლ სმიტი

### ათვლის წერტილი - მერლინი

სავსებით დასაშვებია, რომ ეს ქალი, "სექს-სიმბოლო", არც ყველაზე ლამაზი იყოს და არც ყველაზე სასურველი. ამის მაგალითი **მერლინ მონრო** გახლავთ. მისი ეპოქის ჰოლივუდში მასზე ლამაზი უამრავი ქალი ტრიალებდა. მერლინის თანამედროვე ამერიკელებისთვის რომ არჩევანის უფლება მიეცათ, "ღამე...-თან ერთად", ქერათმიან დედოფალას მრავალი ურსულა ანდერსსა თუ ჯეინ მენსფილდს ამჯობინებდა. მაგრამ როცა ამერიკის "სექს-სიმბოლოს" ახსენებენ, პირველ რიგში, ნორმა ჯინი, მერლინ მონრო გაგახსენდებათ.

რას წარმოადგენდა მერლინი? დედოფალა იყო. მაგალითად, გრეტა გარბოს "რთულ", დახვეწილსა და ცივ მშვენებამდე მას ბევრი აკლდა. ეს იყო "პუმ-პუმ-პი-დუ", დაბერილი ტუჩები, უბინწო მზერისა და შთამბეჭდავი ფორმების კონტრასტი, და რაც მთავარია, დაუვიწყარი სტილი.

მერლინ მონროს ვარცხნილობა, მაკიაჟი, კაბის თარგი – ყველაფერი ეს ამერიკას მისი გარდაცვალების შემდეგაც არ დავიწყნია. ვარსკვლავი ქალის სტილის უნიკალურობის კარგი ინდიკატორი ტრანსვესტიტები არიან. თუკი ქალს მამაკაცებიც ბაძავენ, ეს ნიშნავს, რომ მისი სტილი ყურადღებას, მართლაც, იმსახურებს, ხოლო მერლინ მონროს მიბაძვით ჩაცმულ-დახატული მამაკაცების რაოდენობა ძალიან დიდია, არამარტო ამერიკაში, არამედ აფრიკასა და ტაილანდშიც კი.

მერლინის ცხოვრებაში უამრავი რამ ხდებოდა: ხან ქარი კაბას უწევდა, ხან ჯარისკაცებთან ჩადიოდა, ხან პრეზიდენტს მისალოცი სიმღერა უმღერა, ისე სკანდალურად, რომ აჯობებდა, ჯონ-ფიცჯერალდ კენედისთან იქვე, მთელი მსოფლიოს თვალწინ აეტეხა ველური სექსი. მერლინი ათასგვარ სისულელეს ამბობდა ხოლმე, მაგრამ მისი ციტირება დღემდე ხდება.

ზემოთაღნიშნული თვისებები და კიდევ მრავალი წვრილ-წვრილი ნაკვთი – და სექს-სიმბოლოც მზადაა.

### მანამდე

ამერიკას სხვადასხვა ეპოქებში სხვადასხვა სექს-სიმბოლოები ჰყავდა.

XX საუკუნის დასაწყისი, პირველი მსოფლიო ომის დასრულებამდე: მართალია, აშშ ჯერ მსოფლიო მოვლენათა ეპიცენტრში არ იმყოფება, მაგრამ მათი გავლენა დღითიდღე უფრო საგრძნობია. იმხანად ქვეყნის სექს-სიმბოლო **ლილიან რასელი** იყო. სამწუხაროდ, ამჟამად ის მხოლოდ შტატებში თუ ახსოვთ, მაგრამ თავის დროზე მისი სახელი ყველას პირზე ეკერა.

ის მომღერალი და მსახიობი იყო. გარეგნულად რასელი საუკუნის დასაწყისის ღია ბარათებზე თუ კანფეტების კოლოფებზე გამოსახულ ქალს ჰგავდა, და 90 მისთვის მკერდის გარშემოწერილობის კი არა, წონის აღმნიშვნელი რიცხვი იყო.

ლილან რასელზე უამრავ ანეკდოტს ჰყვებოდნენ: იმის შესახებ, როგორ უყვარდა ჭამა და ყოველი სადილის შემდეგ ხუთ-ხუთ ულუფა დესერტს როგორი მადით მიირთმევდა; იმის შესახებ, როგორ ეგონა თავი უდიდესი ვარსკვლავი და ამერიკაში მოგზაურობისას სასტუმროებში როგორ სკანდალებს აწყობდა; იმის შესახებ, როგორ "იწყვიტავდა" ხოლმე რესტორნების დახურულ კაბინებში – და ყველაფერ ამის ფონზე, ის ბრილიანტების თავდადებული კოლექციონერი იყო.

მას უზარმაზარი ქუდები ეხურა ხოლმე, და ვინაიდან კაბა წელში წაჭერილი ჰქონდა, კიდევ უფრო შთამბეჭდავად დაატარებდა ისედაც მოზრდილ მკერდს და თეძოებს. რასელის საყვარელი "ჩრდილოვანი" კომერსანტი, უმდიდრესი დაიმონდ ბრენდი იყო – რესტორნებშიც ის დაატარებდა და ბრილიანტებსაც ის სჩუქნიდა. აი, ასეთი გოგო იყო ლილიან რასელი.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, მეორის დაწყებამდე, ამერიკის სექს-სიმბოლო ასევე მსახიობი და მომღერალი, **მეი ვესტი** გახდა – პირმრგვალი, ფუშფუშა. მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკელი ჯარისკაცები გასაბერ ნავებს "მეი ვესტებს" უწოდებდნენ.

თავიდან მეი ლილიანს ბაძავდა – ასეთსავე გრძელ კაბებს და ბუმბულებიან ქუდებს ატარებდა. მაგრამ მერე 30-იანების მოდა შემოვიდა, და მეიმ ვიწრო საღამოს კაბების ტარება დაიწყო, ისეთების, ქალს რომ ქვიშის საათს ამსგავსებს. ლილიან რასელის არ იყოს, ბრილიანტები მეისაც ძალიან უყვარდა, რომელთაც მას ბევრი, ძალიან ბევრი საყვარელი სჩუქნიდა.

"ცივი ომის" დროინდელ სექს-სიმბოლოზე, მერლინ მონროზე, უკვე მოგახსენეთ – რაც არ უნდა იყოს, მისი ბადალი არავინ ყოფილა და პირველობა სავსებით სამართლიანად ეკუთვნის. მერლინის შემდეგ კი დიდი გაუგებრობა დაიწყო.

### შემდეგ

კრისტინა აგილერას კლიპი Dirty სკანდალურად და მეტისმეტად გულწრფელად ითვლება. ვიღაცამ ის "სტრიპტიზში" დემი მურის თეძოების ქნევას შეადარა. თავად აგილერამ კი ამ კლიპთან დაკავშირებით მიცემულ ინტერვიუში დაუჯერებელი სისულელეების როშვა დაიწყო: რომ ადამიანმა პოზიტიურად უნდა იაზროვნოს, რომ მას უბრალო ადამიანებისთვის მომავლის რწმენის მიცემა უნდა და რომ თავადაც ერთი ჩვეულებრივი გოგოა და მხარდაჭერა სჭირდება. კარგი, რა! სამაგალითოდ ცივი და აბსოლუტურად არასექსუალური ამბავია, დაახლოებით იმას ჰგავს, ბრიტნი სპირსმა რომ მახრჩობელა გველი დაიხვია. საშინელი უგემოვნობაა – ქალწული და გველი! ვერც პრინც უილიამის ამბავმა გაამართლა – ბრიტნი ერთხელ მაინც რომ შეპარულიყო სასახლეში, კიდევ მესმის, თორემ ის, რომ ბარში გამოთვრა და მისი ქალწულობა საეჭვოა, აღარავის აღელვებს.

იგივე შეიძლება ჯენიფერ ლოპესის იმჯზეც ითქვას – საჯდომიც მეტისმეტად აქვს გაშიშვლებული და მისი სასიყვარულო ისტორიებიც არადამაჯერებლად ჟღერს.

### Cowgirl - ანა-ნიკოლი

აი, ანა-ნიკოლ სმიტი კი სულ სხვა ამბავია. მისი ბიოგრაფიის დასაწყისი ამერიკული ოცნების სახელმძღვანელოს პირველ თავად გამოდგებოდა.

ვიკი ლინ ჰოგანი დაიბადა 1967 წლის ნოემბერში, ჰიპების "სიყვარულის ზაფხულის" შემდეგ. მაღალი ქალია, სრული, ვინმე ბოროტი იტყოდა, ძროხააო, და მის სამხრეთულ აქცენტს დღემდე არაფერი ეშველა. ახალგაზრდობაში ის დღისით ოფიციანტად მუშაობდა, ღამ-ღამობით კი სტრიპტიზ-ბარებში ცეკვავდა. ის კარტოფილის შემწველს გაჰყვა ცოლად, რომელსაც სულ მარტივი სახელი, ბილი სმიტი ერქვა, და თავადაც ვიკი სმიტი გახდა. მერე შვილი გააჩინა და გასუქდა, და ბილმა მიატოვა. ვიკიმ წონა დაიკლო (მომატება-დაკლების ამპლიტუდა მისთვის 30-40 კილოგრამს შეადგენს) და თავისი ფოტოსურათები "ფლეიბოიში" გაგზავნა.

ცხადია, დაურეკეს, და 1993 წელს მისი ფოტოსურათები უკვე გარეკანებზე იბეჭდებოდა. სარეკლამო კამპანიებისთვის ვიკის სახელი შეუცვალეს – ანა-ნიკოლი აშკარად უკეთ ჟღერდა.

ანა-ნიკოლი ჰოლივუდშიც აღმოჩნდა, ხან იხდის, ხან – იცვამს, გააჩნია, რამდენს იწონის ხოლმე. მას პიცა და შოკოლადი უყვარს და თუ "შეუბერა", 80 კილოგრამსაც აღწევს ხოლმე. გასუქებისთვის "ფლეიბოიმ" დაიწუნა, სამაგიეროდ, ტანსაცმლის ფირმებმა შესთავაზეს, ჩვენი სახე გახდიო. უნდა ითქვას, რომ მანამდე მათ სტანდარტული მოთხოვნები ჰქონდათ ხოლმე – 90X60X90.

ანა-ნიკოლის მეორე ქმარი ტეხასელი მილიარდერი იყო, 80 წელს გადაბიჯებული ჰოვარდ მარშალი. ორწლიანი ერთობლივი ცხოვრების შემდეგ ის გარდაიცვალა, ხოლო დადარდიანებული ანა-ნიკოლი წვეულებაზე შამპანურით დათვრა და ბრიუს ვილისთან ერთად აუზში გადაეშვა. დაქვრივების შემდეგ ის მარიხუანას მიეძალა და იმდენი ჭამა, რომ ცენტნერზე მძიმე გახდა. როცა 1996 წელს ოსკარების გადაცემაზე გამოცხადდა, საუცხოო სანახავი იყო: ცისფერ კაბაში ჩაჭედილი, უგონოდ დაბოლილი, გადღაბნილი პომადით...

რაღა ბევრი გავაგრძელოთ. ანა-ნიკოლ სმიტი ნამდვილი სექს-სიმბოლოა. ამაში სხეულიც ხელს უწყობს და საქციელიც.

# მსჯელობს სტინგი

ე.წ. "გრემფესტი" – ხმის ჩამწერი აკადემიის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების კვირეული, რომელიც "გრემის" ცერემონიალს უძღვის ხოლმე წინ, პარასკევს სტინგის დაჯილდოებით დასრულდა. მომღერალს სამქველმოქმედო მოღვაწეობის გამო გადასცეს საკმაოდ საპატიო პრიზი, რომელსაც შარშან ბონო ფლობდა.

თუმცა, 2003 წელი სტინგისთვის ამ ჯილდოს გარეშეც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მან გამოუშვა მე-14 სოლო-ალბომი, გამოსცა ავტობიოგრაფია, ახლახან კი დაიწყო მსოფლიო ტურნე, მიიღო "გრემის" ორი და "ოსკარის" ერთი ნომინაცია.

სანამ გუშინ "გრემის" საღამოზე შონ პოლთან ერთად შეასრულებდა დუეტს, სტინგი მაიამიში იმყოფებოდა, ტურნეს დასაწყებად. სწორედ იქ დაუკავშირდა მომღერალს "ესოშიეიტიდ პრესის" ჟურნალისტი და "გრემის" უკონკურენტო გამარჯვებულს გაესაუბრა. ვნახოთ, რას ფიქრობს რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე სტინგი – წლის ყველაზე ქველმოქმედი მუსიკოსი.

**"ცივი მთა" სტინგისთვის ძვირფასი აღმოჩნდა:** როგორც ცნობილია, სტინგმა ენტონი მინგელას "ცივი მთისთვის" სიმღერა – You Will Be My Ain True Love დაწერა. ეს პროცესი მისთვის აბსოლუტურად უნიკალური გამოდგა: "მუშაობას ფილმის მუსიკაზე ვერაფრით შევადარებ პროცესს, როცა სიმღერებს ჩვეულებრივი ალბომისთვის ვწერ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მე იმას ვფიქრობ, განვიცდი და ვამბობ, რაც თავად მსურს. ფილმზე მუშაობისას კი ჩემდაუნებურად მივეჯაჭვე პერსონაჟებს, გავითავისე სურათის განწყობა, ავლაპარაკდი იმ ენაზე, რომელზეც გმირები საუბრობენ. ეს ძალიან საინტერესო პროცესი იყო. თუმცა, რა თქმა უნდა, "ოსკარზე" არ მიფიქრია. თუ კინოაკადემიის ჯილდო ოდესმე მართლა მარგუნეს, სამადლობელ სიტყვას წინასწარ არ მოვამზადებ, სპონტანურად ავალ სცენაზე და იმას ვიტყვი, რასაც ვიგრძნობ".

**რით ამაყობს:** "მუსიკა, საქველმოქმედო საქმიანობა – ეს ყველაფერი ჩემთვის ერთმანეთთანაა დაკავშირებული. რა თქმა უნდა, ძალიან ამაყი ვარ იმით, რომ წელს "გრემის" ეს განსაკუთრებული ჯილდო გადმომეცა. თქვენც კარგად იცით, რომ პირადად მე ბევრ რამეში გამიმართლა. არადა, არსებობენ მუსიკოსები, ნაკლებად იღბლიანები, რომელთაც რთული დროების გამოვლა უწევთ. "გრემის" ეს ფონდი სწორედ მათზე ზრუნავს – რეაბილიტაციის საშუალებებით, პროექტების დაფინანსებით, ან სულაც საცხოვრებელი ადგილის გადაცემით.

**იღბალი:** "არ ვიცი, როგორ მოხდა


სტინგი

ეს. შეიძლება თავიდან გამიმართლა, შემდეგ კი ჭკუაც აღმომაჩნდა. ყოველთვის ვცდილობდი, მრავალფეროვანი ვყოფილიყავი, თავისუფლება მეპოვა; ეს მუდმივი ძიების ოსტატობა ისეთ რანგში ამეყვანა, რომ როცა სტინგის ჩანაწერი გამოვიდოდა, არავის სცოდნოდა, როგორი იქნებოდა ის".

**მიკრო და მაკროსამყარო:** მისი მე-14 ალბომი Sacred Love ერაყში ომის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე იწერებოდა. საინტერესოა, აისახა თუ არა ის განწყობა, რომელიც იმხანად მსოფლიოში სუფევდა სტინგის ალბომში; ანუ გაუზავდა თუ არა სტინგის პირად განცდებს უფრო მასშტაბური, მსოფლიო მოვლენები? "ადამიანური ურთიერთობები ხშირად მინიატურული ვერსიაა იმისა, რაც მსოფლიოში ხდება. უფრო ზუსტად, პირადი განწყობები დედამიწაზე, საერთო მაკროსურათზე აისახება. და თუ ჩვენ, რიგით ადამიანებს პირად ურთიერთობებში სიყვარული, გაგება და თანაგრძნობა გვაკლია, გავამრავლოთ ეს მონაცემი რამდენიმე მილიარდჯერ და მსოფლიო სიტუაციას მივიღებთ – სიტუაციას, რომელშიც ყველას თანაბრად სჭირდება მეტი სიკეთე, მეტი მოწყალება. შეიძლება ეს ცოტა გულუბრყვილოდაც ჟღერდეს, მაგრამ მე ასე მწამს.

**ის, რაც 25 წლამდე იყო:** სტინგმა თავისი ავტობიოგრაფია "დამსხვრეული მუსიკა" იმ ეპიზოდით დაასრულა, როცა მისი ჯგუფი "ფოლისი" პოპულარობას იხვეჭს. "ამ ამბის მოყოლა იმიტომ გადავწყვიტე, რომ მის შესახებ არავინ არაფერი იცის. მე ვარ ამ მოვლენების ერთადერთი წყარო. ჩემი კარიერის შესახებ ბევრგან შეიძლება წაიკითხოთ – ჟურნალების ძველ ნომრებში ანდა იმ ბიოგრაფიებში, რომლებიც ჩემთვის სრულიად უცნობმა ადამიანებმა დაწერეს ჩემზე. მე კი მინდოდა, მომეთხრო, თუ როგორ იქცა ერთი ჩვეულებრივი ჩრდილოინგლისელი ადამიანი სტინგად – ცნობილ სახედ, წარმატებულ მუსიკოსად.

**წიგნი-თერაპია:** "წერა იმიტომ დავიწყე, რომ მივხვდი, ამ პროცესს სამკურნალო თვისებები ექნებოდა. ამოვატივტივებდი წარსულიდან ერთ ძველ ამბავს და მას ათი სხვა მოყვებოდა, იმ ათს კიდევ ათი... ბოლოს მივხვდი, რომ თურმე ადამიანს არაფერი ავიწყდება. მტკივნეულია თუ სასიხარულო – არაფერი არ ქრება. მეხსიერება ყველაფერს ინახავს.

**კარიერა:** "მეშინია თუ არა კარიერის დასრულების? მგონი არა. დღეს დილასაც რომ დამთავრდეს ყველაფერი, არ დავიწუწუნებდი... გაჩერებას ისედაც არასდროს ვაპირებ – სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვიმღერო. წარმატებებს კი... მარადიულ წარმატებაზე კი ფსონი არასოდეს დამიდია.

წუთიერი დუმილი

# კიდევ ერთი ლეგენდა წავიდა

სულ ცოტა ხნის წინათ საქართველომ ზურაბ საკანდელიძე დაკარგა. სწორედ იმ დღეებში დავუკავშირდით მიხეილ ქორქიას და ვთხოვეთ, ზურაბ საკანდელიძეზე - მის თანაგუნდელსა და მეგობარზე ორიოდე სიტყვა ეთქვა. "ზურაბი ლეგენდა იყო. მისი მსგავსი მცველი არ ახსოვს ევროპულ კალათბურთს. მეტი რა გითხრათ, ძალიან მიჭირს ახლა ამაზე საუბარი", - გვითხრა ბატონმა მიშამ. ზურაბ საკანდელიძის გარდაცვალება ძალიან განიცადა. ვინ იფიქრებდა, რომ ქართული კალათბურთი მიშა ქორქიასაც დაკარგავდა...

შაბათს, გამთენიისას 55 წლის ასაკში მიხეილ ქორქია გარდაიცვალა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საკონტინენტთაშორისო თასის ორგზის მფლობელი, ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი. ის ორჯერ დაასახელეს ევროპის ხუთ საუკეთესო კალათბურთელს შორის.

ცოტა ხნის წინათ მან ზურაბ საკანდელიძეზე თქვა "ლეგენდა წავიდაო". მიხეილ ქორქიას სახით, კიდევ ერთი "ლეგენდა" წავიდა...



*ქართული კალათბურთის ორი ლეგენდა - მიხეილ ქორქია და ზურაბ საკანდელიძე*

**სიკეთის გამცემი, რომელიც საპასუხოდ არასდროს არაფერს ელოდა. სიმართლის მთქმელი, რაც დღეს იშვიათობაა. ის არც სახელს შეუცვლია და არც ტიტულებს. უბრალოება არასდროს ტოვებდა. სადაც წავიდა, ყველგან გამარჯვებული იყო - კალათბურთშიც და ფეხბურთშიც. ეს იყო კაცი, რომლის მაგალითზეც თაობები დაიზრდებიან.**

*საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის თანამშრომლები.*

TV–სპორტი

## ორშაბათი. 9 თებერვალი

**НТВ+ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: არნოლდ აუერბახი
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. 1976 წელი. ფინალი. "BOSTON CELTICS" - "PHOENIX SUNS". მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 იტალიის ჩემპიონატი. "სამპდორია" – "ინტერი"
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "ოსასუნა" – "ბარსელონა"
17:00 თავისუფალი დარტყმა
17:15 გერმანიის ჩემპიონატი. "ბავარია" – "ჰანოვერი"
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. "ჩელსი" – "ჩარლტონი"
20:45 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:30 სახვალიო ტელეპროგრამა
21:35 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:25 ჰოლანდიის ჩემპიონატი. "აიაქსი" – პსვ
01:10 "FUTBOL MUNDIAL"
01:40 01:40-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. 1993 წელი. "ყველა ვარსკვლავთა" მატჩი
06:00 NBA TV. დღიური
06:30 NBA TV. "HOUSTON ROCKETS" - "SAN ANTONIO SPURS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+ СПОРТ**
11:00, 14:15, 17:00, 20:00 პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 საჭადრაკო მიმოხილვა
12:15 ჰოკეი. ევროტური. "შვედური თამაშები". შვედეთი - ფინეთი
14:30 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
15:00 ცურვა. მსოფლიო თასის ეტაპი ბრაზილიაში. პირველი დღე
17:15 "ნოკაუტი". ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
17:45 "NHL – პლუს"
18:00 ჰოკეი ბურთით. მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში. ფინალი
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "რკინის ფაქტორი". მსოფლიო ჩემპიონატი ბოდიბილდინგში. ესპანეთი. ნაწილი მე-3
21:00 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:30 "დიდი რინგი"
23:30 "NHL – პლუს"
23:45 ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი. შესვენებისას (01:00) – ახალი ამბები
02:00 "რკინის ფაქტორი". მსოფლიო ჩემპიონატი ბოდიბილდინგში. ესპანეთი. ნაწილი მე-3

**EUROSPORT**
11:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში
12:00 სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი შვეიცარიაში
12:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იაპონიაში
13:30 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
16:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
17:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
17:30 ფეხბურთი. აფრიკის ნაციათა თასი
18:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში
19:00 სნუკერი. შეჯიბრება დიდ ბრიტანეთში
21:00 მულტისპორტი
21:30 ფეხბურთი. ევროგოლები
22:30 ტხეკვანდო. შეჯიბრება საფრანგეთში
23:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი უნგრეთში
01:15 ფეხბურთი. ევროგოლები
02:15 ახალი ამბები
02:30 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი საფრანგეთში
03:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი ესპანეთში
03:30 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
03:45 მულტისპორტი
04:15 ახალი ამბები




კრივი

# მივდივარ, რათა ახალი ერა დაიწყოს!

გიგა გურასაშვილი

*წავიდა, რათა სხვებისთვის გზა გაეხსნა. წავიდა, რათა ახალი ერა დაწყებულიყო. არადა, ერთნი მისგან ამგვარ განცხადებას მოუთმენლად ელოდნენ, მეორენი კი მის წასვლას ეწინააღმდეგებოდნენ და ახლაც ეწინააღმდეგებიან. მაგრამ მოსახდენი მოხდა – დიდი ჩემპიონი ლენოქს ლუისი კრივიდან წავიდა. წავიდა და ინტრიგამაც იმატა. კრივის სამყარო ახალი ჩემპიონის მოლოდინშია. ჩემპიონად კი, შესაძლოა, კორი სანდერსი ან ვიტალი კლიჩკო მოგვევლინოს. ასე რომ, ახლო მომავალში კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) საჩემპიონო ტახტზე ასაბრძანებლად სწორედ ამ უკანასკნელთ მოიაზრებენ.*



*ლუისი ჩემპიონად დარჩა*

2003 წლის მარტში ვლადიმირ კლიჩკოს ძლევის შემდეგ სამხრეთაფრიკელი სუპერმძიმეწონოსანი რინგზე არავის უხილავს. სანდერსის გაუჩინარებას ერთნი გარკვეულ სტრატეგიას მიაწერდნენ. სამხრეთაფრიკელმა ხელთათმანები დროებით გვერდზე გადადო და ელოდა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებდა ბრიტანელი ჩემპიონი ლუისი, ანუ წავიდოდა თუ არა ლენოქსი კრივიდან. ახლა, როდესაც ლუისმა კრივიდან წასვლის თაობაზე ლონდონ-სიტის "Grosvenor House Hotel"-იდან პარასკევს მსოფლიოს აუწყა, უმალ გაჩნდა სანდერსისა და უფროსი კლიჩკოს აწ უკვე WBC ვაკანტური საჩემპიონო ქამრისთვის შერკინების შესაძლებლობამ თუმცა, სანამ საქმე აქამდე მივიდოდა, ლუისის ხანგრძლივმა პაუზამ ანალიტიკოსები და ექსპერტები, ტელეარხი HBO და, რა თქმა უნდა, გულშემატკივრები გაურკვევლობისგან ლამის ჭკუიდან შეშალა. ფაქტია, ლუისზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. კერძოდ, თუ ბრიტანელი კარიერას დაამთავრებდა, სუპერმძიმეწონოსანთა დივიზიონში გარკვეული გადაადგილებები მოხდებოდა. ჯერ რაიმე გადაადგილებაზე საუბარი ცოტათი ნაადრევია, მაგრამ ფაქტია: პირველი ნიშნები უკვე შეიმჩნევა, რაშიც სამხრეთაფრიკელისა და უკრაინელის შესაძლო სატიტულო ორთაბრძოლას ვგულისხმობთ.

ლუისის მხრიდან ყოყმანი და დროის გაწელვა პირველი შემთხვევა როდია. ჯერ კიდევ შარშან, ზაფხულში, ლუისმა ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ კრის ბერდთან მსოფლიო ფედერაციის (IBF) საჩემპიონო შერკინებისთვის თავი აერიდებინა. ბოლოს მოვლენები ისე განვითარდა, რომ გაქნილ პრომოუტერ დონ კინგთან, რომელიც ბერდის ინტერესებს იცავდა, მოლაპარაკებებზე წავიდა. შედეგად კრივის მსოფლიო ფედერაციამ ლუისისგან სულ რაღაც ერთ მილიონ დოლარად ხელში ჩაიგდო ბრიტანელის საკუთრებაში არსებული ფედერაციის საჩემპიონო სარტყელი. და კიდევ, ერთ მილიონ დოლარს დონ კინგმა მოლაპარაკებით გათვალისწინებული შეთანხმებით თუ, გნებავთ, ფეშქაშად, ლუისს ახალთახალი ავტომანქანა "რეინჯ-როვერიც" გადაულოცა. ეს მაშინ, როდესაც იმავე კინგმა ოთხი წლის წინათ დიდ ჩემპიონს კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) უმთავრესი ტიტული, ფაქტობრივად, მსაჯების მოსყიდვით წაართვა.

როდესაც ბრიტანელის მხრიდან თავის არიდებასა თუ შეგნებულ პაუზაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ამ მხრივ უდავოდ უნდა აღინიშნოს ლუისისა და ვიტალი კლიჩკოს ყბადაღებულ ორთაბრძოლამდე განვითარებული მოვლენები. უკრაინელი ლუისთან შებმას 2002 წლის 7 დეკემბერიდან ლამობდა, მაგრამ თარიღმა მომდევნო წლის 1 მარტამდე გადაიწია. შემდეგ დრო 8 მარტამდე და 19 აპრილამდეც გადავადდა. მაგრამ უკრაინელი საწადელს მაინც ვერ აღწევდა. მეტიც, ლუისმა იმდენი მოახერხა, რომ კლიჩკოს ნაცვლად რინგზე ყოფილი თანამემამულე, კანადელი კირკ ჯონსონი გამოწვია. კანადელისა და ბრიტანელის ერთმანეთში ურთიერთობის გარკვევას წინ თითქმის აღარაფერი ედგა, მაგრამ მოხდა ისე, რომ ზედ შერკინების წინ, ორი კვირით ადრე, ჯონსონმა ვარჯიშისას ტრავმა მიიღო. აშკარა გახდა, რომ ლუისს უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. ბრიტანელი აუცილებლად უნდა შებმოდა უკრაინელს. როგორც იქნა, 21 ივნისს ლოს ანჯელესმა ლუისისა და კლიჩკოს შერკინებაც იხილა. მართალია, ლუისმა ტიტულის დაცვა შეძლო, მაგრამ სავსებით შესაძლებელი იყო, რინგი თავაწეულ უკრაინელს დაეტოვებინა. საქმე ისაა, რომ სამივე მსაჯის დათვლით, მეექვსე რაუნდის შემდეგ კლიჩკო ლუისს 58:56 უგებდა, თუმცა, ფაქტია: დიდი ორთაბრძოლა აქ დასრულდა. კლიჩკოს გახეთქილმა წარბმა და ლაწვმა ექიმი აიძულა, რეფერისთვის მატჩის შეწყვეტის მოთხოვნით მიემართა - უკრაინელი ტექნიკური ნოკაუტით დამარცხებულად ცნეს. ამჯერად მოვლენები რინგს მიღმა განვითარდა. შარშანდლიდან მოყოლებული, დღის წესრიგში დადგა ლუისი-კლიჩკო II, ანუ რევანში. უკრაინელი ბრიტანელისკენ იწევდა, ლუისი კი ფიქრობდა და ფიქრობდა. ინგლისელის ამგვარმა საქციელმა მისადმი ყველაზე ლოიალურად განწყობილი WBC-ს მექსიკელი პრეზიდენტი ხოსე სულეიმანიც კი მწყობრიდან გამოიყვანა და საბჭოს ნებიერას ულტიმატუმი წაუყენა – საკუთარ თავში გაზაფხულის დადგომამდე, 1 მარტამდე გარკვეულიყო. გასარკვევი კი ის იყო, ლუისს ისევ უნდოდა თუ არა რინგზე ყოფნა. ბოლოს, როგორც იქნა, ლუისმაც ამოღერღა: მე წავედიო.

"მინდა, განვაცხადო, რომ 2003 წლის 21 ივნისის ორთაბრძოლა პროფესიონალის რანგში ბოლო იყო ჩემს კარიერაში – 6 თებერვალს "Grosvenor House Hotel"-ში სევდანარევი ხმით განაცხადა ჩემპიონმა. – როდესაც კარიერას ვიწყებდი, ვიცოდი, რომ ჩემპიონის ტიტულისკენ მიმავალი გზა ია-ვარდით არ იქნებოდა მოფენილი. მივხვდი, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება ბევრად იოლია, ვიდრე მისი შენარჩუნება. მე სიამაყით ვატარებდი ყველაზე პრესტიჟული წონითი კატეგორიის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს...

ახლა ველი იმ დროს, როდესაც კრივში ახალი ხანა დადგება. ხანა, რომლის მთავარი მოქმედი გმირებიც ოდლი ჰარისონისა და ძმები კლიჩკოების მსგავსი მოკრივეები იქნებიან. ვწუხვარ, რომ ახალ მებრძოლთა შორის არ იქნება ჩემი სახელი.

მივდივარ, რათა ახალი ერა დაიწყოს".

ერთი სიტყვით, დიდმა ჩემპიონმა 14-წლიანი კარიერის კარი მიიხურა. კრივის ისტორიაში კი შევიდა როგორც დაუმარცხებელი. ასეთი რამ აქამდე მხოლოდ ლეგენდარულმა როკი მარჩიანომ შეძლო და ისიც თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ.

ჩოგბურთი

# ავსტრალიელები შვედებმა გაარიყნეს!

სანდრო ნავერიანი

*"დიდი სლემის" პირველი ტურნირის დამთავრების შემდეგ დაიწყო "დევისის თასის" გათამაშება, რამაც ბევრი საინტერესო მატჩი და სენსაცია გვაჩუქა.*




*შესაძლოა როდიკი და ბიორკმანი ერთმანეთს შეხვდნენ*

დღეს კონკრეტულად ავსტრალიისა და შვედების დაპირისპირებაზე ვისაუბრებთ. მოგეხსენებათ, ავსტრალიის ნაკრები "დევისის თასის" მოქმედი ჩემპიონია. მათ შარშანდელი გათამაშების ფინალში ესპანეთის ნაკრებს სძლიეს და ეს გახდა იმის საბაბი, რომ წლევანდელ გათამაშებაში ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად სწორედ მწვანე კონტინენტის მობინადრენი მოიაზრებოდნენ, თუმცა...

...თუმცა, ავსტრალიელები, რომლებმაც უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ოთხჯერ მიაღწიეს ფინალამდე, შვედებმა პირველივე რაუნდში გამოთიშეს გათამაშებას. ავსტრალიელთა განადგურება მათ ენკვისტი-ფილიპუსისის მატჩიდან დაიწყეს. ენკვისტმა ფილიპუსისი სამ სეტში დაამარცხა (6:3, 6:4, 6:2) და სერიაში დაწინაურდნენ შვედები. მეორე შეხვედრა გაიმართა ლეიტონ ჰიუიტსა და რობინ სოდერლინგს შორის, სადაც ლეიტონმა ანგარიში გაათანაბრა. მან ასევე სამ სეტში დაამარცხა (6:4, 6:3, 6:1) ახალგაზრდა შვედი. შემდეგი მატჩი გაიმართა წყვილთა თანრიგში, რომელშიც ავსტრალიის ნაკრები უეინ არტურსმა და ტოდ ვუდბრიჯმა წარმოადგინეს, ხოლო შვედეთი - იონას ბიორკმანმა და იოაკიმ იოჰანსონმა. წინა მატჩებისგან განსხვავებით, ამ შეხვედრაში ხუთივე სეტი ჩატარდა. შვედებმა დაამარცხეს (7:6, 6:4, 2:6, 6:7, 7:5) ავსტრალიელები. ამ შეხვედრის შემდეგ შვედეთის ნაკრები სერიაში 2:1 დაწინაურდა. მომდევნო, რიგით მეოთხე შეხვედრა მარკ ფილიპუსისსა და იონას ბიორკმანს შორის გაიმართა. შვედმა ბიორკმანმა მშვენივრად ჩაატარა შეხვედრა და ფილიპუსისს ისე დაატოვებინა "დევისის თასის" გათამაშება, ერთი სეტიც არ მოაგებინა. შვედმა 7:5, 6:2, 6:2 დაამარცხა ავსტრალიელი. შარშანდელი "უიმბლდონის" ფინალისტმა ექვსი სეტიდან ვერც ერთი ვერ მოიგო.

უკანასკნელ, მეხუთე შეხვედრას პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ვერც აქ შეძლეს ავსტრალიელებმა წარმატების მოპოვება. შეხვედრა, რომელშიც უეინ არტურსი და იონას ბიორკმანი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა, კი არ მოიგო, უეინ არტურსმა თამაში შეწყვიტა.

შვედებთან ერთად შემდეგ ეტაპზე გასვლა მოახერხეს ამერიკელებმაც, სადაც ისინი სწორედ შვედეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან. ამერიკელებმა ავსტრიის ნაკრები დაამარცხეს ანგარიშით 3:0. დარჩენილ ორ შეხვედრას პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვს და შეიძლება არც ჩატარდეს, მაგრამ თუ ავსტრიელებს თავისი სიტყვის თქმა უნდათ, მაშინ აუცილებლად უნდა ჩაატარონ დარჩენილი შეხვედრები, მაგრამ აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ, რაც უმოტივაციო ამერიკელებთან ადვილი მისაღწევია. ეს, ალბათ, უფრო სირცხვილის თავიდან აცილება იყო, ვიდრე თავშეკავება.

ამერიკელთა ნაკრებზე იონას ბიორკმანმა განაცხადა: "მათ ძალიან ახალგაზრდა ნაკრები ჰყავთ. ენდი როდიკი 2003 წლის საუკეთესო ჩოგბურთელი გახდა. რომ არ გამხდარიყო, ისედაც ყველამ კარგად ვიცით მისი შესაძლებლობები. მასთან ერთად არის კიდევ ერთი ახალგაზრდა პერსპექტიული ჩოგბურთელი ტეილორ დენტი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, უკვე შემუშავებული აქვს გეგმა, თუ როგორ აწყენინოს შვედეთის ნაკრებს. მოკლედ, ამერიკელები მოწყურებულები არიან "დევისის თასს", მაგრამ არც ჩვენ გავალთ კორტზე მზესუმზირის საჭმელად. ამაში შეგიძლიათ მენდოთ", -ასეთი აზრისაა იონას ბიორკმანი ამერიკელებზე. ასე რომ, სავსებით შესაძლებელია, ენდი როდიკისა და იონას ბიორკმანის დუელი ვიხილოთ. მიზეზი მარტივი და ადვილად გასაგებია - ორივე ჩოგბურთელი თავისი ნაკრების ყველაზე ძლიერი წარმომადგენელია.

# "საოჯახო ტოტო"-ს 7 თებერვალი №45 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა | ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 000002 | 1,5 | 003041 | 3,5 | 005663 | 2,0 | 008639 | 1,5 | 011381 | 1,5 | 014044 | 1,5 | 017195 | 2,0 | 020137 | 1,5 | 022566 | 3,5 | 025458 | 2,0 | 027873 | 4,5 | 030560 | 2,0 | 033360 | 2,0 | 035879 | 7,0 | 038632 | 1,5 | 041177 | 1,5 |
| 000014 | 3,0 | 003083 | 2,0 | 005702 | 2,0 | 008644 | 1,0 | 011389 | 4,5 | 014056 | 1,5 | 017197 | 1,0 | 020149 | 4,5 | 022591 | 20,0 | 025467 | 4,0 | 027881 | 1,5 | 030566 | 3,5 | 033371 | 2,5 | 035885 | 4,0 | 038637 | 1,5 | 041206 | 1,5 |
| 000017 | 1,5 | 003132 | 1,5 | 005721 | 1,5 | 008665 | 3,0 | 011393 | 7,0 | 014096 | 3,0 | 017212 | 1,0 | 020157 | 2,0 | 022621 | 1,0 | 025476 | 1,5 | 027886 | 2,0 | 030578 | 2,5 | 033387 | 3,0 | 035951 | 7,0 | 038640 | 4,0 | 041209 | 4,0 |
| 000028 | 6,0 | 003144 | 1,0 | 005726 | 2,5 | 008699 | 9,0 | 011395 | 1,5 | 014099 | 2,5 | 017222 | 2,0 | 020171 | 1,0 | 022636 | 2,0 | 025484 | 4,0 | 027928 | 2,5 | 030582 | 9,0 | 033394 | 1,5 | 035955 | 3,5 | 038671 | 1,5 | 041210 | 1,5 |
| 000032 | 1,0 | 003195 | 3,0 | 005736 | 1,0 | 008723 | 1,5 | 011409 | 1,5 | 014133 | 2,0 | 017223 | 2,0 | 020187 | 1,5 | 022668 | 1,5 | 025487 | 1,5 | 027943 | 1,5 | 030623 | 1,0 | 033403 | 1,5 | 035968 | 7,0 | 038681 | 1,0 | 041212 | 1,5 |
| 000059 | 2,5 | 003231 | 2,0 | 005776 | 1,0 | 008734 | 2,0 | 011425 | 1,0 | 014177 | 3,0 | 017235 | 1,0 | 020198 | 1,5 | 022713 | 1,5 | 025488 | 1,5 | 027946 | 1,5 | 030650 | 1,5 | 033416 | 1,5 | 035979 | 1,0 | 038695 | 1,5 | 041218 | 2,0 |
| 000062 | 2,0 | 003232 | 2,0 | 005781 | 3,0 | 008753 | 6,0 | 011442 | 1,5 | 014179 | 2,0 | 017239 | 1,0 | 020206 | 1,5 | 022714 | 4,5 | 025490 | 3,5 | 027961 | 2,0 | 030668 | 1,5 | 033444 | 2,0 | 035983 | 1,0 | 038701 | 1,5 | 041240 | 1,5 |
| 000070 | 1,0 | 003257 | 1,5 | 005805 | 1,0 | 008757 | 2,5 | 011444 | 1,0 | 014195 | 4,0 | 017280 | 1,5 | 020219 | 1,5 | 022715 | 1,0 | 025500 | 1,5 | 027982 | 1,0 | 030686 | 1,5 | 033460 | 2,5 | 036013 | 3,5 | 038715 | 1,0 | 041287 | 2,5 |
| 000071 | 2,5 | 003265 | 2,0 | 005814 | 1,0 | 008770 | 1,0 | 011476 | 1,0 | 014199 | 1,0 | 017291 | 1,0 | 020235 | 1,5 | 022757 | 1,5 | 025506 | 1,5 | 028000 | 1,5 | 030690 | 2,0 | 033466 | 2,0 | 036021 | 2,5 | 038724 | 8,0 | 041293 | 6,0 |
| 000074 | 1,0 | 003269 | 1,0 | 005817 | 1,0 | 008777 | 1,5 | 011503 | 2,0 | 014256 | 9,0 | 017300 | 8,0 | 020236 | 1,0 | 022761 | 6,0 | 025518 | 7,0 | 028006 | 3,0 | 030696 | 5,0 | 033470 | 1,0 | 036023 | 4,0 | 038729 | 1,5 | 041299 | 3,5 |
| 000078 | 12,5 | 003270 | 3,0 | 005847 | 5,0 | 008825 | 1,0 | 011510 | 5,0 | 014295 | 3,0 | 017308 | 1,5 | 020250 | 1,5 | 022773 | 1,5 | 025521 | 1,5 | 028036 | 1,0 | 030710 | 1,5 | 033485 | 2,0 | 036063 | 1,0 | 038734 | 1,0 | 041318 | 1,0 |
| 000087 | 1,5 | 003273 | 1,0 | 005900 | 1,5 | 008830 | 3,0 | 011517 | 4,0 | 014370 | 1,5 | 017309 | 1,0 | 020287 | 1,5 | 022795 | 2,0 | 025552 | 1,0 | 028037 | 2,5 | 030727 | 1,5 | 033496 | 2,5 | 036089 | 1,5 | 038736 | 30,0 | 041325 | 1,0 |
| 000110 | 1,5 | 003277 | 2,0 | 005961 | 4,5 | 008834 | 2,5 | 011522 | 2,0 | 014377 | 1,5 | 017346 | 2,5 | 020294 | 1,5 | 022829 | 1,5 | 025553 | 1,5 | 028058 | 7,0 | 030728 | 2,0 | 033500 | 1,5 | 036103 | 1,5 | 038756 | 1,5 | 041349 | 1,5 |
| 000127 | 1,5 | 003304 | 2,0 | 005962 | 1,5 | 008846 | 1,5 | 011530 | 1,0 | 014440 | 1,0 | 017359 | 8,0 | 020310 | 1,5 | 022836 | 1,5 | 025557 | 1,0 | 028067 | 1,5 | 030737 | 1,5 | 033535 | 2,0 | 036113 | 1,0 | 038764 | 1,0 | 041361 | 2,0 |
| 000136 | 5,0 | 003307 | 2,0 | 005963 | 1,5 | 008860 | 1,5 | 011534 | 3,5 | 014452 | 1,0 | 017364 | 4,0 | 020318 | 2,5 | 022839 | 3,0 | 025559 | 2,0 | 028087 | 2,5 | 030739 | 1,5 | 033551 | 1,5 | 036150 | 1,5 | 038786 | 1,5 | 041364 | 1,0 |
| 000142 | 3,5 | 003319 | 2,0 | 005980 | 3,5 | 008865 | 4,0 | 011539 | 1,5 | 014457 | 2,0 | 017372 | 2,5 | 020329 | 1,0 | 022858 | 1,5 | 025600 | 3,0 | 028098 | 2,0 | 030758 | 1,5 | 033577 | 3,0 | 036160 | 2,0 | 038808 | 1,5 | 041377 | 2,0 |
| 000144 | 1,5 | 003333 | 4,5 | 006020 | 4,5 | 008899 | 1,5 | 011543 | 1,0 | 014459 | 7,0 | 017375 | 1,0 | 020337 | 4,0 | 022863 | 2,0 | 025634 | 2,5 | 028107 | 1,5 | 030772 | 5,0 | 033584 | 2,0 | 036161 | 4,0 | 038826 | 2,5 | 041437 | 3,5 |
| 000146 | 1,5 | 003348 | 1,5 | 006036 | 1,0 | 008904 | 1,0 | 011561 | 1,0 | 014494 | 1,0 | 017390 | 2,5 | 020345 | 3,5 | 022878 | 2,0 | 025681 | 1,0 | 028137 | 2,0 | 030796 | 2,0 | 033602 | 7,0 | 036164 | 1,5 | 038841 | 2,0 | 041447 | 2,0 |
| 000174 | 1,0 | 003352 | 2,5 | 006047 | 1,0 | 008914 | 1,0 | 011565 | 1,5 | 014498 | 1,0 | 017435 | 2,0 | 020350 | 3,5 | 022888 | 7,0 | 025686 | 3,0 | 028147 | 6,0 | 030799 | 6,0 | 033643 | 4,5 | 036191 | 1,0 | 038859 | 6,0 | 041456 | 2,0 |
| 000194 | 1,5 | 003360 | 4,5 | 006074 | 3,5 | 008923 | 5,0 | 011592 | 3,0 | 014507 | 1,0 | 017446 | 2,0 | 020358 | 3,5 | 022890 | 1,0 | 025687 | 3,5 | 028152 | 1,0 | 030846 | 1,0 | 033695 | 1,5 | 036192 | 2,5 | 038873 | 1,5 | 041485 | 1,0 |
| 000195 | 2,0 | 003406 | 1,0 | 006089 | 7,0 | 008927 | 1,5 | 011596 | 1,5 | 014511 | 1,5 | 017455 | 5,0 | 020360 | 1,5 | 022914 | 2,5 | 025731 | 2,0 | 028160 | 1,5 | 030854 | 3,0 | 033731 | 1,5 | 036223 | 3,0 | 038876 | 2,0 | 041492 | 2,0 |
| 000196 | 2,5 | 003445 | 1,0 | 006091 | 2,0 | 008961 | 1,5 | 011609 | 1,5 | 014522 | 1,5 | 017468 | 3,0 | 020395 | 2,5 | 022928 | 4,0 | 025752 | 1,5 | 028173 | 3,0 | 030864 | 1,5 | 033740 | 1,5 | 036231 | 3,0 | 038885 | 9,0 | 041495 | 3,0 |
| 000219 | 2,0 | 003458 | 1,0 | 006105 | 4,0 | 008988 | 4,0 | 011610 | 1,0 | 014526 | 1,0 | 017474 | 4,0 | 020400 | 2,0 | 022947 | 2,5 | 025760 | 1,5 | 028194 | 2,0 | 030898 | 2,5 | 033753 | 3,0 | 036248 | 1,0 | 038908 | 3,0 | 041502 | 1,5 |
| 000224 | 6,0 | 003493 | 12,5 | 006116 | 2,5 | 008994 | 2,0 | 011619 | 7,0 | 014529 | 35,0 | 017475 | 2,0 | 020427 | 1,0 | 022951 | 2,5 | 025769 | 3,0 | 028213 | 1,5 | 030913 | 1,5 | 033775 | 2,0 | 036255 | 4,5 | 038968 | 3,0 | 041521 | 2,0 |
| 000236 | 2,5 | 003518 | 1,5 | 006122 | 2,5 | 009000 | 2,5 | 011657 | 1,0 | 014535 | 2,0 | 017486 | 4,0 | 020437 | 3,0 | 022953 | 2,0 | 025772 | 2,5 | 028215 | 1,0 | 030945 | 1,0 | 033788 | 1,0 | 036305 | 1,0 | 038989 | 7,0 | 041542 | 2,0 |
| 000242 | 2,0 | 003574 | 3,5 | 006130 | 3,5 | 009009 | 8,0 | 011677 | 8,0 | 014536 | 2,5 | 017488 | 2,0 | 020466 | 2,5 | 022972 | 2,0 | 025773 | 2,5 | 028236 | 2,0 | 030953 | 6,0 | 033794 | 1,5 | 036315 | 2,0 | 038996 | 1,5 | 041550 | 2,0 |
| 000270 | 5,0 | 003578 | 2,5 | 006140 | 1,5 | 009069 | 2,5 | 011678 | 1,0 | 014555 | 2,0 | 017503 | 3,0 | 020476 | 1,5 | 022986 | 2,0 | 025795 | 2,0 | 028238 | 1,5 | 030964 | 2,0 | 033801 | 2,0 | 036334 | 1,0 | 039000 | 1,5 | 041570 | 1,5 |
| 000271 | 1,5 | 003586 | 1,0 | 006142 | 3,0 | 009083 | 1,5 | 011694 | 1,0 | 014565 | 2,0 | 017513 | 1,0 | 020519 | 2,0 | 023000 | 2,5 | 025800 | 4,5 | 028301 | 2,0 | 030972 | 1,5 | 033803 | 1,0 | 036339 | 1,0 | 039010 | 1,0 | 041584 | 2,0 |
| 000272 | 2,5 | 003603 | 2,0 | 006144 | 1,5 | 009101 | 2,5 | 011703 | 1,5 | 014569 | 1,5 | 017526 | 1,0 | 020529 | 1,0 | 023016 | 1,5 | 025802 | 2,0 | 028331 | 2,0 | 030982 | 15,0 | 033807 | 1,5 | 036340 | 3,0 | 039013 | 2,5 | 041595 | 3,5 |
| 000311 | 2,5 | 003605 | 1,5 | 006146 | 2,5 | 009133 | 2,5 | 011707 | 1,5 | 014572 | 1,0 | 017545 | 2,0 | 020531 | 1,0 | 023044 | 7,0 | 025810 | 1,5 | 028365 | 8,0 | 031019 | 2,0 | 033812 | 4,5 | 036341 | 4,0 | 039022 | 2,0 | 041636 | 2,0 |
| 000313 | 2,0 | 003608 | 4,0 | 006148 | 1,0 | 009156 | 1,5 | 011780 | 4,5 | 014574 | 1,0 | 017551 | 1,0 | 020532 | 8,0 | 023051 | 1,0 | 025818 | 1,5 | 028370 | 4,0 | 031030 | 2,0 | 033822 | 1,0 | 036375 | 1,0 | 039029 | 1,0 | 041671 | 2,5 |
| 000353 | 1,0 | 003611 | 2,5 | 006150 | 1,0 | 009171 | 2,0 | 011785 | 1,0 | 014612 | 5,0 | 017564 | 1,5 | 020536 | 2,0 | 023059 | 1,0 | 025821 | 2,0 | 028380 | 2,0 | 031035 | 3,5 | 033823 | 3,5 | 036395 | 2,5 | 039031 | 1,0 | 041677 | 1,5 |
| 000389 | 1,5 | 003626 | 15,0 | 006168 | 3,0 | 009186 | 1,5 | 011791 | 1,0 | 014668 | 1,0 | 017578 | 3,5 | 020541 | 1,5 | 023096 | 1,5 | 025831 | 1,0 | 028391 | 1,5 | 031036 | 4,0 | 033824 | 1,5 | 036399 | 1,5 | 039036 | 1,5 | 041712 | 3,0 |
| 000400 | 4,5 | 003638 | 1,5 | 006187 | 1,0 | 009190 | 1,5 | 011801 | 8,0 | 014706 | 5,0 | 017628 | 2,5 | 020548 | 2,0 | 023119 | 1,5 | 025836 | 1,0 | 028394 | 3,0 | 031049 | 4,0 | 033825 | 3,0 | 036414 | 1,5 | 039043 | 50,0 | 041713 | 1,0 |
| 000427 | 1,5 | 003644 | 1,5 | 006211 | 1,0 | 009191 | 1,5 | 011812 | 1,5 | 014715 | 1,5 | 017637 | 1,0 | 020573 | 4,0 | 023121 | 2,5 | 025869 | 1,5 | 028400 | 1,5 | 031056 | 1,5 | 033828 | 1,5 | 036466 | 5,0 | 039055 | 2,0 | 041729 | 1,5 |
| 000435 | 1,0 | 003655 | 1,0 | 006214 | 2,0 | 009198 | 1,5 | 011825 | 2,5 | 014751 | 1,5 | 017641 | 3,0 | 020578 | 2,0 | 023159 | 2,5 | 025875 | 1,5 | 028402 | 2,0 | 031063 | 1,5 | 033845 | 1,5 | 036482 | 1,0 | 039073 | 1,5 | 041752 | 1,0 |
